ქემინისტური ბიბლიოთეკა

ათი ქართული ამოთხრობა

თეონა დოლენჯაშვილი
ნინო სურამელაშვილი
მაკა მიქელაძე
ანა კორძაია-სამადაშვილი
ირმა ტაველიძე
თამთა მელაშვილი
ნინო თარხნიშვილი
თეა თოფურია
მაგდა კალანდაძე
მაკა ლდოკონენი

ფონდი ტასო
Taso Foundation

UDC (უაკ) 821.353.1-32
ა - 376

სერია **„ფემინისტური ბიბლიოთეკა“**

ათი ქართული მოთხრობა

შედგენა/რედაქტირება: თამთა მელაშვილი, დავით გაბუნია
დიზაინი, დაკაბადონება: მაია კაპანაძე
ფოტო ყდაზე © ნინო ძანძავა

ათი ქართული მოთხრობა © შესაბამისი ავტორები
სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“ © ფონდი ტასო, 2010

Feminist Library Series

TEN GEORGIAN SHORT STORIES

Compilation/editing: Tamta Melashvili, Davit Gabunia
Design, layout: Maya Kapanadze
Cover photo © Nino Dzandzava

Ten Georgian Short Stories © respective authors
Feminist Library Series © TASO Foundation, 2010

ISBN – 978-9941-0-2399-6
ISSN – 1987-5193

„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი)
Taso Foundation (women's fund and memory research center)

თბილისი, 0108, რ. თაბუკაშვილის 15
ტელ: +995 32 920595
ელ. ფოსტა: info@taso.org.ge
ვებ-გვერდი: www.taso.org.ge

15, R. Tabukashvili Str., 0108 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 920595
E-mail: info@taso.org.ge
web-site: www.taso.org.ge

წიგნი მომზადდა და გამოქვეყნდა ფონდის
„ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით
Prepared and published with the suppot of
Open Society Georgia Foundation

დაიბეჭდა სტამბა „გლობუსში“, თბილისი 2010
Printed in Globus Ltd, Tbilisi 2010

სარჩევი

სალომე ცოფურაშვილი
რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში
ქართველი ქალი მწერლები 9

თეონა დოლენჯაშვილი
აჩრდილი 21

ნინო სურამელაშვილი
არისტოკრატული გართობა 39

მაკა მიქელაძე
ახალგაზრდა მწერალი ქალის ვნებანი 49

ანა კორძაია-სამადაშვილი
ბერიკაობა 67

ირმა ტაველიძე
დროთა შეთანხმების წესი 77

თამთა მელაშვილი
ერთი და ორი 89

ნინო თარხნიშვილი
ევლია 99

თეა თოფურია
პიტნის კალო 109

მაგდა კალანდაძე
როგორ დავივიწყოთ გერმანული 115

მაკა ლდოკონენი
თეშდიდები და სუქუნები 123

„ფონდი ტასო“ წარმოგიდგენთ სერიის „ფემინისტური ბიბლიოთეკა“ მე-3 წიგნს. პირველი წიგნი, „საკუთარი ოთახი“ 2007 წელს გამოიცა, მასში ვირჯინია ვულფის კლასიკურ ესესთან ერთად შესულია ვულფის თანამედროვე ქართველი ქალების ლიტერატურული მემკვიდრეობის მცირე ნაწილი. მეორე წიგნი, სილვია პლათის ერთადერთი რომანი, „ზარხუფი“ (ლელა სამნიაშვილის თარგმანი) 2009 წელს გამოვიდა. ამჯერად კი არჩევანი თანამედროვე ქართველ მწერალ ქალებზე შევაჩერეთ. თუმცა, არა გვაქვს დღევანდელ მწერლობაში მიმდინარე პროცესების სრულად ასახვის პრეტენზია, მაგრამ კრებული მაქსიმალურად განსხვავებული სტილის, თაობისა და შემართების მწერალ ქალებს აერთიანებს – სულ დამწყებებსა და უკვე ძალიან გამოცდილებს . შესაბამისად, ვიმედოვნებთ, მკითხველთა ფართო წრე ამ მრავალფეროვნებაში თავისი გემოვნების შესაფერის ტექსტს აუცილებლად აღმოაჩენს.

კრებულში შესული ათი მოთხრობის ავტორებს ფორმალურად მხოლოდ სამი რამ აერთიანებს – ისინი წერენ დღეს, წერენ ქართულ ენაზე და არიან ქალები. წიგნის მიზანიც სწორედ ესაა, მეტ-ნაკლებად მაინც დავინახოთ, რას წერენ დღეს ქართულ ენაზე ქალები.

წიგნის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მწერალ თამთა მელაშვილსა და ფოტოგრაფ ნინო ძანძავას.

„ფონდი ტასო“

სალომე ცოფურაშვილი

რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში ქართველი ქალი მწერლები?

ლინგვისტი არ ვარ და ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე მსჯელობა ჩემს კომპეტენციას ნამდვილად აღემატება, მაგრამ უბრალოდ ერთ რამეს აღვნიშნავ, როგორც ქართული ენის რიგითი მომხმარებელი, რომ ამ ენას გრამატიკული სქესი არ გააჩნია. კი გვაქვს არსებითი სახელები, რომლებიც მდედრობთი სქესის სულიერ არსებებს აღნიშნავენ და არსებითი სახელები რომლებიც მამრობითი სქესის სულიერ არსებებს მიემართებიან, მაგრამ ამ სახელთა ხმარებისას არ ხდება ზედსართავი სახელების ზმნის და ა.შ. კომპონენტების გრამატიკულ სქესში შეთანხმება. მასწავლებელი მასწავლებელია, ექიმი – ექიმი, პროფესორი – პროფესორი, ბიძაშვილი – ბიძაშვილი და ა.შ. მსგავსს შემთხვევათა ვრცლად ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და მითუმეტეს რომ არც ჩემს კომპეტენციაში შედის და არც ლინგვისტურ ნარკვევს ვწერ ქართული ენის გენდერულ მახასიათებლებზე. მაგრამ იქ სადაც ექიმი ერთმნიშვნელოვნად ექიმია, მასწავლებელი მასწავლებელი და ა.შ. არის ისევე მწერალი მწერალი? თუკი სიტყვა მწერალში მხოლოდ მწერალი კაცი არ იგულისხმება (როგორც წესი) მაშინ რატომ ვუსვამთ ხაზს იმას რომ მავანი მწერალი ქალია? სავარაუდოდ იმიტომ რომ ამის საჭიროება არსებობს. ჟაკ ლაკანის მკტიცებით, ენა არაცნობიერივით არის სტუქტურირებული და მის მსგავსად ფუნქციონირებს, და ჩვენი მეტყველება, რომელსაც გონება წარმართავს, სადაც ცნობიერიც და არაცნობიერიც მეტ-ნაკლებ ჰარმონიაში განისვენებენ ერთურთის გვერდით, უფრო მეტად არის გენდერულად დანაწევრებული ვიდრე ის ენა რომელშიც ვცხოვრობთ: როდესაც გვაქვს ენაში უნივერსალური, ნეიტრალური სიტყვა მწერალი, მაგრამ ამასთანავე ვხმარობთ სიტყვათა ისეთ შეთანხმებას როგორიც არის მწერალი ქალი, ეს ნიშნავს იმას რომ ამ სიტყვის ნეიტრალურობა და უნივერსალურობა- უსქესობა- მოჩვენებითია; უფრო სწორად კი, ეს ფაქტი იმას აღნიშნავს, რომ რაც პატრიარქალურ კულტურაში ნეიტრალურად და უნივერსალურად

მიიჩნევა მასკულინურია და მამაკაცის თვალთახედვას, მის გამოცდილებას წარმოადგენს, ერთი სიტყვით ანდროცენტრულია. სწორედ მიტომაც გვჭირდება ისეთი სიტყვათშეთანხმება როგორიც არის „მწერალი ქალი“, როგორც ერთი შეხედვით უნივერსალური „მწერლის“ ალტერნატივა, რადგანაც ის, რაც ფემინურია ანდროცენტრულ კულტურასა თუ აზროვნებაში ამავე დროს დევიაციურია. როგორც დეილ სპენდერი თავის მნიშვნელოვან ესეში „ქალები და ლიტერატურის ისტორია“ აღნიშნავს, დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციაში ქალის როლი უფრო (კაცი) მწერლის დამხმარესა და მუზას წარმოადგენს, თუმცა იქვე დასძენს რომ საკმაოდ მრავლად იყვნენ მწერალი ქალები (კონკრეტულად 1700-იანებში (რომლებიც მწერლებადაც ითვლებოდნენ თავიანთ თანამედროვეებში) და მრავალი მწერალი კაციც, რომელიც მწერალი ქალის ფსევდონიმით ამჯობინებდა საკუთარი ნაწარმოების გამოქვეყნებას, რაც ქალი მწერლების პოპულარულობაზე მიუთითებდა თავისთავად (წინააღმდეგ მოგვიანებით საპირისპირო ტენდენციისა, როცა უკვე ქალები მამაკაცის სახელით აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწერებს) მაგრამ ამ მწერალი ქალების უმრავლესობას იმიტომ არ უჭირავს ლიტერატურულ ტრადიციაში კუთვნილი ადგილი რომ (დეილ სპენდერის არგუმენტია) შემდგომ მამაკაც კრიტიკოსთა მიერ იყვნენ „დისკვალიფიცირებულნი“. მაგრამ ჩვენს ტექსტუალურ რეალობას რომ დავუბრუნდეთ – და ეს რეალობა ახლა და აქ, ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოა, – ძალიან ბუნებრივად დაისმის კითხვა: რას და რაზე წერენ მოცემულ ტექსტულურ რეალობაში ქართველი ქალი მწერლები? (ამ სიტყვათა შეთანხმებას ამიერიდან იმის ხაზგასასმელად ვიხმარ რომ აქ წარმოდგენილი მწერლები ქალები არიან და არა მწერალი ქალები) ამ ტექსტუალურ რეალობას თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ და ამ მოცემულ კრებულში შესული მოთხრობების მიმართ განვიხილავთ, მაშინ პასუხი(ები) ამ კითხვაზე შემდეგი სახის იქნება (ვიგულისხმოთ რომ ეს კითხვა რეფრენად გასდევს თითოეულ მოთხრობაში მოგზაურობას): რომ თანამედროვე მწერალი ქალები წერენ...

...ზუსტადაც რომ მწერალზე, მწერალ ქალსა და მწერალ კაცზე, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობრივ ურთიერთობაზე, მეტოქეობაზე, ლიტერატურაზე. წერენ იმაზე რომ მწერალი ქალი

და მწერალი სულაც არ არის სინონიმები. („ამბობენ რომ მე ვარ მწერალი ქალი, ის კი იყო მწერალი. ასე ფიქრობს ყველა მწერალი, ანუ მწერალი კაცი“). ეს მაკა მიქელაძის „ახალგაზრდა მწერალი ქალის ვნებანია“, რომლზეც შედარებით ვრცლად შევჩერდები თემატიკიდან გამომდინარე. მოთხრობის სათაური გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“-ს ინტერტექსტს წარმოადგენს. მიხეილ ბახტინის მიხედვით ყველა ტექსტი შეიცავს „სხვის სიტყვას“, ციტატებს, რომლებიც უხილავ „ინტერნაციონალურ ბრჭყალებშია“ ჩასმული და მკითხველს სხვა ტექსტსა თუ ტექსტებზე მიუთითებს. ერთი სიტყვით, არც ერთი სიტყვა (parole) და ტექსტი არ არის თავისუფალი სხვა სიტყვებისა თუ ტექსტების ხმებისგან. ბახტინი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვერბალურისა და არავერბალურის ზღვარზე მდებარე ინტონაციას, რომლის ამოკითხვა მკითხველის კომპეტენციაში შედიოდა. მაკა მიქელაძის მოთხრობის სათაურში გაჟღერებული ეს ხმა გოეთეს ეკუთვნის, და ირონიული ინტონაციაც სახეზეა (ჩემს პირად წაკითხვაში მაინც). თუკი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანში“ ტექსტში სასიყვარულო სამკუთხედია ვერტერს, ლოტასა და ალბერტს შორის, „ახალგაზრდა მწერალი ქალის ვნებანშიც“ ერთგვარი სასიყვარულო სამკუთხედია, ოღონდ – ამჯერად მწერალ ქალს, ლიტერატურულ ტექსტებსა და მწერალ კაცს შორის, რომელიც, პირველი ტექსტისგან განსხვავებით, თვითმკვლელობით კი არა მეტოქის (მწერალი კაცის) მკვლელობით სრულდება. მწერალი კაცი თვლის რომ რაც მისთვის, მწერლისთვის (თუ კაცისთვის) შესაძლებელია, განუხორციელებელია მწერალი ქალისთვის („იგი თვლიდა რომ წარმოსახვაში მომხდარი ცვლის რეალობას, და ჩვენ, მწერლებს, თან კაცებს კი და ქალებს არა, მშვიდად შეგვიძლია ერთმანეთის წარმოსახვების ცვლით, ვცვალოთ ერთმანეთის და დანარჩენთა ბედ-იღბლები, ხვედრკარმები და სიზმარ ცხადი“). თავისი მრწამსი მას იმის შესაძლებლობას აძლევს რომ მწერალ ქალს სიზმრები მოპაროს ხოლმე და ამით საკუთარი კრეატიულობა ასაზრდოოს. მწერალი ქალი და მწერალი კაცი მაკა მიქელაძის მოთხრობაში ტოვებენ საკუთარი კონკრეტული პერსონაჟების საზღვრებს და ზოგადად ქალი და კაცი მწერლების არქეტიპებად გარდაიქმნებიან. როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის ხმათა გამაჟღერებელი ექსპლიცი-

ტური ციტატები სწორედ ამას ამტკიცებენ. მწერალი ქალის (არა კონკრეტული პერსონაჟის) ერთერთი (და როგორც ტექსტიდან ირკვევა, ეკლით ნაკლებად მოფენილი) გზა მწერლის ცოლად/საყვარლად გახდომის გზაა („მე დავმშვიდდი და მოვდუნდი, იმ იმედით, რომ როდესმე გენიალური მწერლის საყვარელი მაინც დამერქმეოდა, თუ გენიალური მწერალი არა. დროზე ადრე“... „ერთადერთი რასაც მწერალმა ქალმა შეიძლება გამოჰკრას ხელი-დიდი-დიდი მწერალი კაცია, რომლისგანაც უკეთეს შემთხვევაში მწერალს დააყენებს“). ამ გზის საწინააღმდეგოდ მწერალი ქალი თავის მწერლურ კონცეფციას, რომ „რეალური მხოლოდ რეალობაა. წარმოსახვა რეალური ხდება, მხოლოდ რეალიზაციის შემდეგ“ ღალატობს, თვითონაც სიზმრების ქურდობას იწყებს და მისი მოწინააღმდეგის კონცეფციაზე გადასული სათამაშო თოფით რეალურად კლავს მას; ამ ნაბიჯით ამავდროულად მტრის შეცდომას ამტკიცებს: მწერალმა ქალმა შეძლო ის, რაც მწერალი კაცის აზრით მხოლოდ მწერალ კაცებს ხელეწიფებოდათ. ციხე, რომლის კედელზეც პროტაგონისტი ამ მოთხრობას წერს ერთ დიდი ლიტერატურულ ტილოს განასახიერებს („ციხეში ჩემამდეც ბევრი მწერალი იჯდა, ამიტომ საწერი სივრცე არ მყოფნის“) თვითონ ამ მოთხრობას ბარტის ფრაზა „ტექსტი კულტურის უთვალავი ცენტრებიდან ამოღებული ციტატების ქსოვილია“ ალბათ სრულყოფილად შეესაბამება. ეს კედელი, მოთხრობასთან ერთად მიზანაბიმურ კონსტრუქციას ქმნის, რადგანაც როგორც ტექსტი, ისევე კედელი სავსეა სხვათა სიტყვითა და ექსპლიციტური ციტატებით. მწერლის ერთ-ერთი ბოლო ფრაზა – „თუ ვინმეს რამე დაუწერია, წაშალონ. ჩემი წიგნები იპყრობენ მსოფლიო ბაზარს. სივრცე მჭირდება“ – ამბოხია აწ უკვე გარდაუვალი ინტერტექსტუალობის წინააღმდეგ.

რეფრენი: რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში ქართველი ქალი მწერლები?

ნინო თარხნიშვილის მოთხრობა „ევლია“ თავად ჰგავს ისეთ სიზმარეულ ზმანებას, რომელიც ბატონებისას ეწვევა ხოლმე სიცხით გათანგულ ადამიანს და სიმბოლოებით არის დატვირთული. მთავარი გმირი მაღაზიაში მიდის, სადაც ადამიანებზე 70-პროცენტიანი ფასდაკლებაა და სადაც ცოტა ხანში ახალ წითელ კოპლებიან ადამიანთა კოლექციას ელოდებიან, რომლის დიზაინზეც „იმუშა-

ვეს მხოლოდ კაცებმა, მამაკაცებმა, მამრებმა, ძლიერი სქესის სუსტმა წარმომადგენლებმა“. „ზედმეტად სტანდარტული ზომის“ ევლიას გამყიდველი უარით ისტუმრებს. თუმცა ევლიას ეს არ ადარდებს, რადგანაც სარკეში საკუთარ თავს ვეღარ ხედავს, ანუ საკუთარი სახის, იდენტობის თუ იდეალური ეგოს გარეშეა დარჩენილი. თვითონ პროტაგონისტის სახელი „ევლია“ „ილევას“ ანაგრამაა. მოთხრობაში მართლა ყველა ილევა-იცლება: ჯერ კოლექციის შემქნელი დიზაინერები გაიღებენ სისხლს; მლოცველს, რომელსაც ევლია მიმართავს დახმარებისთვის, თვალები ჯერ იქ მცხოვრები წითელწინწკლებიანი თევზებისგან დაეცალა, შემდეგ კი ცრემლებისგან; თავად ევლიას ჯერ სიზმარში გამოსწოვეს სისხლი ნეკის ტოლა ბავშვებმა, შემდეგ კი ანარეკლი გამოეცალა სარკიდან. ფაქტობრივად დაბრმავებული მლოცველი (მის თვალებში მხოლოდ ორი გახრწნილი თევზის გვამია დარჩენილი) ევლიას ვერ შველის, მხოლოდ ეუბნება რომ მხოლოდ უნიკალურ წითელ კოპლებიან ადამიანს შეუძლია მისი შველა ახალი კოლექციიდან. სამაგიეროდ ევლია მლოცველს ულოცავს და წითელწინწილკებიან თევზებს ანთავისუფლებს. ჰაერში ფრენისას წითელი წინწკლები სცვივათ და მიწაზე დაცვენილნი ევლიას ესტუმრებიან უცხო სტუმრების სახით და სწორედ ევლია გარდაიქმნება იმ უნიკალურ, წითელწინწკლებიან ადამიანად, რომლის შემოსვლასაც მოუთმენლად ელის მთელი ქალაქი და რომელსაც ევლიას გადარჩენა-მისთვის ანარეკლის, იდენტობის, იდეალური ეგოს დაბრუნება შეეძლო. სისხლისგან დაცლილი პროტაგონისტის თუ ტექსტის ორგანიზმი კვლავ ივსება სისხლით, წრე შეიკრა. თუმცა დეკონსტრუქციული წაკითხვით დასასრული არაერთმნიშვნელოვანია: ევლია ხომ ახლა თვითონ ხდება მაღაზიაში გამოსაფენი და გასაყიდი, გასაგნებული ადამიანი.

თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობა „აჩრდილი“ ახალგაზრდა ქალზე და მის რეალობასთან კონფლიქტზეა. მაგდა (პროტაგონისტი) ფსიქიატრიულში თავისი წარმოსახვითი მეგობრების გამო მოხვდა. გამოჯანმრთელებული, ათი წლის შემდეგ რეალურ ცხოვრებას მეძავად უბრუნდება, სანამ მორიგ კლიენტად მისი დაავადების მიზეზი, უკვე გაზრდილი და დაკაცებული წარმოსახვითი მეგობარი არ ესტუმრა. მეგობრის სტუმრობამდე მაგდა ტელევი-

ზორში ცუნამის მსხვრეპლთ უყურებს, მართალია გულგრილად და ყოველგვარი ემოციის გარეშე, მაგრამ ეს უკვე წინასწარი ნიშანია, რომელიც მაგდას ცხოვრებაშიც მოახლოებულ კატასტროფაზე მიუთითებს. ალექსის გამოცხადების მერე მაგდა კვლავ ექიმს სტუმრობს. ექიმი ფსიქიატრულის თავიდან არიდების ერთადერთ ალტერნატივად საკუთარი ავადმყოფობის, ანუ ალექსის მკვლელობას სთავაზობს. ექიმისთვის მიუღებელია იმ სინამდვილის არსებობა, რაც მისთვის გაუგებარი და უცხოა. მაგდაც მისდევს მის რჩევას, ალექსს ლოგინში დანით კლავს და მის სხეულს მდინარეში აგდებს, ანადგურებს. მეორე დილით კი, როდესაც მორიგი კლიენტისთვის კარის გასაღებად მიდის, იმედი უჩნდება, რომ „ზღურბლზე მდგომი მამაკაცი ძალიან ემსგავსებოდა მის მიერ მდინარის ფსკერზე დატოვებულ წარმოსახვით ადამიანს“. ამ იმედით იგი ამსხვრევს თავისი ფსიქიატრის რაციონალიზმს და რეალობას.

კონკიას ზღაპრის მოდერნიზებული ვერსიაა მაკა ლდოკონენის თავსდატეხილი „თეშდიდები და სუქუნები“. ბებიის მიერ კინკაჟუს მიმსგავსებული და სახელადაც კინკაჟუ შერქმეული ლემურის თვალებიანი გოგონას ისტორია, რომელსაც თეშდიდებად და სუქუნებად აწვიმდა ბებიის ცრუმორწმუნეობრივი დარიგებები: „არასდროს დამიბანია ან შემიკვეცავს თმები ორშაბათსა და ოთხშაბათს; არ დამიჭრია ან გამიქლიბავს ფრჩხილები და დამითვლია ფული ღამით; არ დამიწყია ახალი საქმე, არ დამიხარჯავს ან გამისესხებია ფული ორშაბათს; მუდამ ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს და ველოდი შედეგებს მარჯვენა თუ მარცხენა ხელის ან ფეხის გულის, ცხვირის წვერის ქავილისას; არ ვაძლევდი ან ვართმევდი ხელიდან ხელში არავის: ცოცხს, საპონსა და მესს; არ ვდებდი მაგიდაზე გასაღებს, ხოლო პურს უკუღმა; არ ვშლიდი ქოლგას და არ ვუსტვენდი ოთახში, არ ვაბიჯებდი ზღურბლს მარცხენა ფეხით...“ ბაბუის მარჯვნიდან მარცხნივ განლაგებულ სამყაროში კინკაჟუ აღმოაჩენს, რომ ეს შეგონებები ძალიან ჰგავს სუქუნებს და თეშდიდებს, სიმბოლოებს, რომლებსაც არაბები თანხმოვნების მიხედვით აწერენ ზემოდან სიტყვებს. ამიერიდან სუქუნები და თეშდიდები ბებიისეული დარიგებების ჩამანაცვლებელნი ხდებიან, ისეთივე კინჟაკუს ისტორია კი შემდეგნაირად

ვითარდება: მემკვიდრეობით მიღებული უაზრო მსჯელობებისა ცრურწმენების გამო აბუჩად აგდებულ, მეგობრის ქორწილიდან გამოქცეული კინკაჟუს წვიმაში თავისი „პრინცი“ აღმოაჩენს, რომელიც, როგორც ტაქსიდერმისტი, მაშინვე იცნობს გოგონაში კინკაჟუს და სახლში წაყვანას სთავაზობს. კინკაჟუც მიემართება მისკენ და იმედოვნებს, რომ მისგან „ფიტულს არ დაამზადებს ჟღალთმიანი ტაქსიდერმისტი“. თუმცა ეს კონკიას პრინცთან შეხვედრა არ არის ერთმნიშვნელოვნად „ბედნიერი დასასრული“ და არც თავად „პრინცის“ ფიგურაა ასევე ერთმნიშვნელოვნად დადებითი. იგი ფიტულების დამამზადებელია რაც პროტაგონისტს, როგორც კინკაჟუს განმასახიერებელს, სიკეთეს არ უქადის. პერსონაჟის მთავარი ისტორია- გაუმართლებენ თუ არა სუქუნ თეშდიდები ან განთავისუფლდება თუ არა თავსდატეხილი სიმბოლოებისგან ტექსტის მიღმა რჩება.

რეფრენი: რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში ქართველი ქალი მწერლები?

თეა თოფურიას („პიტნის კალო“) და მაგდა კალანდაძის („როგორ დავივიწყოთ გერმანული“) დედა-შვილის დაძაბულ, არაჰარმონიულ ურთიერთობებს ეხება. „პიტნის კალო“ ორი ნარატიული ხმისგან შედგება და შვილის და დედის პერსპექტივით. დედის ნარატივი, რომელსაც არც კი ახსოვს თუ როგორ და როდის გააჩინა მეშვიდე შვილი, შვილის უგრძნობლობასა და მის მიზანთროპიაზე მოგვითხრობს, იგი მისთვის უცხოა, გაუგებარი, მისი გარშემომყოფებისადმი სრული გულგრილობა და მათგან თავისდაღწევის მუდმივი სურვილი აშინებს კიდევაც. მაშინ, როდესაც შვილი დედას იმაში ადანაშაულებს, რომ საკმარისი სიყვარული არ მისცა და ეს გრძნობა არ ასწავლა (დედის პასუხი: „განა რა სწავლა უნდა სიყვარულს“). შვიდი შვილის მშობელი მოხუცებული დედა მარტოა დარჩენილი სოფელში (ამ დროს საკუთარ თავს საყვედურობს, რომ შვილები უგულოდ, უსიყვარულოდ გაზარდა და ამიტომაც დარჩა ეულად) როდესაც „უძღები შვილი“ მის სანახავად მიდის. ბოლო სცენა შთამბეჭდავია: ეზოში ძროხას მოწველის, რძის შხეფებით გაილუმპება და მერე მოწველილ რძეს დედას ასმევს. ამით თითქოს მათ შორის არსებული ვაკუუმი ივსება. ფსიქოანალიზში რძე დედობრივი სიყვარულის ნიშანია: ჩვილი სწორედ დედის რძის რაოდენობით

საზღვრავს დედის სიყვარულს მისადმი. ანუ სიყვარულის, იგივე რძის ნაკლულობა, რასაც შვილი დედას საყვედურობს თავის ნარატივში, ივსება და ორივეს აერთიანებს. ამ მოთხრობასთან დაკავშირებით კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს გამოჰყოფდი: შვილი ხატს ახსენებს, სადაც იესოს მარიამი ხელში უჭირავს, ტექსტს შემდეგი ფრაზა ამთავრებს: „(დედა) ავიყვანე სანამ ოთახში სკამს მოვძებნიდი, კარგა ხანი მეჭირა ხელში". ეს სცენა თითქოს მას, კაცთმოძულეს და სიყვარულის არმცოდნეს ქრისტესთან, კაცთმოყვარეობის უპირობო სიმბოლოსთან აახლოვებს, თუმცა თავისი გულჩახვეულობით და წითური თმებით ტექსტის მსვლელობის მანძილზე მის საპირისპირო იუდას ასოციაციას იწვევს.

თუ თეა თოფურიას მოთხრობაში დახატული დედა ტრაგიკული ფიგურაა და მისი გმირი თვითანალიზით ვითარდება, მაგდა კალანდაძის „როგორ დავივიწყოთ გერმანულში" რეპრეზენტირებული დედის პერსონაჟი დაკნინებული და ერთგვარად სასაცილოა. იგი არ წარმოადგენს არანაირ ავტორიტეტს ქალიშვილისთვის, რომელიც მისით ფრუსტრირებულია და „უკეთესი" დედის სახეს მასზე უფროს ქალთან ლესბოსურ კავშირში ეძებს. ეს ურთიერთობა მართლაც დედისა და ბავშვის ურთიერთობას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე საყვარლებისას. მაგრამ ის საყვარლისგანაც იმედგაცრუებას განიცდის. სახლში მომავალი კი ტრანსპორტში უცხო ქალს შენიშნავს, რომელიც მისი აზრით იმ კატეგორიას განეკუთვნება რომლებსაც „შვილი რომ უკვდებათ და სალონში რომ გარბიან, მომსვლელებს მოუწესრიგებელი ხომ არ დავენახვებიო". უცნობზე პერსონაჟს მთელი თავისი დაგროვილი გაღიზიანება და აგრესია გადააქვს და საკუთარ თავს პირდება, რომ აუცილებლად მოკლავს მის შვილს თუკი ოდესმე შეხვდება, ავტობუსიდან ჩასვლისას აღმოაჩენს, რომ ეს უცნობი ქალი დედამისია: ამ მოთხრობის შემთხვევაში კონფლიქტიდან გამოსავალი მხოლოდ თვითლიკვიდაციაა.

რეფრენი: რაზე წერენ მოცემულ ტექსტუალურ რეალობაში ქართველი ქალი მწერლები?

თამთა მელაშვილის „ერთი და ორი" არის მოთხრობა „მამაკაცის სამყაროში" ჩაჭერილ ქალებზე, რომლებიც ახლართულან მამაკაცების მიერ წარმართულ კავშირებში და რომელთაც ჰგონიათ, რომ დამოუკიდებლად მოქმედებენ, თავად აკონტროლებენ და წარმარ-

თავენ. ეს არის მოთხრობა ქალებზე, რომელთაც ურთიერთმეტოქეობა ღუპავთ. ერთი და ორი: ერთი მამაკაცი და ორი ქალი. ტექსტუალურ სივრცეში იგივე სახის სამკუთხედი იქმნება ორი ნარატორ/ნარატივის და ერთი ტექსტის სახით. თხრობას ორი ნარატორი წარმართავს და ეს ნარატივები ისევე იბრძვიან ტექსტზე საკუთარი პრივილეგიის განტკიცებისთვის და უპირატესობისთვის, როგორც ნარატორები მათი ზიარი მამაკაცის მოსაპოვებლად. საბოლოოდ ორივე ქალი მარცხდება, ორივეს მამაკაცი ამარცხებს, ისევე, როგორც ტექსტი თავისი მოულოდნელი დასასრულით ურთიერთთან მოჭიდავე ნარატივებს.

აქამდე ნახსენები ყველა მოთხრობისგან განსხვავებით, ნინო სურამელაშვილის „არისტოკრატული გართობის“ გმირებზე ძნელია ითქვას, რომელი სქესის წარმომადგენლები არიან, რადგანაც ისინი თავისუფლად შეიძლება, ორივე სქესს ასახიერებდნენ. მოთხრობის მთავარი გმირები (მე და ჩემი ებრაელი მეგობარი) მეამბოხეები არიან, სხვადასხვა ასპექტში: ნარატორი სახლიდან წამოსვლით (თუმცა რას და ვის აუჯანყდა თავისი ამ ნაბიჯით, ამაზე ტექსტი არაფერს გვეუბნება პირდაპირ და საფიქრალსა და იმპროვიზაციის საშუალებას გვიტოვებს), ებრაელი მეგობარი კი „ავანტურისტობს“, სხვის ტყავში ძვრება, თავს იმად აჩვენებს, ვინც არ არის, იდენტობებს იცვლის, სხვადასხვა ნიღბებს ირგებს, ერთი სიტყვით, მსახიობობს. ნარატორიც მასთან ერთად, თუმცა ამ თავგადასავლების წამყვანი და მიმართულების მიმცემი ებრაელი მეგობარია. და სწორედ ამ სპექტაკლებით გამოიხატება მისი ამბოხი: ამბოხი რეალობის, იმ „დრომორჭმული“ და „მექანიკური“, ცხოვრებისეული პიესის წინააღმდეგ, რომელსაც ნარატორი თავის მოთხრობაში უკითხავს მეგობარს. ისინი თვითონვე ხდებიან მსახიობები ამ პიესაში ახალი, გამოგონილი ეპიზოდების შეტანით და აბსურდის პერსონაჟებს უახლოვდებიან, როგორც ამას კამიუ ამბობს მსახიობებზე საუბრისას „სამ საათში უნდა განიცადო და გამოხატო განსაკუთრებული ბედი. სწორედ ამას ჰქვია, დაკარგო საკუთარი თავი საკუთარი თავის მოსაპოვებლად“.

აქამდეც შეიძლებოდა მეთქვა, რომ ტექსტის სათაური ბევრ რამეს ამბობს მოთხრობაზე (თუმცა იგულისხმებოდა). ანა კორძა-

ია-სამადაშვილის „ბერიკაობის“ სათაურიდანვე გვამცნობს, თუ რასთან გვექნება საქმე: მომხიბლავ, წარმართულ, ეფემერულ დღესასწაულთან. და თანაც, ისეთ დღესასწაულთან, როდესაც ყველაფერი თავდაყირა დგას, როდესაც კარნავალი ზეიმობს: ამ დროს ბიჭი საოცარი კაცი ხდება, „საშუალოსტატისტიკური, ვითომდა წარმატებული ქართველი“, რომლის მსგავსნიც „ფერადი კენჭებივით ეყარნენ ოდესღაც შავი ზღვის სანაპიროზე“ დიდი არტისტი, არარსებული კი – ხელშესახები. თვითონ ტექსტიც ბერიკაობის, კარნავალის განსახიერებაა-იმედგაცრუება სიცილად და ირონიად არის გარდაქმნილი, რაც ტექსტს მსუბუქ და სასიამოვნო საკითხავად აქცევს და სწორედ ამაშია მისი სიმძიმე.

ირმა ტაველიძის „დროთა შეთანხმების წესთან“ დაკავშირებით კუნდერას დავესესხები ერთ ფრაზას: „ცხოვრება მუსიკალური თემის ვარიაციას ჰგავს“. ტექსტის განვითარება ერთი თემის დროში ვარიაციას იმეორებს, ათ წლიანი ინტერვალით. განათლების სისტემაში აკრძალულია ცეცხლთან თამაში, მაგრამ თამაში მაინც ხდება (უხეშად რომ ვთქვათ) მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, და სხვადასხვა დროს სხვადასხვნაირი რეზულტატით. დროთა შეთანხმების წესის მიხედვით, კლასში გათამაშებული სპექტაკლი მასწავლებლის რეალობად იქცევა იმავე თემაზე მომდევნო ვარიაციისას. მიზანაბიმური კონსტრუქციაა მოცემული: ერთ სიბრტყეში დროთა შეთანხმების წესი გაკვეთილზე იხსნება მასწავლებლის მიერ, მეორე სიბრტყეში კი თავად მოთხრობა ხსნის დროთა შეთანხმების წესს: „პირდაპირი ნათქვამის ირიბად ნათქვამად ქცევისას დროთა შეთანხმების წესი...“ – ტექსტში ამ ფრაზას მასწავლებელი არ ასრულებს. მის ნაცვლად ფრაზას თავად ტექსტი ამთავრებს.

ეს არის იმ მოთხრობათა ჩამონათვალი, რომელსაც კრებული მკითხველებს სთავაზობს. ბოლო სიტყვის სახით მხოლოდ იმას დავძენ, რომ პირადად მე უფრო ტექსტის თავისთავადობის, მისი შინაგანი თამაშის და უსასრულო რაოდენობის ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობებისკენ ვიხრები, რომელსაც თითოეული მკითხველი თავად მიანიჭებს მასს, დანარჩენიც თავად მკითხველმა განსაჯოს.

თეონა
დოლენჯაშვილი

„ახრდილი"

აჩრდილი

საათმა შვიდზე დარეკა. მაგდას საძინებელ ოთახში შეწყვეტილი სიზმრისა და ადრიანი დილის სუნი იდგა. თეთრ ბალიშისპირს მკრთალად აჩნდა მისი სახის მრგვალი მოხაზულობა. ერთხანს საწოლზე ჩამომჯდარი აყურადებდა დილის სიჩუმეს, მერე თმა შუაზე გახლეჩილი ძილის მსგავსად გადაიყო და კეფაზე აიკრა. საუზმობისას გრძელი, ხვეული თმის ბოლოები ჩაის ფინჯანში მიძვრებოდნენ და ყელში გაჩხერილი თმის ღერების უკან გადმოფურთხება უწევდა. მატისის რეპროდუქციებით გაწყობილი აბაზანის კარი შეაღო და ქაფიან წყალში ჩაწვა. ზანტად აკვირდებოდა როგორ ეხვეოდა მზერისგან გაცვეთილი სურათები აბაზანის ორთქლში. პირველი კლიენტი ალბათ უკვე გზაში იყო. მძიმე სამუშაო დღის დასაწყისის სევდა შემოაწვა...

აბაზანიდან გამოსულმა ფუნჯი საღებავში ჩააწო და ინტიმური ადგილების მოხატვას შეუდგა. სხეულზე ფერადი ფიგურების გამოყვანა მაგდამ ფსიქიატრიულ კლინიკაში ისწავლა, სადაც ცხოვრების ათი მთვლემარე და ბუნდოვანი წელიწადი გაატარა. იქ სიზმრებს – ჯავზის კაკლის, სხეულზე სწრაფადშემშრალ აკრილის საღებავს კი ვანილის მოტკბო სუნი ასდიოდა. ფერწერის პირველი გაკვეთილები შეშლილი მხატვრისგან მიიღო, საკუთარი თავი მაქს ერნსტი* რომ ეგონა... მაქსი მაგდასგან განსხვავებით ნამდვილი გიჟი იყო, ჩრდილისა და სხივის, ბნელისა და ნათელის შერწყმის იდეით შეპყრობილი. მაგდა ჯერ მისი ნატურა იყო, მერე მოსწავლე და ბოლოს – საყვარელი, და უნდა ითქვას, რომ ამ სამი როლიდან მაგდასთვის ყველაზე რთული პირველი – თეთრ და გაყინულ პალატებში სიცივისგან გალურჯებული სხეულის საათობით გაშეშება აღმოჩნდა.

მაგდა წამით ჩაფიქრდა. შიშველ და დილის პირველი სიგარეტის კვამლში გახვეულ საკუთარ გამოსახულებას გახედა, იმპოზანტურად რომ ირეკლავდა შემოსასვლელი ოთახის სამად გაყოფილი სარკე, და გაიფიქრა, რომ რიგითობის ეს წესი მაქსმა რაღაც განსაკუთრებული, წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებით დაიცვა. ფერთა წერის შესწავლა რომ დაიწყო, მაგდას ჯერ კიდევ ესიზმრებოდა საკუთარ სახლის სახურავქვეშ შეფარებული ანგელოზები. იმ

დროისთვის კი, როდესაც მაქსმა მაგდა საკუთარი სხეულის სილამაზეში დაარწმუნა და ამ სილამაზის გამოყენების გზებიც ასწავლა, ის უკვე აღარ ხედავდა მის მიერვე გამოგონილ, წარმოსახვით ადამიანებს, სამაგიეროდ, გარემომცველმა სამყარომ ჩვეული ჰარმონიულობა და მთლიანობა დაკარგა და ცალკეულ, ფრაგმენტულ კომპოზიციებად და ბნელ, გადადღაბნილ სიზმრებად დანაწევრდა.

მაგდამ თავზე შემოხვეული პირსახოცი მოიხსნა და ტელევიზორი ჩართო. კლიენტი აგვიანებდა და შეეძლო საინფორმაციო გამოშვებებისთვის ესმინა. ისევ წყალწაღებულთა გვამებს აჩვენებდნენ. ოკეანის ტალღებიდან მუცელგაბერილი ბავშვების ცხედრები ამოჰქონდათ და უზარმაზარ კატაფალკებზე აწყობდნენ. მაგდა მიეჩვია, რომ ტელევიზიები ყოველ დილით მძაფრი და დამზაფვრელი სანახაობებით იწყებდნენ მაუწყებლობას. სინამდვილეში ხომ შოკისმომგვრელი ინფორმაციები მაყურებლის ფსიქიკაზე დამამშვიდებლად მოქმედებენ. მათი უმრავლესობისთვის არაფერი იცვლება, ეკრანს გულგრილად უცქერენ, ჭიქა ყავას წრუპავენ და მაგდას მსგავსად უხარიათ, რომ ამ ბავშვებისთვის ახლადმოხატული ძუძუ არ უწოვებიათ.

ზარი კარზე შვიდ საათსა და ორმოცდაათ წუთზე გაისმა. ამ დროისთვის ზემო სართულზე სარეცხი მანქანის გუგუნი შეწყდა და ვიღაცის დანაოჭებული ხელით გაფენილი ნახევრად სველი საცვლებიდან გამდინარე წყლის წვეთებმა ეზოს სიმშვიდეში მთვლემარე კატებს ძილი დაუფრთხო, მაგდამ კი ნაღვლიანი სტატისტიკა შეადგინა და დაასკვნა, რომ თუ კლიენტები სამი თვის განმავლობაში მის ნაცვლად საკუთარ თანამეცხედრეებს გაანაყოფიერებდნენ, მათ მიერ შობილი ჩვილები სრულად აანაზღაურებდნენ ცუნამის მსხვერპლთა რიცხვს.

ზარმა კარზე საბრძოლო გონგივით ჩამოკრა. მაგდამ წითელი, ვეებერთელა დრაკონებით მოხატული კიმონო მოიცვა და კარის გასაღებად გაემართა. ზღურბლზე საშუალო სიმაღლის, ფერმკთალი მამაკაცი იდგა და საოცრად წააგავდა მის მიერ შორეულ წარსულში დატოვებულ წარმოსახვით ადამიანს...

* * *

მამაკაცს ტილოს თეთრი შარვალი და თეთრი მაისური ეცვა, გულზე უცნაური წარწერით: non solus*. ბინაში ნელა, თითქმის

ფეხაკრეფით შეაბიჯა და მაგდას ნაცვლად თაროზე შემოდგმულ იაპონური ხინას გაყინულსახიან თოჯინას გაუღიმა.

– ალბათ ვერ მიცანი. მე ალექსი ვარ. გახსოვს, რომ მოვდიოდი?.. მაშინ პატარები ვიყავით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...

– არა, გიცანი. როგორ არ გიცანი. უბრალოდ...

– შენ კი სრულებით არ გამოცვლილხარ. ისევ ისეთი ლამაზი ხარ.

მაგდა ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. კაცი ნამდვილად წარმოსახვითი იყო, წარსულში დატოვებული სიგიჟისა და ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ ის ახლა მის კლიენტად ქცეულიყო, დილის სეანსზე ჩაწერილიყო და მაგდა აბეზარი ბუზივით ხელს ვერ აუქნევდა, ოთახში დაგუბებული კვამლივით ვერ გაფანტავდა. მას, როგორც უმაღლესი კლასის მეძავს, ნებისმიერი კლიენტის სურვილის ასრულება და დაკმაყოფილება ევალებოდა.

ალექსის სურვილები კი მაგდამ იმთავითვე ამოიცნო. კიმონო რომ გაიხადა, ის უკვე საძინებელი ოთახის ფართო საწოლზე იწვა, უსაშველოდ სევდიანი თვალებით უცქერდა და გული ციცინათელას ნათების სიხშირით უძგერდა – თანაბრად, მაგრამ სუსტად. მაგდა გვერდით მიუწვა, კაცის ცხელ ლოყას გრილი, ხაოიანი ენა ააყოლა და თითები თავის ქალის მოგონილ მოხაზულობას შემოაჭდო. თვალდახუჭული ეალერსებოდა სიცარიელეს და ისიც ნელა, გამოზოგილი სიამოვნებით ეუფლებოდა მის დაღლილსა და ტკივილებით მოხატულ სხეულს...

სადღაც ტელეფონი აწკრიალდა; გულგრილად, მექანიკური სიზუსტით გამოთვალა ზარსა და ზარს შორის გადარჩენილი სიჩუმე... ისევე, როგორც ბავშვობაში არარამ სახე, ფორმა და ფერი შეიძინა და მაგდა კვლავ წარმოსახვის უძირო ჭაში ჩაეკიდა. ყური არარსებული ალექსის ვნებით აჩქარებულ გულისცემას მიუგდო და წარსულიც ზამთრის გრძელ ღამეში გზაკვალარეული სიზმარივით გაცხადდა.

* * *

მაგდამ გაზაფხულის პირზე აურია. აპრილის თბილი, ღრუბლიანი ამინდები იდგა. ვიდრე კლინიკაში წაიყვანდნენ, იატაკზე იჯდა და ხის პაწაწინა კოლოფებიდან მძივებს აწყობდა. მის ირგვლივ ნაირფერი ტანსაცმელი ზღვის ღელვას გადარჩენილი და ნაპირზე გამორიყული ცოცხალი არსებებივით ეყარა. დიდი, შიშვე-

ლი ფანჯრებიდან ჩიტების ფრენით დაღლილი ცა ჩანდა. სადღაც ტელეფონი რეკავდა. შეუსვენებლად, უცნაური დაჟინებით რეკავდა. მხოლოდ ზარსა და ზარს შორის გაჩენილი სიჩუმის ბზარებში ახერხებდა ამოსუნთქვას.

ის კი იჯდა ასე – ოთახის შუაგულში ქოთნის ყვავილივით ჩარგული, ფესვებივით გაშლილი გრძელი თმითა და მოტყუებული ბავშვის თვალებით. სამკაულებს მეჯლისზე მიმავალი კონკიას მონდომებით არჩევდა, მაგრამ მისი თითების მოძრაობაში იგრძნობოდა რაღაც განსაკუთრებული დაღლილობა. მაგდა მაშინ თხუთმეტი წლის იყო. იმ ასაკში, როდესაც გოგონებს სჯერათ, რომ სიყვარული ყველგან შეიძლება იპოვო, მათ შორის სულით ავადმყოფთა დაშრეტილ თავშესაფარშიც.

კლინიკის თეთრი მანქანით წაიყვანეს. ალექსი, ლაშა და ნინაკა აცილებდნენ, მაგდას წარმოსახვითი მეგობრები, რომლებიც იმ ფსიქიატრზე ცოცხლები და ნამდვილები ჩანდნენ, მაგდა დიდ, უფანჯრო ოთახში რომ გასინჯა. „პაციენტს აღენიშნება კანდინსკი – კლერამბოს სინდრომი, ხედვითი და ვერბალური ჰალუცინაციები ბოდვითი ინტერპრეტაციით. პაციენტი პერიოდულად მართავს ჰალუცინაციურ მონოლოგებს საკუთარ თავთან. ბოდვა ხდება ფანტასტიკური და მის ხედვით სივრცეში ჩნდებიან ფსევდო არსებები. ავადმყოფობა პროგრესირებადი ხასიათისაა. პაციენტი საჭიროებს დაუყონებლივ ჰოსპიტალიზაციას," – ფსიქიატრმა დასკვნა დაწერა და განაჩენი საავადმყოფოს ჰოლში ჩამომჯდარ მაგდას ოჯახის ერთადერთ წევრს ხმამაღლა და დამარცვლით წაუკითხა. ანეტა ბებო უკვე მოხუცი იყო, მაგრამ დამშვიდობებისას მაგდას გულში რომ იკრავდა, მთელი სიცხადით გრძნობდა მიწიდან მოგლეჯილი წითელი ყვავილების შიშსა და უმწეობას და იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ამიერიდან შვილიშვილს მხოლოდ თმააბურძგნული და ხელებაკანკალებული გიჟებით დასახლებულ კუნძულზე თუ შეხვდებოდა. მას შემდეგ ანეტამ მაგდა სულ ორჯერ ნახა და მეორე გზობას, კლინიკიდან შინისკენ მიმავალ ავტობუსში გულის შეტევით გარდაიცვალა.

მაგდა ხილვასა და ცხადს შორის გადებული დანის პირზე ცხოვრობდა. ანეტა ბებომ სამუდამოდ მიატოვა, ძველი მეგობრებიდან კი მხოლოდ ალექსი სტუმრობდა. ისიც მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როდესაც მაგდა მარტო იყო, სრულიად მარტო. კლინიკაში

შემოპარვას ალექსი ყველაზე უკეთ ბნელ, უმთვარო ღამეებში ახერხებდა. მაგდა პალატაში იჯდა და ეზოში ნაპოვნი კენჭით კედელზე დაჩხაპნილი საათის ისრებს უცქერდა. ისრები შიგ მის სხეულში გადაადგილდებოდნენ და მტკივნეულ წიკწიკს მხოლოდ მაშინ წყვეტდნენ, როდესაც პალატაში ალექსის სათვალის მინაზე არეკლილი ბაცი შუქი გაიელვებდა. ის და ალექსი ღამის სიბნელეში თავზე საბანწაფარებულნი საათობით ჩურჩულებდნენ. შუაღამისას მორიგე ექიმი შემოვლას იწყებდა და იქამდე ერთმანეთისთვის ბევრი რამის თქმა უნდა მოესწროთ. ალექსი ზოგჯერ პიჯაკის ჯიბიდან წიგნს ამოაძვრენდა და უკითხავდა. უკითხავდა დიდხანს, ვრცლად და სხვადასხვაგვარად. საბნით შემოსაზღვრულ ჰალუცინოგენურ სივრცეში ჟანგბადი ილეოდა და მაგდა ჰაერის ჩასაყლაპად დროდადრო თავს ზემოთ ამოყოფდა. რეალობასთან დაბრუნების წამებში ალექსის სიტყვები წყდებოდა და მასთან ერთად უჩინარდებოდა. ამ დროს მაგდა მხოლოდ წიგნის ჯერ კიდევ წაუკითხავ გვერდებსა და თეთრ ფურცლებზე ჩამწკრივებულ შავ ასოებს ხედავდა. ნაპირზე ამოგდებული თევზივით ივსებდა ფილტვებს ჰაერით, რომელიც ასოებს შორისაც ისე ჩალაგებულიყო, როგორც წაკითხულიდან გამოტანილი აზრი შეშლილი გონების იდუმალ ხვეულებში.

მაგდას სამყარო შეიცვალა. მკურნალმა ექიმმა კი აღმოაჩინა, რომ გოგონას მისთვის აქამდე უცნობი და საიდანღაც ამოკითხული ცოდნა გაუჩნდა. ცოდნა სამყაროს, ღმერთის, სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ. „მეტაფიზიკური, ფილოსოფიური ინტოქსიკაცია“, – ჩაწერა ექიმმა მაგდას ავადმყოფობის ისტორიაში და პაციენტის დილის რაციონს ახალი ძლიერმოქმედი პრეპარატი დაუმატა.

პრეპარატის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ ზაფხულის ცხელი, უღრუბლო ამინდები დაიჭირა. მთვარეცმელოგინე ქალის მუცელივით გაივსო და ყოველ ღამით მისი თეთრი და დაჭიმული სხეულიდან წყალივით იღვრებოდა სინათლე. მაგდა ცას უყურებდა და ხვდებოდა, რომ ასეთ შუქში ალექსის რკინის მესრით შემოსაზღვრული კლინიკის ეზოში შემოპარვა გაუჭირდებოდა. ალექსი აღარ ჩანდა და მაგდამ მთვარის უჩინარი, ბნელი მხარე მოინატრა, მისი კოსმიური მტვრითა და ღამესავით მუქი ლაქებით დაფარული მეორე ნახევარი.

* * *

ალექსის ჯერ ყვავილების ბაღი უნდა გაევლო, მერე ევკალიპტის ხეების მომწარო სურნელში გახვეული პატარა ეზო და ფსიქიატრიული საავადმყოფოს სამსართულიანი შენობის წინ აღმოჩნდებოდა. ერთ დროს დიდებული სახლი იქნებოდა, საუკუნის წინანდელ ბანოვანთა საზაფხულო მოსასვენებელი. მაგდას ძებნაში რამდენიმეჯერ იმ ძველი ლამაზმანების ფერუმარილიან აჩრდილებსაც გადააწყდა. წვიმიანი საღამოს ბინდბუნდში, საცეკვაო დარბაზის შუაგულში ისხდნენ და პასეანსს შლიდნენ. ბანქოს ქაღალდზე დახატული ქალებივით უსიცოცხლო სახეები ჰქონდათ და გრძელი, არშიებად ასხმული კაბების შიგნით წყლის გუბესავით იდგა სიცარიელე.

ალექსიმ იცოდა, რომ ფანტომი იყო და მხოლოდ მაგდას წარმოსახვებში არსებობდა. ამიტომ შენობის ცენტრალური შესასვლელით სარგებლობდა, სადაც საავადმყოფოს ადმინისტრაციას დიდი ლათინური ასოებით მიეწერა: silentium!*. კლინიკად გადაკეთებული ძველი სახლის ტალანებში თავისუფლად მოძრაობდა. მაგდას პალატის კარს უჩუმრად აღებდა. ხელის ცეცებით აგნებდა შუქჩამქრალ ოთახში მოკუნტულ სხეულს. მაგდა თავდაღმა იწვა. სწორედ ისე, ფსიქოლოგიური ტესტების მიხედვით, საკუთარ თავში ჩაკეტილ, სუსტ და დეპრესიულ ინტრავერტებს რომ ჩვევიათ. წვრილი, იისფერი ძარღვიც ისე უყოფდა საფეთქელს, როგორც უხილავი სადემარკაციო ხაზი რეალობასა და წარმოსახვას, ცნობიერსა და არაცნობიერს, ძილსა და ღვიძილს...

მეზობელ საწოლზე ბარბარას ეძინა. ბალიშს ცრემლივით აჩნდა ღია პირიდან გადმოსული ნერწყვი. სახეზე გადაკრული ფერის მიხედვით შეგეძლო გამოგეცნო როგორ სიზმრებს ხედავდა ბებე, რომელიც მალე ოცდათექვსმეტის გახდებოდა, მაგრამ აქედან ცხრა წელი სიზმარში ცხოვრობდა. გრძელ, უსასრულო სიზმარში... ალექსიმ იცოდა ის, რაც არ იცოდნენ ექიმებმა. იცოდა, როგორ გამოეხსნათ ბებე ძილის ტყვეობიდან. მათ უბრალოდ უნდა გადაეჭრათ იმ სიზმრის თოკი, ზედ მიბმული ძაღლივით ყელში რომ უჭერდა და ცხადში გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა ბებეს. სიზმარი მისთვის ჯერარგანცდილი და თავსგადასახდენი ამბების სახლად ქცეულიყო. პარალელურ სამყაროდ, სადაც თავს იმაზე უკეთ

გრძნობდა, ვიდრე დღის შუქით განათებულ სინამდვილეში.

დერეფნიდან ფეხის ხმა ისმოდა. მორიგე ექიმის სავალდებულო შემოვლამდე ჯერ ადრე იყო. ალექსი კედელს ეკროდა და ფეხის ხმას აყურადებდა. ნაბიჯები მაგდას პალატასთან წყდებოდნენ. კარი იღებოდა და ოთახში მაქსიმილიანი შემოდიოდა. სწორედ ის, საღებავებით დათხაპნილი მოლბერტის წინ მაგდას საათობით გაშეშებას რომ აიძულებდა. მაქსი მაგდას საწოლს უახლოვდებოდა, მძინარეს საბანს ხდიდა და პირზე ხელი აფარებდა. ალექსი გრძნობდა, რაღაც ძალიან ცუდი და საშინელი რომ უნდა მომხდარიყო და თვალებს ხუჭავდა. მაგრამ დახუჭული და სულ მთლად არარსებული თვალებითაც კი ხედავდა როგორ უმწეოდ სხმარტალებდა და ისრისებოდა მაგდა კაცის ზორბა და მძიმე სხეულის ქვეშ, ყურებში მისი განწირული და მავედრებელი კვნესა ჩაესმოდა, მაგრამ ალექსი მაგდას სამყაროში აღარ არსებობდა და შველა, დაუნდობელი და დამანგრეველი რეალობის კლანჭებიდან მისი გამოხსნა უკვე აღარ შეეძლო...

მაქსი ვნებიანად ხვნეშოდა და გამეტებით ირწეოდა. მაგდას პეპლის ფრთებივით გათელილ ფეხებს წითელ ზოლად მოყვებოდა სისხლი და სხეულზე პირველ ეროტიულ იეროგლიფებს ხატავდა. გარეთ სავსე მთვარე ანათებდა, საცეკვაო დარბაზში არისტოკრატ ქალთა გარდასული სულები პასიანსს შლიდნენ, წამლით, ოფლის მძაფრი სუნითა და მკვდარი ფარვანების სევდით გაჟღენთილ ოთახში სიზმარში დარჩენილ ბარბარას ეძინა...

* * *

მაგდა კლინიკიდან ათი წლის შემდეგ ჩამოთოვილი ზამთრის ცივ დილას გაეწერა. მის ზურგსუკან საავადმყოფოს მძიმე ჭიშკარი მიიხურა თუ არა, შიშმა შეიპყრო. ქალაქი საგრძნობლად შეცვლილიყო. აქ მას არავინ ელოდა. ბებიის დანატოვარ ოროთახიან ბინაში საგიჟეში ნახატი ტილოები და ბარბარას სიზმრებიდან გამოყოლილი ილისა და ანისულის სურნელი შეიტანა, სუნი, რომელიც განსაკუთრებით შუაღამისას ძლიერდებოდა და სიზმრის სიღრმიდან გამოსული ყრუ და შორეული ხმები მაგდას მოსვენებას უკარგავდა. ბინაში ციოდა. უკანასკნელი კაპიკებით ნაყიდი თევზიანი სენდვიჩებით ისადილა და ძველი ტრანზისტორი ჩართო. „იოზეფ ჰაიდნი. წმინდა მესა. ასრულებს ვენის სიმფონიური ორკესტრი,“

– გამოაცხადა დიქტორმა. მაგდა ჩაფიქრდა. ფიქრობდა, ღირდა თუ არა ნახატების რომელიმე ქუჩაზე, ან რომელიმე ხიდის ქვეშ გასაყიდად გამოფენა. მაგრამ მაგდა უკვე დიდი გოგო იყო და ილუზიებით თავს აღარ იტყუებდა. მშვენივრად ხვდებოდა, რომ ამ ქალაქში მის ნახატებზე უკეთ მისი სხეული გაიყიდებოდა...

საკუჭნაოში ჟანგიანი მაკრატელი იპოვა და გრძელი, ლამის წელამდე დაფენილი თმის შეჭრას შეუდგა. მკვდარი ფრინველივით დაცემულ თმას მაგდას წარსული მიყვებოდა, მაგდას ფიქრები და ოცნებები, სიზმრები და წარმოსახვები... მერე გაშიშვლდა, ფუნჯი საღებავში ჩააწო და ტანის მოხატვას შეუდგა. სხეულს ციური სხეულებითა და საკრალური ფიგურებით იხატავდა. შიგნით და გარეთ, გარეთ და შიგნით. სწორედ ისე, როგორც მაქსი ხატავდა უზარმაზარ გრავიურას, „მაქსიმილიანი, ანუ ასტრონომიის აკრძალული სწავლება“* რომ ერქვა. მაგდამ თავის ბოდი არტს სიყვარულის აკრძალული სწავლება უწოდა. ხატავდა და ამგვარად ქალაქში სიყვარულის ხელოვნების ახალი მოძღვრება შემოჰქონდა. შიშის, ტკივილის და სასოწარკვეთის დამამარცხებელი სწავლება...

პირველ კლიენტს უფასოდ მოემსახურა. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახლის ბუნკერთან მქექავ მაწანწალას ბინძურ ბოხჩაში მხოლოდ არყის სანახევროდ დაცლილი ბოთლი და დაგლეჯილი ქურთუკი გამოეკრა. ის, რაც ქალთან ყოფნის წუთებში ადამიანობადავიწყებულმა ბომჟმა განიცადა, არაფერს არ ჰგავდა, არც არყით თრობის სანეტარო წამებს და არც ქუჩის მეძავებთან გატარებულ ღამეებში გადარჩენილ რამდენიმე ტკბილ ეპიზოდს. ბომჟი მაგდას ბინიდან გაოგნებული და რეტდასხმული გამოვიდა. ქუჩაში მიდიოდა და ყელიდან საოცარ ხმას უშვებდა. ამ ხმაზე ტბაზე ყინული და შეყვარებულების საძინებლებში სარკეები იმსხვრეოდა, ცოლ-ქმრული ერთგულებით ნაგებ სახლებს მინები ებზარებოდა, ხოლო ქალიშვილებს საქალწულე აპკები უსკდებოდათ. ბოლო ხმაზე მომღერალ მაწანწალას ქალისგან შერყეული შეშლილი უწოდეს. მაგდას სამყოფელთან კი დაბინდული წითელი ნათურები აინთო.

მაგდამ თავისი მოკრძალებული ბინის კარებზე შავი გუაშით Caveat emptor* წააწერა და მოზღვავებული კლიენტების მომსახურებას შეუდგა. ამ დროს მხოლოდ მისი ჩრდილში გადასროლილი სხეული ცოცხლობდა, მისი ბნელი მხარე, უჩინარი და შეუცნობელი

ნახევარი. მაგდასთან შეღწეული კლიენტები უცნაურ ტრანსში ვარდებოდნენ, გონებაში გამაოგნებლად ფერადოვანი სურათები ეხატებოდათ, სხეულზე ჯერარგანცდილი შეგრძნებები ეკროდათ, გული არანორმალური სიმძაფრით უცემდათ. თითქოს მარადიული ტკბობის უძირო ჭაში ეშვებიანო, ჩვილობისდროინდელი ნეტარების გრილ წყლებში, ძველით ახალი, იდუმალი და შეუცნობელი სამყაროს ფსკერზე...

* * *

მაგდა ფსიქოთერაპევტის კაბინეტში იჯდა. ფანჯრებზე აკრული ჟალუზების ჭრილში თბილი მზე იჭრებოდა. ოთახში საათი წიკწიკებდა. ოქროსფერ ციფერბლატზე მუქად იკითხებოდა წარწერა Ultimam cogita!*. ექიმი მაგდას ავადმყოფობის ისტორიას ჩაჰკირკიტებდა, მაგდა – ყვითელ ფინჯანში ჩარჩენილი ყავის ნალექს. ორივე ოდნავ შეცბუნებული ჩანდა. ექიმი ავადმყოფობის პროგრესირებით, მაგდა კი იმით, რომ ჭიქის ფსკერზე აღმოჩენილი ხაზები ზედმიწევნით იმეორებდნენ წინა ღამით ნანახი სიზმრების სიუჟეტს.

– უცნაურია, – თქვა ექიმმა, – ავად აღარ ხართ და ჰალუცინაციებიც აღარ უნდა გაწუხებდეთ. ვერ გამიგია, რატომ დაიწყო ყველაფერი თავიდან.

მაგდამ მხრები აიჩეჩა.

– ხომ გესმით... გულწრფელად უნდა ვისაუბროთ. მითხარით, რეალობიდან გაქცევის სურვილი გაგიჩნდათ? – გამომცდელი მზერა ესროლა ექიმმა.

– არა. თავს მშვენივრად ვგრძნობ. მართალია, ზოგჯერ ვიღლები, მაგრამ არავინ მაძალებს. დასვენება და შვებულების მოწყობაც შემიძლია.

– ეგ პირველ რიგში, ჩემო კარგო. თუ თქვენს ყოფაში რაიმე ოდნავ მაინც გიქმნით დისკომფორტს, აუცილებლად უნდა მოიშოროთ. დაისვენეთ და ეს წამლები მიიღეთ. რა ჰქვია თქვენს ჰალუცინაციას?

– ალექსი.

– მასთან დაკავშირებული ემოციები დადებითია თუ უარყოფითი?

– ბავშვობაში ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო.

– ისევ ისეთი პატარა ბიჭია?

– არა. წლები მასაც მომატებია. სათვალესაც აღარ ატარებს.

კონტაქტური ლინზებით შეუცვლია.

– ხედავთ? თქვენი ავადმყოფობა კვალდაკვალ მოგდევთ. წარმოსახვას წამითაც არ დაუსვენია. ის თქვენთან ერთად გაიზარდა და როგორც ჩანს, სიბერესა და სიკვდილსაც თქვენთან ერთად აპირებს. მაგრამ იქამდე თავს უნდა უშველოთ. კიდევ ერთი კითხვა. მასთან ყოფნა გსიამოვნებთ?

მაგდა ჩაფიქრდა. ხელისგულებზე დაიხედა. მერე მაჯის ხაზს გაყოლებულ ცისფერ სისხლძარღვებს ჩაუკვირდა. იქნებ თავადაც არ არის ნამდვილი? იქნებ ის ექიმის ჰალუცინაციაა, ექიმი კიდევ ვიღაც სხვისი და ასე წარმოსახვის უწყვეტ ჯაჭვში ჩაბმული მირიადი გამოგონილი სული...

– მასთან ყოფნა გსიამოვნებთ? – ფიქრი გააწყვეტინა ექიმმა.

– ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო.

– ამ სულელურ სენტიმენტებს უნდა შეეშვათ. თქვენი მეგობარი ბუნებაში არ არსებობს! – ხმა გაუმკაცრდა ექიმს, – გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს. ერთი, სამწუხაროდ, კვლავ ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში ბრუნდება, მეორე – თქვენს გონებაზე გადის.

– მითხარით, რა შემიძლია? – კლინიკის ხსენებაზე ცივად გააჟრჟოლა მაგდას.

– თქვენს მიერ შექმნილი თქვენვე უნდა გაანადგუროთ.

– ეგ როგორ?

– როგორც გინდათ. თუ გგონიათ, რომ ის ცოცხალია, მაშინ უბრალოდ უნდა მოკლათ.

– როგორ?! მოვკლა? – თვალები გაუფართოვდა მაგდას.

– დიახ. აი, ასე, – ხელები წარმოსახულ ყელს წაუჭირა ექიმმა, – არა, არა, ასე არ გამოვა. თქვენს ჰალუცინაციებში ის ალბათ ფიზიკურად თქვენზე ძლიერია. მკვლელობის სხვა, ათასი ხერხი არსებობს. მოწამლეთ, ბალიშით გაგუდეთ, დანით არტერია გადაუხსენით. მოკლედ, მოკალით! სისხლი მორეცხეთ და გვამი თავიდან მოიშორეთ.

– მერე? – მაგდა ყურებს არ უჯერებდა.

– მერე არაფერი. ა-რა-ფე-რი. მოკალით და აღარ იარსებებს. ბასტა!

– არ შემიძლია. ის ისეთივე ნამდვილია, როგორც მე და თქვენ.

– რა აბსურდია. ხომ იცით, რომ ეს ასე არ არის, – წამის წინ ანთებული თვალები მილულა ექიმმა, ისევ მოეშვა და სავარძელზე

გადაწვა, – პარალელური სამყაროები და იქიდან მოგზავნილი ტიპები არ არსებობენ. ერთადერთი და შესაძლებელი სამყარო ჩვენი რეალური გარემომცველი სამყაროა. ალექსის მოკვლით თქვენ მხოლოდ აკვიატებულ იდეას ანადგურებთ, თქვენსავე ავადმყოფობას. მოკალით და მოიშორებთ. ან ავადმყოფობის ისტორიას ფსიქიატრიულ კლინიკას უკან გადავუგზავნი. ვინ იყო თქვენი მკურნალი ექიმი?

– არა, არ გინდათ!.. ჩემს მოჩვენებებს მე თვითონ მოვუვლი...

– აი, ეს უკვე ნორმალური ფსიქიკის ადამიანის ნათქვამია. დაისვენეთ, წამლები მიიღეთ და მკვლელობის გეგმა შეადგინეთ. იცოდეთ, არაფერს არ უნდა მიხვდეს. თუ რამე იეჭვა, გაიქცევა და ავადობა უფრო მძიმე ფორმაში დაგიბრუნდებათ.

* * *

მაგდა აბაზანაში იწვა და მკვლელობის გეგმას აწყობდა. იმედოვნებდა, ცხელი წყლის ორთქლისგან შექმნილი ღრუბლები ჩემი ცოდვილი ფიქრების კვალს დაფარავენო. ვერაფრით გადაეწყვიტა რა გზა აერჩია, როგორ მოეკლა ალექსი: მოეწამლა, მძინარე გაეგუდა თუ ფურცლის საჭრელი სპილოს ძვლის ტარიანი დანით გადაესერა კისერთან მფეთქავი არტერია...

აბაზანიდან გამოსულმა ფანჯარაში გაიხედა. ბნელდებოდა და მოწყენილობის შავ-თეთრი აჩრდილები ოთახის კედლებზე გრძელ, ტეხილ ხაზებს ავლებდნენ. მოგვიანებით კარი რომ გააღო და იქ ალექსი დაინახა, მიხვდა, კედლებზე გავლებული უსწორმასწოროები სხვა არაფერი იყო, თუ არა შეყვარებული აჩრდილის აჩქარებული გულისცემის უჩვეულო კარდიოგრამა. ალექსის ხელში ღია ცისფერი ყვავილების თაიგული ჩაებღუჯა. მაგდა კი იდგა, უჩვეულოდ დაგრძელებული თითებით სველ თმაში ოკრობოკრო კვალი გაჰყავდა. ენითუთქმელ სევდას განიცდიდა. ცხოვრებაში პირველად ჩუქნიდნენ ყვავილებს.

– შემოდი, ალექს. რამეს დალევ? – ჰკითხა ბოლოს. მაგდას ხმის ზედაპირზე მედუზასავით ტივტივებდა შიში.

– კი, დავლევ... ვისკის, ან მარტინის, – სავარძელში მოკალათდა ალექსი. ისევ ის უზადოდ თეთრი შარვალი და მაისური ეცვა. მაგდამ ბროლის გამჭვირვალე ლარნაკი იპოვა, ახლადდაბანილი თმიდან შიგ წყალი ჩააწურა და ყვავილები ჩააწყო. მერე სამზარეულოში

გავიდა. ღრმად და მძიმედ სუნთქავდა. ლამბაქზე ლიმონის ნაჭრები დააწყო. ჭიქებში მარტინი, მერე ცოტაოდენი საწამლავი და...

თვალები დახუჭა. არა, ასე არ შეუძლია. ისე ნერვიულობს, ჭიქები აერევა და ალექსისთვის განკუთვნილ შხამს თვითონ დალევს. სასმელს სამზარეულოს ნიჟარაში გადაუძახა. ნიჟარის ქვემოდან კვნესითა და კლაკვნით ამოძვრნენ დარიშხანით მოწამლული, ლორწოვანი ლოკოკინები...

ალექსიმ სიგარეტს მოუკიდა და კვამლი ღია ფანჯრიდან მონაბერ ცივ, ნესტიან ნიავს გააყოლა. „ალბათ იწვიმებს“,– თქვა მაგდამ, დარაბები დახურა და ფარდები ჩამოუშვა. ქუჩაში საახალწლო ნათურასავით განათებულმა ტრამვაიმ ჩაიხრიგინა, მოსალოდნელ ავდარს შეფარებული, დაგვიანებული მგზავრები თუ აკრიფა. ალექსის მაგდას თითების კანკალი არ შეუნიშნავს, არც ლოყებზე გადაკრული ფითრი. არც ის დაუნახავს როგორ შეაცურა მაგდამ სადაფისტარიანი წვრილი დანა საწოლის თეთრეულში.

ფართო საწოლზე ისე დაწვნენ, როგორც ბამბუკის ჯოხებისგან შეკრულ და მდინარეზე გაშვებულ ტივზე. მაგდა მოქნილი თითებით ჯერ ლეიბის ქვეშ შემალულ დანას მიეალერსა, მერე ალექსის სახეს და თმებს. მთავარია, საჭირო წამი შეარჩიოს. უმჯობესია მაშინ, როცა კაცი მთლიანად მოდუნდება, როცა სიამოვნების პირველი მძლავრი ტალღა აიტაცებს, თვალებს დახუჭავს და ტკბობის ტკივილებისგან აკვნესდება...

არა, ასეთი ძლიერი სიყვარული არ არსებობს, – საბოლოოდ დაასკვნა მაგდამ ყველაზე აღმავალ წუთებში. უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, თითებში შემალული დანის ბასრი პირი მტაცებელი ცხოველის კლანჭივით გამოაჩინა და ალექსის კისერთან ამობურცულ ძარღვზე დაუსვა. სისხლმა შადრევანივით იფეთქა. ერთმანეთზე გადახლართული სხეულები და თეთრი ზეწრებით გატკეცილი საწოლი წითლად შეღება. ალექსიმ ხელები ჰაერში აასავსავა, თითქოს მოულოდნელად დიდი სიმაღლიდან გადააგდესო და მანაც რაღაც არარსებულზე ჩაჭიდება მოინდომა. თვალებიც გაახილა. ალბათ საკუთარი სიკვდილის დანახვა სურდა, მაგრამ უეცრად დატეხილი სევდისგან დაღლილი თავი ვეღარ ასწია, ახრიალდა და გაოგნებული მზერა ჭერზე დაკიდებულ, პრეისტორიული ფრინველის ფიტულივით გაშეშებული ვენტილატორის ფრთებს შეაცივდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხრიალი და სხეულის საბრალობელი თრთოლვაც შეწყვიტა. ხელები უსიცოცხლოდ ჩაჰკიდა, ისე, იმედგაცრუებული, თუ უბრალოდ დამთმობი კაცის მანერით. კანი ნელ-ნელა გაუფერმკთალდა. კისრის გადაჭრილი არტერიიდან წამოსული სისხლის ნაკადი საწოლს ჩამოუყვა და იატაკზე ჩრდილის ბნელ და მოტკბო გუბეებად შედედდა. მაგდა გულაღმა გადაწვა და დანა იატაკზე დააგდო. თავიდანვე იცოდა, რომ ადამიანის მოკვლას ვერასდროს და ვერაფრის ფასად ვერ შეძლებდა, მაგრამ ალექსი ნამდვილი არ იყო, არა... ახლა თვალებს დაუხუჭავს, რადგან შეყვარებული კაცის თვალებში ყოველთვის სიმართლე ჩანს. ნაკვთებგაშეშებულ სახესაც გაუწმენს, რადგან სისხლიანმა მსხვერპლმა ღამის ძილში სტუმრობა და საბრალობელი, ბავშვივით გაბმული ტირილი იცის. მერე გვამის მოშორებაზეც იფიქრებს.

ისევ სააბაზანოში შეაბიჯა და შხაპის ქვეშ დადგა. ახლა წყალიც ალექსის სიკვდილისფრად შეიღება. სწრაფად ჩაიცვა. საათს გახედა. ღამის ორი საათი სრულდებოდა. საძინებლისკენ დაიძრა. გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ მის მიერ სიცოცხლემოსწრაფებული ჰალუცინაცია იქ აღარ დახვდებოდა, მაგრამ ალექსი თავგადაგდებული იწვა და მგონი ისევ სუნთქავდა! მაგდა ფრთხილად მიუახლოვდა და დააკვირდა. ალექსის დახუჭული თვალების ქვეშ აქვარიუმს მიჩვეული თევზებივით დაცურავდნენ კონტაქტური ლინზები.

ალექსის შიგნიდან წამოსული სისხლის წვეთები ახლა უკვე დროგამოშვებით, ახლადშეწყვეტილი წვიმასავით იშვიათადღა წკაპუნებდნენ. მაგდამ უკაცრიელ ქუჩაში გაიხედა. ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. კაცის ჯერ კიდევ თბილი სხეული უმთვარო ღამის სიბნელეში გაახვია და სადარბაზოში გაათრია. ცხედარი აუტანლად დამძიმდა და მაგდა მიხვდა, რომ მთელი სიცოცხლე საკუთარი შიშისა და სისასტიკის თრევა მოუწევდა. ავტოფარეხის კარი გააღო და გვამი მანქანის საბარგულში ჩააგდო. კოშმარული ღამის დასასრულს ქალაქგარეთ, მეჩხერი ტყის შუაგულში შეხვდება. უმჯობესია, თუ ალექსის იქ, ნაძვისა და ფიჭვის ნახევრად გამხმარი ხეების ძირში დამარხავს. ან მდინარეში გადაუძახებს. წარმოსახვები ხომ ყველაზე უკეთ ცოცხალი და გამდინარე წყლის ქვეშ იხრწნებიან.

მანქანა ნელა, ღმუილით დაძრა. ფარების შუქზე წვრილად ასხამდა წვიმა. ღამის პირქუშ სიბნელეში გაქვავებულ ტყესა და ნეს-

ტიან მიწაში ამოსაჭრელ საფლავზე ფიქრმა შეზარა და ალექსის მდინარეში გადაგდება გადაწყვიტა. მანქანა ლამპიონების სუსტი შუქით განათებულ ხიდზე შეაჩერა, საბარგული გახსნა და გვამი გაჭირვებით ამოათრია. ალექსის უსიცოცხლო სხეული როგორმე დავალების ბოლო პუნქტამდე უნდა მიეტანა, იქამდე, სადაც არარსებობის გულგრილი და ყველასაგან მივიწყებული გზა იწყებოდა.

წვრილი ქვებით დასერილი სანაპიროსკენ მიაბიჯებდა. ალექსი უფრო და უფრო მძიმდებოდა, ქვავდებოდა და ისეთივე დამღლელი და რეალური ხდებოდა, როგორც საკუთარი ყოფა და არსებობა. მუხლი ეკეცებოდა. ცივი ოფლი ასხამდა. გული არანორმალური სისწრაფით უცემდა. მაგრამ უნდა მოეთმინა. სანაპირომდე სულ რამდენიმე ნაბიჯილა რჩებოდა. რამდენიმე ქვა და ღორღი, რამდენიმე ქუსლი და თითისწვერი, რამდენიმე ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა... როგორც იქნა!.. ალექსი წყალში ისე ჩაუშვა, რომ სახეზე აღარ დაუხედავს. რა საჭირო იყო. ისედაც ბევრი გადაიტანა.

სახლში მობრუნებული სისხლით მოთხვრილი იატაკის წმენდას შეუდგა. ჩვრად ალექსის თეთრი შარვალი და მაისური გამოიყენა. მერე ბუხარი დაანთო და ტანსაცმელს ცეცხლში შეუძახა. ალი აბრიალდა და მის შუქზე ნივთებმა უცნაური ჩრდილები გამოიბა. ოთახის კუთხეებში გარდაცვლილი სულივით ჩამოდგა სიჩუმე და მარტოობის შიში.

მაგდა ბუხართან იჯდა და სიცივისგან გაყინული კიდურების გათბობას უშედეგოდ ცდილობდა. ასე ეტყობა მაშინ დასველდა და დაიკუჭა, საკუთარ მსხვერპლს მდინარის ნაპირისკენ რომ მიათრევდა. წვიმის წვეთები არა და არ შრებოდნენ. უწყვეტ ნაკადად მიყვებოდნენ თმებს და ცივი, უმარილო ცრემლებივით ულტობდნენ სახესა და მკერდს. ალექსის უკანასკნელ ნაშთებს ცეცხლი ძველი, დაჭმუჭნილი პერგამენტივით ედებოდა. საკვამურში გაშვებულ კვამლს ცაში სიყვარულის ალუზიები მიყვებოდა და იმ საშინელი მკვლელობის ამბავი, მაგდამ საკუთარ ფართო, ბამბუკის ჯოხებისგან შეკრული ტივივით დარწეულ საწოლზე რომ ჩაიდინა...

* * *

საათმა შვიდზე დარეკა. მაგდას ოთახში შეწყვეტილი სიცოცხლისა და გვიანი სინანულის სუნი იდგა. სველ ბალიშსპირს მკრთალად აჩნდა მისი სახის მრგვალი მოხაზულობა. ერთხანს საწოლზე

ჩამომჯდარი უცქერდა წყლით გაჟღენთილ საწოლში არეკლილ სახეებს, რომელთა შორისაც ქაოსურად არეულიყვნენ მის სხეულს ნაზიარები მამაკაცები და ზღვაში დამხრჩვალთა ხრწნადი გვამები, მერე მარადსველი თმა შუაზე გახლეჩილი ძილის მსგავსად გადაიყო და კეფაზე აიკრა. ცუდად ეძინა. შუაღამისას პირსა და გენიტალიებში დარიშხანით მოწამლული ლოკოკინები უძვრებოდნენ და მაგდას მათი უკან გადმოფურთხება უწევდა...

ზარი კარზე შვიდ საათსა და ორმოცდაათ წუთზე გაისმა. ამ დროისთვის ზემო სართულზე სარეცხის მანქანის გუგუნი შეწყდა და ვიღაცის დანაოჭებული ხელით გაფენილი სარეცხიდან გამდინარე სისხლის წვეთებმა ეზოში მთვლემარე კატებს ძილი დაუფრთხო. მაგდამ კი ნაღვლიანი სტატისტიკა შეადგინა და დაასკვნა, რომ თუ კლიენტები სამი საუკუნის განმავლობაში მის ნაცვლად საკუთარ თანამეცხედრეებს გაანაყოფიერებდნენ, მათ მიერ შობილი ჩვილები არასრულად აანაზღაურებდნენ უსიყვარულოდ დახოცილთა რიცხვს.

ზარმა კარებზე საბრძოლო გონგივით ჩამოკრა. მაგდამ წითელი, ვეებერთელა დრაკონებით მოხატული კიმონო მოიცვა და კარის გასაღებად გაემართა. კარის გაღებამდე თვალი ბროლის ლარნაკში ჩაწყობილ ყვავილებს მოკრა და იმედი გაუჩნდა, რომ ზღურბლზე მდგომი მამაკაცი ძალიან ემსგავსებოდა მის მიერ მდინარის ფსკერზე დატოვებულ წარმოსახვით ადამიანს.

---

* **მაქს ერნსტი** – გერმანელი სიურეალისტი მხატვარი (1891-1976). ფერწერის შესწავლის დროს სულით ავადმყოფებს აკვირდებოდა და განსაკუთრებით მათი სახის პიკტოგრაფიული ფორმებით ინტერესდებოდა.

* **non solus** – არა მარტოსული (ლათ)

* **silentium** – სიჩუმე, მდუმარება (ლათ)

* „**მაქსიმილიანი, ანუ ასტრონომიის აკრძალული სწავლება**“ – მაქს ერნსტის გვიანდელი პერიოდის გრავიურა, რომელიც ტექსტის, კოლაჟისა და ოფორტის კომბინაციით არის შესრულებული.

* **Caveat emptor** – დაე, გაფრთხილდეს მყიდველი (ლათ)

* **Ultimam cogita** – იფიქრე უკანასკნელ საათზე (ლათ)

ნინო
სეზარაძელაშვილი

„არისტოკრატული
გარითობა"

არისტოკრატული გართობა

ოცი წლის ასაკში, როდესაც პატარა ოთახი ვიქირავე საერთო დერეფნით ერთ მეზობელთან და ეზოს ტუალეტით, ჯერ არ დამდგარიყო ჩემთვის ის შესაბრალისი მდგომარეობა, რომელიც მაშინ გვეუფლება, როდესაც მარტოობით გარშემომყოფების მოსყიდვას ვცდილობთ, რაც, როგორ წესი, სამარცხვინო იგნორირებით მთავრდება ხოლმე, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ჩვენი მარტოობა ხელშესახები და შედეგიანი.

მე და ჩემმა ებრაელმა მეგობარმა ღამის კაფეში გათენება განვიზრახეთ. ის წვრილი შთამომავლობითი არისტოკრატიის იმ წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლების წინაპრებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ინტელექტის არაფრისმთქმელ დაღს, მათი შთამომავლობა გადაგვარებისკენ მიმავალ გზაზეა. ჩემს ებრაელ მეგობარს ავადმყოფობად ჰქონდა ქცეული კაფედან კაფეში უმიზნოდ ხეტიალი. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნებადართული ყოველგვარი მომსახურებით სარგებლობა, განსაკუთრებით კი მიმტანების ექსპლოატაცია გასხიპული თავაზიანობის თანხლებით, მისი არისტოკრატული კაპრიზების დაკმაყოფილების ერთერთი საშუალება იყო.

დეკემბრის ბოლოს მშრალი ყინვა იდგა. ჩემს ებრაელ მეგობარს ჯიბეში მხოლოდ რვა ლარი ედო, რომლის იმედითაც „პეროვის“ რომელიმე ძვირადღირებულ ხაფანგში მთელი ღამით აპირებდა მოკალათებას – განზრახვა, რბილად რომ ვთქვათ, უიმედო ჩანდა. ქუჩა ჩავათავეთ, მაგრამ შესაფერისი ბარი ვერ ვიპოვეთ. ქიაჩელზე გადავინაცვლეთ. ჩავუარეთ „გინეს ბარს“, „ნალს“, პომპეზურ რუსულ რესტორანს და მათ შორის გაჩხერილ, შესახედავად უბრალო ღამის ბარში ჩავუშვით ღუზა. მიმტანმა გამომცდელად შეგვათვალიერა და მენიუ მოგვიტანა. ქურთუკი სკამის საზურგეზე გადავკიდე და შევეცადე, მოთელილი ჯემპრი არ შემემჩნია, რომლითაც უკვე ორი ღამეა მეძინა. ებრაელმა მეგობარმა მენიუ იმ ადამიანის ქედმაღლობით გადაშალა, რომელსაც ჯიბეს მწვანე კუპიურების დასტა უმძიმებს. კერძებისა და სასმელების გასწვრივ შთამბეჭდავი ფასები იყო ჩამწკრივებული. მორჩილად ველოდი,

როდის გაგვაძევებდნენ თავხედ ავანტიურისტებს. მიმტანმა ნაძალადევად გაგვიღიმა და შეკვეთილი ყავა მოგვიტანა. ჩემმა ებრაელმა მეგობარმა პასუხად ლაბადასავით ფართო, გრძელი პალტო გაუწოდა და სთხოვა შესასვლელში ჩამოეკიდა. მერე მე მომიბრუნდა და აღტკინებული მზერა მომაპყრო:

– ესე იგი, სახლიდან წამოხვედი... ნამდვილი გმირობაა! ნეტავ მეც შემეძლოს, მაგრამ, ჩემო კარგო, მე არ შემიძლია ჩემს განიერ საწოლს, რბილ ბალიშებს, ლამაზ ნივთებს შეველიო – პათეტიურად დაიდო გულზე ხელი – უამისოდ ცხოვრება არ შემიძლია. კარგად იცი, რაც არ უნდა იყოს, ვისკონტისტი ვარ; მომაკვდავი ცივილიზაციისა და უკვდავი სილამაზის ნაშიერი – შესამჩნევი რუსული აქცენტით ლაპარაკობდა და ხმოვნებს აგრძელებდა. ცხოვრების მეოთხედი მოსკოვში ჰქონდა გატარებული, მაგრამ ეს ამბავი, ისევე როგორც მისი ებრაელობის ისტორია, წარმატებით შეიძლებოდა სიცრუე გამომდგარიყო – კეხიანი, მსხვილი ცხვირი მისი ნაციონალობის დამადასტურებელი ერთადერთი საბუთი იყო, რადგან გვარი სუფთა ქართული ჰქონდა. როგორც ჩანს, მის პატივმოყვარეობას ღვთის რჩეული ხალხის სახელი აღიზიანებდა. მაგრამ ამავე დროს, მისი პირიდან მოსმენილ ნებისმიერ ისტორიას შესაძლოა სავსებით რეალური საფუძველი ჰქონოდა.

მეზობელ მაგიდასთან ხმაურიანი კომპანია მხიარულობდა. ზომაზე მეტად ჩასუქებულ, ქერად თმაშეღებილ ქალს ვიწრო, ჩინური კაბა აეწია და ქონმოკიდებული, მოკლე ფეხები უჩანდა, თან გულიანად ხარხარებდა სათვალიანი თანამესუფრის ხუმრობაზე. მეორეს ღრმა, შავ დეკოლტეში გამოკვართულ მკერდზე შემრგვალებული მკლავები დაეკრიფა და თავშეკავებულად იცინოდა. მაღალი, სახეწამოწითლებული მამაკაცი, რომელიც ხანმოკლე პაუზებით ეტანებოდა არყის ჭიქას, დროდადრო ცნობისმოყვარედ შეგვავლებდა ხოლმე თვალს:

– როგორ აპირებ ცხოვრებას? – მხრები ავიჩეჩე. თვითონაც არ ვიცოდი. უმუშევარი ვიყავი. მხოლოდ ერთი მოთხრობა მქონდა გამოქვეყნებული, შესაბამისად, პროზაიკოსის დიდების ხარჯზე ვერ ვიარსებებდი; სახლიდან წამოსვლის შემდეგ მეგობრების წყალობით გამქონდა თავი – რითაც შევძლებ, დაგეხმარები. ყოველთვის შეგიძლია ჩემი იმედი გქონდეს – დამაჯერებლად მითხრა ჩემმა

ებრაელმა მეგობარმა და გაბრწყინებული თვალები შემომანათა.

ჩემდა სამწუხაროდ, შევამჩნიე, რომ ყავის ჭიქებს უკვე ფსკერი უჩანდა, მიმტანმა კი ჩვენსკენ უკმაყოფილოდ ყურებას მოუხშირა. მაგრამ ჩემი ებრაელი მეგობრის გატეხვა ადვილი არ იყო; გოგონა ქედმაღლური ჟესტით მოიხმო. რამდენიმე წუთით მენიუ გამაძღარი ბიურგერის კმაყოფილი გამომეტყველებით ათვალიერა, თითქოს ნოყიერი სადილის შემდეგ გემრიელი დესერტის შეკვეთას აპირებდა. ბოლოს არჩევანი ყველაზე იაფფასიან წვენზე შეაჩერა. მსგავსი თავხედობით გაოგნებული მიმტანი უკანა გზაზე კინაღამ მოცეკვავე წყვილს გადააწყდა – ღიპიან, ზორბა მამაკაცს და მის გაჩხიკინებულ სატრფოს, წარუმატებლად რომ ანსახიერებდნენ ჯონ ტრავოლტასა და უმა თურმანის დუეტს ფილმიდან „კრიმინალური საკითხავი“.

მუსიკა რომ შეწყდა, ჩემმა ებრაელმა მეგობარმა რომელიმე დაუმთავრებელი მოთხრობიდან ნაწყვეტის წაკითხვა მთხოვა. მოუხერხებლად ამოვაძვრინე ხელნაწერებით სავსე მწვანე საქაღალდე, რომელსაც ჰიჯრის განმავლობაში ჩანთით ვატარებდი თან. ფანქრით აჭრელებული თაბახის ფურცლებიდან ერთი ამოვარჩიე და მონოტონურად დავიწყე კითხვა: „ადამიანები და მოვლენები, რომლებიც ჩემს გარშემო ხდებოდა, საოცრად დრომორჭმულად და მექანიკურად მეჩვენებოდა, როგორც მსახიობები, რომლებიც ერთსა და იმავე სცენაზე უხსოვარი დროიდან თამაშობენ ერთსა და იმავე პიესას. ძლიერ მიწისძვრას ვნატრობდი, რომ ნანგრევებად ქცეულიყო ჩემი სახლი, ეს ქალაქი და მთელი ჩვენი დაღლილი, მომაკვდავი არსებობა. მეგონა მხოლოდ ასე შეიძლებოდა გამოფხიზლება. როგორ არ მინდა ამ საწოლში სიკვდილი! დარჩენილი სიცოცხლის უმწეობის ამ მყრალ ჯოჯოხეთში გატარება! ახლა იდუმალების ნებისმიერი გამოვლინება სასაცილოდ მეჩვენება, თვით სიკვდილის იდუმალებისაც კი. სამაგიეროდ თავქარიანი ადამიანების გულუბრყვილო გართობა აღარ მეჩვენება აზრს მოკლებულად; თვითონაც სიამოვნებით ჩავიდენდი ახლა ნებისმიერ სისულელეს, რომელიც საშუალებას მომცემდა ძველი უაზრო წესიერება გამებათილებინა, მხოლოდ სხვებთან შედარებით გაცილებით გულწრფელი ვიქნებოდი, რადგან იდუმალებას ჩემზე არავითარი ძალაუფლება აღარ ექნებოდა“.

– მეტისმეტად დიდაქტიკურია, ჩემო კარგო, იფიქრო სიკვდილის იდუმალებაზე იმ დროს, როდესაც ქვეყანაზე ამდენი საოცრება ხდება. ამოიგდე ეგ აზრები თავიდან – მართლაც, ამ პერანგში დაბადებულის გვერდით, ძნელი იყო პირქუშ აზრებს აჰყოლოდი; რაც შეეხება საოცრებებს, მათი სია ჩემი ებრაელი მეგობრისთვის თავისუფლების მოედანზე საახალწლო ნაძვის ხესთან ბავშვების გასართობად დაბმული სახედრის ალერსიანი, უმანკო მზერით იწყებოდა და, საუკეთესო შემთხვევაში, კალასზე მთავრდებოდა.

სათვალიან მამაკაცში, მეზობელი მაგიდიდან, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, როგორც ჩანს, ცეცხლოვანი სითხის გავლენამ ფხიზელ საზოგადოებაში მიღებულ ურთიერთობის წესებს სძლია; მოგვიახლოვდა და ნასვამი ადამიანის გაწელილი რევერანსით გამომცნაურების ნებართვა გვთხოვა. ჩემი ებრაელი მეგობარი ქედმაღლური თავაზიანობით მოეკიდა ახალ ნაცნობს, რომელიც ჯიბესქელი ადვოკატი აღმოჩნდა და საიდუმლოდ გაგვიმხილა, რომ ექვსი თვეა პირში წვეთი ალკოჰოლი არ ჩასვლია. ამ საღამოს კი თავს უფლება მისცა მეგობრებთან ერთად გაერთოს და დაისვენოს – არ შეიძლება? მსოფლიოში ყველაზე კეთილმოსურნე ღიმილით დავარწმუნეთ, რომ სავსებით სწორად მოიქცა, რის შემდეგაც სათვალიანმა ადვოკატმა საჭიროდ აღარ ჩათვალა აპოლოგიის გაგრძელება და „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“ ამერიკული ეკრანიზაცია გაიხსენა; უთუოდ ყური მოკრა ჩვენს მსჯელობას კინოზე, რომელსაც დროის გასაყვანად მივმართავდით. მისი თქმით, მთელი ცხოვრება ცდილობდა, დენიელ დეი ლუისის გმირის დევიზით ეცხოვრა. მერე ისევ დაჟინებით ჩაგვეკითხა, სწორად იქცეოდა თუ არა; კვლავ ყოვლისმიმტევებელ ღიმილად დავიღვარეთ. ადვოკატი რამდენიმე წამის განმავლობაში ეჭვნარევი მზერით გვბურღავდა, თითქოს რაღაც დაუჯერებელი ხდებოდა. მერე მიმტანი მოიხმო და შამპანური შეუკვეთა ჩვენთვის, ამასთან მკაცრი დამაჯერებლობით გვთხოვა, უარი არ გვეთქვა გულითად ძღვენზე; მისი თხოვნა შემწყნარებლურად იქნა დაკმაყოფილებული და ადვოკატი თანამეინახეებთან დაბრუნდა.

შამპანურს ვწრუპავდით და დროდადრო ისევ დამოუკიდბლად (!) ცხოვრების უპირატესობას, დაუმთავრებელ მოთხრობებსა და ჩემი ებრაელი მეგობრის ძველ გატაცებას – ვისკონტის ვუბრუნ-

დებოდით, თან უთქმელად ვწირავდით მადლობას მოულოდნელობათა ღმერთს სათვალიანი ადვოკატის ბედნიერი შემთხვევის სახით მოვლინებისთვის.

გამთენიისას ბარს მხოლოდ ჩვენი გულუხვი მეზობლის კომპანია და ჩვენ შემოვრჩით. დაქანცული მიმტანები ანგარიშით იყვნენ გართულები. მუსიკოსებმა დიდი ხნის წინ ჩაალაგეს თავიანთი საკრავები და გაიკრიფნენ. მხოლოდ დინამიკებიდან ისმოდა სტინგის ხავერდოვანი სერენადა.

როგორც ჩანს, თეთრად გატენებული ღამის დაღლილობამ და ცარიელი ბარის შინაურულმა ატმოსფერომ ჩინურკაბიან ქალზეც იმოქმედა, რომელიც აქამდე ჩვენგან ზურგშექცევით მხიარულობდა და თავიანთ კომპანიაში გადაბარგება შემოგვთავაზა, სადაც არყის რიგით მესამე თუ მეოთხე ბოთლს უჩენდნენ ფსკერს. შექეიფიანებულმა საზოგადოებამ მალე მიგვიღო თავის წიაღში. უფრო ახლოს გაცნობისას ჩემი ებრაელი საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვიდან გაირკვა, რომ მე ქართული თეატრის ავანგარდის საყვარელი ავტორი ვიყავი, თვითონ კი – თბილისის ერთერთი ცნობილი გალერეის კურატორი; გარწმუნებ, მკითხველო, არც ერთი და არც მეორე სიმართლეს ოდნავადაც არ შეესაბამებოდა, მაგრამ იმ წუთას თვითონვე ურყევად გვჯეროდა ეს ამბავი და თავი ისე გვეჭირა, როგორც ჩვენი მდგომარეობის ხალხს შეეფერებოდა. არც პირამდე სავსე არყის ჭიქაზე მითქვამს უარი, რომლის საბედისწერო შედეგმაც არ დააყოვნა და ძლივს გავიგენი გზა იმ ადგილისკენ, სადაც მეფეებიც კი საკუთარი ფეხით დადიან. მაგიდასთან დაბრუნებულმა ბიურგერული ბოჰემის დასასრულს მივუსწარი. კომპანია უკვე იშლებოდა. ადვოკატი და მისი მეგობრები წასასვლელად ემზადებოდნენ. სახეზე ფერი არ მედო. გამომშვიდობებისას სათვალიანმა მხარზე ხელი დამკრა გასამხნევებლად. რაღაც მადლობისმაგვარი ამოვიკრუსუნე; გულისრევის შემდეგ საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი და თავი მუხლებში ჩავრგე. ამ შესაბრალის მდგომარეობაში ვიყავი, მიმტანი რომ მოგვიახლოვდა და გვითხრა ბარი იკეტებაო.

ზღურბლზე ძვლებში დეკემბრის გამჭოლმა სიცივემ დამიარა. ჩემს ებრაელ მეგობარს ჭკუა ყოფნოდა არაყზე უარის სათქმელად და გაცილებით ყოჩაღად გამოიყურებოდა, მხოლოდ ჩვეულებრივ

მრგვალი სახე დაღლილობისგან დაგრძელებოდა. რესპუბლიკის მოედანი დალის სიურეალისტურ თეფშად მომეჩვენა, რომელზეც ლობიოს მარცვალივით ვიკარგებოდი. უხმოდ ჩავათავეთ ღამის განათებით გაჟღენთილი რუსთაველის გამზირი და ლესელიძეზე ჩავუხვიეთ. თავშესაფრის ძებნაზე ფიქრი მეტისმეტად ადრე იყო; ქალაქი ჯერ კიდევ მეცხრე სიზმარს ხედავდა. ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაბანდში მოურიდებლად დავიკმაყოფილე ბუნებრივი მოთხოვნილება, მთელი ამ ხნის განმავლობაში აუტანლად რომ მაწუხებდა.

ყინვაში ნახევარსაათიანი, მტანჯველი ხეტიალის შემდეგ მეიდანზე აღმოვჩნდით. აბანოების ფილებიანი გუმბათები გოგირდიანი წყლის მოთეთრო ორთქლში იყო გახვეული. ჩემს ებრაელ მეგობარს თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდა. აბანოს სახურავზე ავძვერით და გუმბათის მონასტრის სარკმლისებური საკვამურიდან ამომავალ ორთქლის ცხელ ნაკადს დამზრალი ხელები მივუშვირეთ. ცხვირში გოგირდის მძაფრი სუნი გვიღიტინებდა, მაგრამ ამ უსიამოვნებას მამაცურად ვუძლებდით.

აგურის ნესტიან, ბრტყელ ფილებზე გავწექი და ხელები სარკმელში შევყავი. ჩემი ებრაელი მეგობარი ორთქლის უფრო დიდი ნაკადის ძებნაში გუმბათიდან გუმბათთან გადადიოდა. მოულოდნელად მისი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო, დაიხარა და დაჟინებით დაიწყო ცქერა ერთ-ერთ სარკმელში.

თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი. სისუსტემ გამიარა. ახლა მხოლოდ ძვალ-რბილში გამჯდარი სიცივე მაწუხებდა. ხან ერთ გვერდს ვუშვერდი ორთქლს, ხან მეორეს, მაგრამ ამაოდ, დანესტიანებულ ტანსაცმელში სუსხი უფრო კარგად აღწევდა:

– რას აკეთებ მანდ? – დავინტერესდი ბოლოს. ჩემს ებრაელ მეგობარს მივუახლოვდი, დავიხარე და სარკმელში შევიჭვრიტე.

მუცელგამობერილ, გამხდარ ქალს კაცის ჩამომჭკნარი ასო ეჭირა ხელში. მამაკაცის გამოფიტულ, შიშველ სხეულს გოგირდოვანი წყლის ჭავლები გადასდიოდა. მშვიდად, გაუნძრევლად იდგნენ წყლის ქვეშ და ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ. მათ შემხედვარეს წესიერების საცოდავმა ნამუსრევმა მძლია და წელში გავიმართე:

– მეტი არაფერი ყოფილა. ნახევარი საათია, ასე დგანან და ერთმანეთს თვალებში უყურებენ – წაიჩურჩულა ჩემმა ებრაელმა

მეგობარმა. სახე ცნობისმოყვარეობისაგან დაძაბვოდა, თანაც სიმაღლის გამო წელში მეტისმეტად მახვილი კუთხით იყო მოხრილი:

– თავი დაანებე. ეს უკვე მეტისმეტია. თანაც საინტერესო არაფერი ხდება – მკლავში ხელი ჩავავლე და ვცადე იქაურობისთვის მომეშორებინა. კარგა ხანს მიძალიანდებოდა და თავისი პოსტისკენ იქაჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, დამყვა, რადგან ხმაურს შესაძლოა აბანოში მყოფების ყურადღება მიეპყრო, მაშინ კი კარგი დღე არ დაგვადგებოდა.

ორთქლის ნაკადები ნელ-ნელა იშრიტებოდა. გასათბობად სახურავზე ხტუნვას მოვყევით. უკაცრიელი ღამის სიჩუმეში ყრუდ ისმოდა ფეხსაცმელების დარტყმის ხმა. მოულოდნელად აბანოს კარი გაიღო და ჩვენი ნაცნობი წყვილი გამოვიდა. საჩქაროდ ამოვეფარეთ გუმბათს. აბანოდან გამოსულები უტყვად გაუყვნენ ქუჩას. ქალს პარკი მიჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ნახევარი მეტრიც არ აშორებდათ, მათ შორის გაუცხოების გადაულახავი ზღვარი იდო.

როდესაც წყვილი თვალს მიეფარა, ჩემმა ებრაელმა მეგობარმა, ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკმელში, მაგრამ საინტერესო ვეღარაფერი ნახა. ძილმორეული დამლაგებელი ზანტად ალაგებდა იქაურობას.

გოგირდის სუნით გაჟღენთილებმა და გათოშილებმა მეიდანი დავტოვეთ და რუსთაველზე ამოვედით. შვიდის ნახევარი სრულდებოდა, ცას ჯიუტად მიკრობოდნენ მოკიაფე წერტილები და არაფრით არ უნდოდათ დედამიწასთან უფრო ახლოს მყოფი მნათობისთვის ადგილის დათმობა. დრო მტანჯველად ნელა მიიზლაზნებოდა. „მერიოტთან“ მიახლოებისას ჩემს ებრაელ მეგობარს თვალები სახიფათოდ აენთო. მკაცრად გამაფრთხილა, რაც შეიძლება უდარდელი და ღირსეული იერი მიიღეო. პასუხად გამანადგურებელი მზერა დავუბრუნე, მაგრამ მხრებში მაინც გავსწორდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ „მერიოტის“ თბილ ფოიეში რბილ დივანზე ვიყავით მოკალათებულები. მოახლოებულ ადმინისტრატორს დიდმა ავანტიურისტმა უდარდელი ჟესტით ანიშნა, ყავას მოგვიანებით შევუკვეთთო. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო სახით გაბრუნდა და შორიდან დაგვიწყო თვალთვალი. თავს თეატრში სხვის ადგილზე მჯდარი ადამიანივით ვგრძნობდი. ებრაელმა მე-

გობარმა მაიძულა ინგლისურის მთელი მარაგი მომეშველიებინა, რომ სასტუმროს მუნდირიანი არგუსის ეჭვები გაგვეფანტა. პროტესტის ნიშნად ჭუჭყისაგან ფერდაკარგული ქურთუკი ჩავიცვი და დაბეჯითებით განვუცხადე, რომ აქ დარჩენას აღარ ვაპირებდი. მის უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ რომ დაინახა, არ ვხუმრობდი, დივანიდან წამოიზლაზნა. ვიდრე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ველოდებოდი, სარკესთან ტრიალებდა, პალტოდან გოგირდის ლაქებს იშორებდა და თმას ისწორებდა. მხოლოდ ამის შემდეგ ინება და ხუთვარსკვლავიანი ციხიდან გამოეტია.

ქუჩაში ტრანსპორტი გამოჩნდა. სამწუხაროდ, უკანასკნელი ხურდებით სიგარეტი ვიყიდეთ, ქველმოქმედებას კი გამთენიისას არც ერთი მძღოლი არ ეწევა. მაგრამ ამჯერად ჩემი გავიტანე და დიდი ავანტიურისტი იმ დღის ბოლო, დანარჩენებთან შედარებით უმნიშვნელო და უფერულ ტრიუკზე დავიყოლიე. მძღოლმა მხოლოდ ხელის ჩაქნევა გვაკმარა, ჯერ ხეირიანად არც იყო გამოფხიზლებული.

იმ ღამის შემდეგ ჩემი ებრაელი მეგობრისთვის კარგა ხანი არ მომიკრავს თვალი – ალბათ ახალი თავგადასავლებისთვის იკრებდა ძალას. ერთ დღესაც ბებიამისის ნახელავი თეთრი ბლის მურაბით, ერთჯერადი ჭიქებითა და ტუალეტის ქაღალდის სამი რულონით ხელდამშვენებული მესტუმრა. ამ ძღვენს თავისი უზარმაზარი თბილი სვიტერიც მოაყოლა, ახსოვდა, რომ ჩემს ბუნაგში გათბობა არ იყო და იშვიათად, საერთო დერეფანში, მეზობლის ელექტრო ქურას თუ მივაფიცხებდი გაფშეკილ ხელებს.

მაკა
მიქელაძე

„ახალგაზრდა
მწერალი ქალის
ვნებანი"

ახალგაზრდა მწერალი ქალის ვნებანი

ამ მოთხრობას ციხის კედელზე ვწერ.

კედელი. ოთახი. ინტიმი.

ციხეში ჩემამდეც ბევრი მწერალი იჯდა, ამიტომ საწერი სივრცე არ მყოფნის. ვწერ ლაკონურად. მხოლოდ ფაქტებს.

მე ვარ მწერალი ქალი.

ის იყო მწერალი კაცი. ამბობენ, რომ მე ვარ მწერალი ქალი, ის კი იყო მწერალი. ასე ფიქრობს ყველა მწერალი, ანუ მწერალი კაცი.

მე ეს მწერალი კაცი მოვკალი. არ ვინანიებ. მას ცუდი მწერლური კონცეფცია ჰქონდა. ამასთან, მიაჩნდა, რომ მე მწერლური კონცეფცია არ გამაჩნია. მაგრამ მე მაინც მტანჯავს სინანულის გრძნობა. არ ვიცი, რის გამო.

ის არ იყო ჩემი კაცი.

მე არ ვიყავი მისი ქალი.

ჩვენ ერთმანეთის მეგობარი მწერლები მოგვწონდა. მას ქალი მწერალი, მე კი, შეიძლება ითქვას, მწერალი.

ეს არაფერს ცვლიდა. ჩვენ გიჟებივით დავქროდით ერთმანეთთან სტუმრად, ის ჩემთან ათევდა ღამეს, მე მასთან. ჩვენს არამწერალ მეუღლეებს არასდროს გამოუთქვამთ პროტესტი.

ჩვენ არ ვწერდით ერთად და არც ნაწერებს ვუკითხავდით ერთმანეთს თვალებში ჩაშტერებით. მხოლოდ გიჟებივით დავქროდით ლიტერატურულ სალონებში, კაფეებში, მეგობარ მწერლებთან, პრეზენტაციებზე, დაჯილდოებებზე, ფესტივალებზე, წიგნის ბაზრობებზე, ზაფხულის ბაღებში გამართულ ღია სცენებზე მოწყობილ სიტყვის ზეიმებზე.

ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, რადგან გვეგონა, რომ მწერლებს, სულ ერთია – კაცებს თუ ქალებს, ერთმანეთი უნდა უყვარდეთ. და რადგან სხვანიც ბევრნი იყვნენ ჩვენს დღეში მყოფნი და მწერალნი და პოეტნი და მთარგმნელნი და კაცნი და ქალნი, ჩვენ ისინიც გვიყვარდა და კეთილგანწყობა და თანაგრძნობა იდგა ზღვად.

ყველაზე კარგ დროს სამზარეულო-სალონებში ვატარებდით.

ასე ერქვა ჩემს, მის და ჩვენს მეგობართა სამზარეულოებს. იქ ახლად გამომცხვარ ნაწარმოებთა კითხვა-გარჩევით ვიქცევდით თავს, იატაკზე, ფანჯრის რაფებზე და მაცივარზე ჩიტებივით დასკუპებულები.

იმდენი ლუდი დაილია...

როცა მოვკალი, ფხიზელი ვიყავი.

მე მას, როგორც ჩანს, ვერ ვაპატიე ზაფხულის ბაღების და ღამის სამზარეულოთა იდილიის დანგრევა.

ეს ნგრევა ლიტერატურული კაფედან დაიწყო. „ხაზართა ლექსიკონის“ თაობაზე ვდაობდით, მერე ჰესეს მაგიური თეატრიც ვახსენეთ... და...

ასე შევიტყვე მისი ცუდი მწერლური კონცეფცია: წარმოსახული რეალურზე რეალურია.

მეტიც! იგი თვლიდა, რომ წარმოსახვაში მომხდარი ცვლის რეალობას, და ჩვენ, მწერლებს, თან კაცებს კი და ქალებს არა, მშვიდად შეგვიძლია ერთმანეთის წარმოსახვების ცვლით, ვცვალოთ ერთმანეთის და დანარჩენთა ბედ-იღბლები, ხვედრ-კარმები და სიზმარ-ცხადი.

მე ვუთხარი, რომ იგი გიჟია, ოხერი და ვერ გაფრინდება.

ასე შეიტყო მან ჩემი, მისთვის ცუდი, მწერლური კონცეფცია: რეალური მხოლოდ რეალობაა. წარმოსახვა რეალური ხდება, მხოლოდ რეალიზაციის შემდეგ.

მე არ მომწონდა მისი რეალურად უპასუხისმგებლო, წარმოსახვაში კი მრავლისმზიდი მწერლური კონცეფცია.

მას არ მოსწონდა ჩემი „დამგრუზველი“ მწერლური კონცეფცია.

სამაგიეროდ, მას მოსწონდა ჩემი მეგობარი მწერალი ქალი, რომელსაც, სამართლიანობისთვის აღვნიშნავ, არავინ არ მოსწონდა და რომელსაც მოსწონდა, რომ ყველა მწერალს მოსწონდა.

მას არ მოსწონდა ჩემი არამწერალი ქმარი, იმიტომ რომ ჩემს არამწერალ ქმარს, რომ გეკითხა, მოსწონდა ჩემი მწერლობა და თვლიდა, რომ მწერალი ვარ და არა მწერალი ქალი.

მას, მწერალს, არ მოსწონდა ჩემი რედაქტორი და ჩემი გამომცემელი იმიტომ, რომ მათი ცოლები მოსწონდა.

მე არ მომწონდა მისი არამწერალი ცოლი იმიტომ, რომ ცოლს არ მოვწონდი მე და მოსწონდა თავისი ქმრის მეგობარი, რომელიც

მე მომწონდა.

ამ მეგობარს მოსწონდა ჩემი მეგობარი მწერალი ქალი, და მე ეს სულ არ მომწონდა იმიტომ, რომ რეალურად, ჩემს მეგობარს ჩემზე დიდი მკერდი ჰქონდა და ეს ჩემს სასარგებლოდ არ წარმართავდა მწერალ კაცთა წარმოსახვას.

ეს, რაც ვთქვი, ხდებოდა რეალურად.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ჩემს არამწერალ ქმარს არამწერალი ქალი შეუყვარდა და გამშორდა რეალური მიზეზით: ვიღაცა ჩემზე უკეთეს კრუასანებს აცხობდა. მიზეზი მისაღები იყო, რადგან, ნებისმიერი კრუასანი ჯობია არგამომცხვარს, ანუ არარეალურს. გავშორდი, ბევრი არ მიკრუსუნია.

მისი არამწერალი ცოლი კი სადღაც გაქრა, რაღაც არარეალურად გაუჩინარდა.

ეს ორი, ლიტერატურულად, მე როგორც ვფიქრობდი, ნაკლებმნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა ჩვენი მეგობრების წიგნების, „ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ“ და „გაიქეცი, ბაჭია, გაიქეცი!“-ს პრეზენტაციებს.

იმ დღეს, ცუდი მწერლური კონცეფციის მწერალი გალეშილი მესტუმრა და მითხრა რომ, ყველაფერი ჩემი ბრალია, და რომ არა ჩემი და მისი საერთო ღამეები, ახლა მე ჩემს ქმართან ვიქნებოდი და ის თავის ცოლთან; მითხრა რომ ჩვენ, ანუ მე და მას ყოველ ღამე გვქონდა წარმოსახვითი სექსი, რომლის პროვოცირებაც, მე, მისმა მონა-მორჩილმა, მოვახდინე და რომ ჩემი ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე გამშორდა და მისი ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე გაქრა.

მე ვუთხარი, რომ მას... შინა ჰყვანან, მან მითხრა, რომ მე არა და რომ ეს ცუდია, იმიტომ რომ ასეთ დროს ქალები ყოველ ღამე სხვა და სხვა მწერლებთან და არამწერლებთან შეისწავლიან წერის ხელოვნებას (ჟიმაობენო, ანუ) სახლიდან გაუსვლელად. მე გავახსენე, რომ თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, რომ მისი წერისგან გაყინული ხელები, ჩემს წერისგან გამთბარ ძუძუებში ჩავილაგე გასათბობად, მე და მას არანაირი სექსი არ გვქონია. მან მითხრა, რომ შინა მყვანან (ოფოფებს არ გულისხმობდა). მე გავახსენე, რომ ეს მტკნარი სიცრუეა და განვუმარტე, რომ ამის გამო სულაც არ მწყდება გული.

იმ დღეს მან ომი გამომიცხადა. დამპირდა რომ ყოველ ღამე

მომპარავდა სიზმრებს. გადაასტრუქტურირებდა (ზუსტად ეს მდარე სიტყვა იხმარა) ჩემს ცნობიერებას და ყოფიერებას.

ის ღამე ჩემს სახლში ეძინა. მეძინა მეც. მეგონა გამოფხიზ-ლდებოდა.

დილით ისე წავიდა, არავის გაუგია.

მისი წასვლა და ჩემი შთაგონების გაქრობა ერთი იყო. წამლად ერთი აზრიც ვერ მოვიძიე თავში და ვერც თავს ზემოთ.

ცხადი გახდა, რომ გამქურდეს.

საღამოს საჯარო ბიბლიოთეკაში შევხვდი – ჩემი მეგობარი მწერალი ქალის ნაცნობი და ჩემთვის უცნობი მწერლის ნაწარმოების, „სიყვარული ღვეზელი არ არის“ საჯარო განხილვაზე.

მე მას პირველად ჩავხედე თვალებში არასიყვარულით და მივხვდი, რომ ის ჩემი მტერი იყო. დღიდან გაცნობისა, ჩემი ძარცვით დაკავებული თავს იკატუნებდა, ვითომც არაფერიო. ხოლო მე, თავქარიანივით იმიტომ დავდევდი კუდში, რომ როგორმე ჩემი სიზმრები, აზრები, მიგნებები და აღმოჩენები დამებრუნებინა. რაღაცას ვგრძნობდი. ინტუიცია მაქვს გამოჯაგული.

– ჯერ სადა ხარ, ვეღარასოდეს სიზმარს ვეღარ ნახავო, – დამემუქრა და იქვე ადგილიდან ფეხმოუცვლელად ჩაიჯიბა ერთ-ერთი, ამორჩევითად ლამაზი სიზმარი.

მე შემეშინდა და სიზმრების ხსნის გზა გამოვნახე:

არდაძინება.

ამიტომ სიზმრებს მართლაც ვეღარ ვნახულობდი.

ყოველ ღამე ვწერდი, რათა ვინმეს არ ეფიქრა, თითქოს რამე ნაკლებპრესტიჟულით ვიყავი დაკავებული.

ის კარგა ხანს არ გამოჩენილა.

ჩემმა მეგობარმა მწერალმა ქალმა ჭორად მომიტანა, რომ მან გააფორმა და გამოსაცემად მოამზადა (გაჟიმა ანუ) ორივე: ჩემი რედაქტორის ცოლიც და ჩემი გამომცემლის ცოლიც.

მე ეს ვიცოდი. ოღონდ ვერაფრით დავაზუსტე, ჯერ მე ვნახე ეს ამბები სიზმარში თუ ჯერ მან გამოიჩინა მამაკაცური სიმამაცე. ბოლოს მივხვდი: დღის საათებში ძილი უკვე სახიფათო იყო. სწორედ სიესტაზე მესიზმრა, რომ ის ჯერ ჩემს რედაქტორად გადაიქცა და შემდეგ ჩემს გამომცემლად. ცოლები კი ფეხებს ბანდნენ ვარდის წყალში და ნელსაცხებელს სცხებდნენ.

უფრო შემეშინდა.

სიზმრების გადასარჩენ ახალ გზას მივმართე.

დავიქირავე მცველი.

მცველს სახელად ერქვა ჟანა. დღისით ის ჩემს საწოლთან იჯდა და ჩემს სიზმრებს დარაჯობდა.

ერთხელაც, როცა მეძინა, ის ჩემ სახლში შემოიპარა და ჟანას წერა ასწავლა (არ ვიცი, რამდენად საფუძვლიანად). შეიძლება არც შემოპარულა ან მარტო კითხვის სწავლებით დაკმაყოფილდა, მაგრამ ჟანას იგი შეუყვარდა.

ტკბილი ძილიდან ახლადგამოფხიზლებულმა დავინახე, როგორ უგზავნიდა ჟანა ჩემს საუკეთესო სიზმარს ცუდი მწერლური კონცეფციის მქონე მწერალს. მიბნედილ, გათიშულ სახეზე ნეტარების ღიმილი ეფინა და თეძოებს ხელებით იზელდა. მაშინვე ყველაფერს მივხვდი.

ჟანა დავითხოვე.

ცუდი მწერლური კონცეფციის მწერალმა დამირეკა და ყველა პროდიუსერი და სპონსორი ერთად შემახსენა (მაგინა, რბილად რომ ვთქვა). მერე მითხრა, რომ წუწურაქი ვარ, რომ შემიძლია ჩემი სიზმრები დავახვიო და სადაც მინდა იქ გამოვცე. მე წარმოდგენაც არ მქონდა, სად მინდოდა ჩემი სიზმრების გამომზეურება, ამიტომ მორჩილად ვუსმენდი. გინება რომ მოათავა, ჩვენი საერთო მეგობრის რომანის „დიალოგი წყვდიადში“-ს დღის სინათლეზე გამოჩენასთან დაკავშირებულ ფართიზე მიმიწვია ფართოდ გახსნილი გულით.

არ წავედი.

მან ჩემს მეგობარ მწერალ ქალთან სიარულს მიჰყო ხელი.

ჟანამ – წერას.

მე მივხვდი, რომ ის ჩემს მეგობარს დაუახლოვდა, რათა ამ შემოვლითი გზით ჩემი სიზმრები დაეთრია, მაგრამ ვერ მივხვდი, რომ მისი მეგობარი, რომელიც მომწონდა, მეწვეოდა და ჩემი მეგობარი მწერალი ქალის მაგივრად მე დამბეჭდავდა (გამჟიმა! წარმოგიდგენიათ!). ან კი საიდან მივხვდებოდი?! მე მაშინ არ ვიცოდი, ძმაკაცებს მოთხრობა რომ შეექმნათ, ერთობლივი: ძმაკაცები მოწონებულ ქალებს ცვლიდნენ, ძმაკაცობის განმტკიცების მიზნით.

ზოგი ჭირი მარგებელია და შემრჩა კაცი, რომელიც მომწონდა.

ჩემს მეგობარ მწერალ ქალს ავუკრძალე ჩემთან სტუმრობა, თუმცა ვიცოდი, რომ თავისი მწერლური კონცეფციიდან გამომდინარე, ჩემი მეგობარი მწერალი ქალი არასოდეს არაფრისდიდებით არავისთან ერთად არ აქვეყნებდა ნაწარმოებებს (ან არ ჟიმაობდა, ან არ აბაზრებდა, მწერლებთან მაინც).

ეს კარგი, მაგრამ არ ვიცოდი, მის სამწერლო კონცეფციაში რა ეწერა სიზმრების და დაქალის კაცების მოპარვის შესახებ. მორიგ გაცვლაში რომ არ მოვყოლილიყავი, თავი დავიზღვიე.

თავისვე დასაზღვევად ისიც გავარკვიე, რომ ამჟამად ჩემ საყვარელ მწერალს, ანუ მწერალ-საყვარელს, ჩემთვის მისაღები სამწერლო კონცეფცია ჰქონდა. ის თვლიდა, რომ ის რეალური, რაც წარმოსახვამ შეიძლება მოგვიტანოს, მხოლოდ ფულია. მე შევცდი და აღარ ჩავძიებივარ, არ გამირკვევია, თვლიდა თუ არა იგი ამ ფულის სხვისთვის მოპარვას შესაძლებლად. უბრალოდ ვუთხარი, რომ იგი დიდი მწერალია და ის გენიალურ საყვარლად გადაიქცა.

მე დავმშვიდდი და მოვდუნდი, იმ იმედით, რომ როდესმე გენიალური მწერლის საყვარელი მაინც დამერქმეოდა, თუ გენიალური მწერალი არა.

დროზე ადრე.

ერთხელ სახლის მოთაროებისას, აღმოვაჩინე, რომ ჩემი სიზმრების დიდი ნაწილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ანუ როგორც ჩემთვის მისაღები სამწერლო კონცეფციის მწერალმა თქვა, არავითარი შემოსავალი არ მოუტანიათ.

ჯერ ვიფიქრე, რომ ეს ჩემთვის მისაღები მწერალიც მოგზავნილია და ის ჩემი მეგობარი მწერალი ქალიც, რომელიც ჩემთვის მიუღებელ მწერალთან სიზმრების ქურდობის კურსებს ამთავრებს დაუსწრებლად.

როცა ჩავუღრმავდი, გადავწყვიტე საქმიანად და რეალურად გამერკვია, ვინ ვის რა მოპარა და როდის. ვის აშოვნინა ჩემმა სიზმრებმა ფული.

დავიწყე კვლევა:

და აი, რა გაირკვა:

როცა ცუდი სამწერლო კონცეფციის მწერალი გავიცანი, მე ვხედავდი სიზმარს: ჩაფართხუნებულ ჩოხაში გამოწყობილი ალბერტო მორავია ქუჩაში დამიხვდა, ჩანთა წამართვა და ფაცხა-

ფუცხით ჩაიკარგა ძველი თბილისის იტალიურისებრ შუკა-ქუჩებში (ამით იმის თქმა მინდა, გაცნობილი არ მყავდა, როცა გაფრთხილება მივიღე, არ გამეცნო.). ისიც შესაძლებელია, რომ უკვე ეს სიზმარი მომპარა, სწორედ იმ ხანებში დაწერა მოთხრობა „ქურდობის ქალღმერთი“.

როცა მე მესიზმრა, რომ ჩემი ქმრის ნაჩუქარი ბალიში თავქვეშეთიდან გამეპარა და მაჰარაჯას სპილოდ გადაიქცა, მან შექმნა მოთხრობა „ყურთბალიში“.

როცა მე მესიზმრა, რომ ვერტმფრენებიდან გულგამოცლილი კალმისტრით და დაგორგლილი ქაღალდით ლომებს ვხოცავ საჰარაში, მან გამოაქვეყნა „მოგზაურობა აფრიკაში“.

როცა მე მესიზმრა, რომ „ძაღლური ცხოვრებით“ ვცხოვრობ, მან გამოამზეურა „წითელი ძაღლები“.

როცა მე მესიზმრა, რომ მონაზვნად აღვიკვეცე, მან სახელი გაითქვა მოთხრობით „თავსაფრიანი დედაკაცი“.

როცა მე მესიზმრა, რომ ბატონყმობა გადავარდა და ჩემი დრო წავიდა, მან გამოაქვეყნა „თავადის ქალი მაია“.

ამასთან, ეს სენი სხვებსაც შევნიშნე. ერთმა ჩემმა მეგობარმა მწერალმა, ჩემი სიზმრების კოლაჟი, სიტყვაშეუცვლელად გამოსცა წიგნად და „აჯაფსანდალი“ უწოდა. სიზმრების მეორე ნახევარი კი თავის მეგობარს აჩუქა ან მიყიდა, რათა მას თავისი „არიადნას გორგალი“ ჩაეხლართა, თან ისე ოსტატურად, რომ ჩემი სიზმრები მევე ვერ ვიცანი.

ცხადია, ორივე შეკრული იყო ჩემს მტერთან, რომელიც მე არა მხოლოდ სიზმრებს, ცხოვრებასაც მპარავდა. აი, თუნდაც, როცა ქმარი გამშორდა, დაწერა „ფოტომამები“. როცა ბინა გადავცვალე შექმნა „მესამე სართული“ (მე ხომ სწორედ მესამე სართულზე გადავცვალე ბინა). როცა ფეხი მოვიტეხე და ჯვარედინი ნახვევი დამადეს, პირდაპირ სტამბიდან მომირბენინა ახალთახალი რომანი „მძიმე ჯვარი“. როცა ჩვენი სამეგობროდან ვერც ერთმა ვერ ავიღეთ წლის ვერც ერთი ლიტერატურული ჯილდო, უმალ „გმირთა ვარამი“ გამოაცხო.

საიდუმლოდ შევიტყვე, რომ მთელი მოპარული სიზმრები, ერთ საქაღალდეში განათავსა და გაფრთხილებასავით წააწერა „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. საქაღალდე საგულდაგულოდ გა-

დამალა კარადაში, სადაც „სამოსელ პირველს“ ინახავდა.

მან მომპარა ნატვრა, ოცნებები და გამოსცა „ნატვრის ხედ“,

მან მომპარა ფიქრი, აზრები და გამოსცა „გველის პერანგად“.

მან მე, ცუდად შემნახავიაო და შეიძლება ითქვას, მთვარეც კი მომტაცა. ყველაზე უარესი იყო ის, რომ იგი ახლობელ ადამიანებს მაკარგვინებდა.

კარგვები არაპოეტურად, მძიმედპროზაულად, სუპერდრამატულად და არც თუ ლიტერატურულად მიმდინარეობდა.

დაიწყო ასე.

ჩემთვის მისაღები მწერლური კონცეფციის მწერალმა, მთელი ჩემთან გატარებული ღამე, სხვა მწერალი ქალის სახელის ძახილში გაატარა. ის მწერალი ქალი სულაც არ არის ჩემი მეგობარი, იმიტომ რომ ჩემზე ბევრად მაღალი და განათლებულია. ამიტომ როცა ჩემთვის მისაღები მწერლური კონცეფციის მწერალმა, ასე ვთქვათ ჩემი ფერება მოათავა, მე შიშნარევად ვიკითხე:

– ის ქალი ჩემზე უკეთესად წერს?

ეს მოხდა, მაშინ როცა ჩემი საყვარელი მწერლის მეგობარმა და ჩემმა დაუძინებელმა მტერმა პირველი პრემია აიღო მოთხრობაში „რა გინდათ, ქალბატონო?“, ხოლო იმ არა ჩემმა მეგობარმა მწერალმა ქალმა, რომლის სახელსაც ვნებიანად ჩამჩურჩულებდნენ ყურში კარგა ხანს, მოთხრობაზე მოთხრობით უპასუხა. იმ მოთხრობას მგონი „მესიჯი არსაით“ ერქვა. შეიძლება არც.

– რა თქმა უნდა, – მიპასუხა ჩემთვის მისაღები მწერლური კონცეფციის მწერალმა, – მაგრამ, რეალურად არაფერი გვქონია. შენ თავს გეფიცები!

წიაღთა შინა აბრაამისთა!

– აბა, რატომ ეფერებოდი ჩემი ლოგინიდან? – არ უნდა მეკითხა?!

– წარმოსახვას ვივარჯიშებდი, – მიპასუხა.

აქ მე მივხვდი, რომ მან მიღალატა და მწერლური კონცეფცია შეიცვალა.

უარესი. მე მივხვდი, რომ სადაცაა თავს ვუღალატებ. აბა რა მომივიდოდა, როცა ის, არა ჩემი მეგობარი მწერალი ქალი დაფეხმძიმდა, ჩემი და წარსულში ჩემთვის მისაღები მწერლური კონცეფციის მწერალი კაცის ერთობლივი ღამისგან. მან შობა ბიჭი,

სახელად საბა და მოთხრობა „შვილზე მეტი და სიყვარულის ახსნა“.

შინა სკანდალისას ჩემმა, უკვე აღარ საყვარელმა მწერალმა მომაძახა, რომ მირჩევნია ჩემს შვილს შევხედო, რომელიც მამამისზე მეტად ჩემი სიზმრების ქურდს ჰგავს, რაც ცხადყოფს იმას რომ მე წიგნს ვწერდი (ვჟიმაობდი, თურმე) ადამიანთან, რომლის მწერლური კონცეფციაც არ მაკმაყოფილებს.

მე დავიწყე იმის ახსნა, რომ ძუძუებში ხელების გათბობა და დაკაბადონება (ჟიმაობას ხომ არ ვეტყოდი, მართლა და მართლა) ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ჩემ შვილს რომ გავხედე, გამახსენდა რომ სწორედ მაშინ დავფეხმძიმდი, როცა სიზმრისპარია „სიზმრად გამოძახებას“ წერდა.

გამწარებული კვლავ საყვარელს ვეცი:

– შენ მე მიღალატე! შენ ჩემი მტრის მხარეს გადახვედი! იცოდე, რომ მე არა ვარ ტრენაჟორი წარმოსახვის გასავარჯიშებლად, სახელად „წარმ-10“, მაგალითად.

ის მიხსნიდა, რომ რადგან მას და მისი წარმოსახვის ობიექტს რეალურად არაფერი ჰქონიათ, ეს მე ვღალატობ ჩემივე მწერლურ კონცეფციას. მან მითხრა, რომ ეს მწერალი ქალები უაზროები ვართ, და რომ მისთვის მისაღები ერთადერთი მწერალი ქალი ვინმე დიანა ვაჩნაძეა, იმიტომ რომ მშვიდობიანად სვამს ლუდს და უყურებს ფეხბურთს მასთან ერთად.

ამან მე გამაცეცხლა, რადგან წარმოდგენა არ მქონდა ვინ იყო ეს ქალი რეალურად და ამან ჩემს წარმოსახვას ეჭვების იისეთი ფრთები შეასხაა... მივახალე, რომ ჩემ პირველ სიყვარულ ვინმე ზურა მესხთან შედარებით წერა-კითხვის უცოდინარია და რომ სპაზმებამდე სიყვარული არ შეუძლია. კიდევ ვუთხარი, რომ თუ ახლავე არ წაეთრევა ჩემი სახლიდან, მე გამახსენდება, რომ ამჟამად ვწერ მოთხრობას „ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე“.

ამ დროს ზარი დაირეკა და შემოვიდა ჟანა, რომელმაც გვითხრა, რომ სტიუარდესად იწყებს მუშაობას და უნდა, რომ მშვიდობიანად დაგვემშვიდობოს.

ჩემი კაციც დამემშვიდობა, წასვლისას მან თქვა, რომ ჟანა არის ნორმალური ადამიანი, რადგან არ თვლის რომ უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული კონცეფცია.

მე მას „შავი ჭირი“ და „ღებინება“ ვუსურვე.

მან – ახალი „დღესასწაული, რომელიც სულ ჩემთანაა“.

„ომი და მშვიდობიანად“ დავშორდით.

დამაკლდა მისი მაღალი ბანი.

განშორების შემდეგ შევქმენი „ლედი ჩატერლეის საყვარლები“ და „შობა ღამის ალქაჯები“

არც მას უდარდია. შეჰქმნა „ნოქდაუნი“ და „სახარება ვირისა“.

ეს კარგი, ორი ახლობელი – ჟანა და ჩემი კაცი, უკვე დავთვალეთ. პლუს რედაქტორი, პლუს გამომცემელი, რომლებიც განმიდგნენ იმ რწმენის გამო, რომ ცოლები არ უღალატებდნენ, რომ არა, ჩემი „ერთი მოთხრობა სექსზე“. ცოლებმა კი, კინაღამ სასამართლოში მიჩივლეს მოთხრობისთვის „კვირაში სამჯერ“ (აღმოჩნდა რომ შაბათს ჩემთვის მიუღებელი მწერლური კონცეფციის მწერალი ისვენებდა და რადგან ქალები სულ ცოტა ორნი იყვნენ, თითოეულს კვირაში მხოლოდ სამჯერ უწევდა... შინყოფნა)

ჩემი მეგობარი მწერალი ქალი მეჩხუბა, რას ქვია შენი საყვარელი სხვა ქალის ბწკარედიდან სათარგმნად გაუშვი, (აგერ ნახე... სულ ცოტა ხანში... გული მიგრძნობსო) მას მხოლოდ ჩემთან ერთად უნდოდა შემოქმედებითი წვა (არ ვიცი რა იგულისხმა) და ჩემი ნაჩუქარი სიზმრებით შექმნა თავისი „არასაფრენი დღეებიო“. მე მივახალე, რომ ჩემს ყოფილ კაცს მხოლოდ ფრენია ჟანა უყვარს და არა „ისპაჰანის ბულბულების“ და „მე – მარგარიტას“ ავტორი თუნდაც მაგარი მწერალი (ქალი.)

ჩემი მეგობარი ყვიროდა, რომ მე სპეციალურად შევაპარე სიზმრისპარია, რომ სიზმრებისგან განძარცვულს აღარაფერი ეწერა და ცხვირწინ ავაცალე ჩემი კაცი, რომელიც თურმე ორმოც კაცს ერჩია, მას მერე რაც მისი „აჩიბაბა და ორმოცი ყაჩაღი“ წაიკითხა.

ამ დროისთვის მე გავბეზრდი და აღარ ვუთხარი, რომ საფიქრალი მის გარეშეც არ მაკლია, რომ ცუდად ვარ, რომ საწყალი ჟანა უდაბნოში ჩამოვარდა თავის თვითმფრინავიანად, რომ იგი ისევ წერს და თან პრინცზე ფიქრობს.

დემარშისას, ჩემმა მეგობარმა მახარა, რომ მე მისთვის დღეიდან „უცხო“ ვარ, ის ჩემთვის დღეიდან „ციხეკოშკია“ და ჩემი ლიტსალონი არის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“.

არც ამომასუნთქეს.

სხვა, არა ჩემი მეგობარი ქალი ამ „ბოსტანში“ მომივარდა და

სახეში სილა გამაწნა, რატომ გამიბაზრე მე და შენ კაცს რომ პერიოდიკაში ყოველთვის ერთად გვაქვეყნებდნენ. (შიგადაშიგ რომ მჟიმავდაო, ესე იგი...) მე დიდხანს ვუხსნიდი, რომ ჩემი და მისი ქმნილებები ერთი და იგივე არ არის, ანუ შევეცადე განმემარტა, რომ ჩემი და მისი ჟჟჟჟჟჟჟჟ ... და რომ რეალურად...

მან მითხრა, რომ რეალურად მას გაუჩნდა შვილი და არა მე. მე გავალმასდი და ვუთხარი რომ, მისი შვილი მეც მგავს, იმიტომ, რომ სიზმრებში ის გაცილებით ხშირად იყო ჩემთან, (არაპრესტიჟული არაფერი მიგულისხმია) ვიდრე ჩემს მწერალთან, და თუმცა მე სიზმარები ბუნდოვნად მახსოვს, მის ნაწერს ეტყობა, რომ არ არის მარტო ერთი პატიოსანი ქალის შექმნილი.

არამეგობარმა მე კარი მომიჯახუნა და მომაყვირა, რომ დღესვე გათხოვდება ყველაზე მთავარი ლიტერატურული პრემიის მფლობელზე, რადგან ჩვენს ხელში, მწერლური კონცეფცია შეეცვალა და თვლის, რომ ერთადერთი, რასაც მწერალმა ქალმა შეიძლება გამოჰკრას ხელი – დიდი-დიდი მწერალი კაცია, რომლისგანაც უკეთეს შემთხვევაში მწერალს დააყენებს.

ხა! კოვზი ნაცარში ჩაუვარდა!

სასწაული მოხდა.

იმ წლის და მთლად მთავარი პრემია ქალს გადაეცა (ისე დავიბენით, აღარავის არ ახსოვს, რომელს).

ჟანასგან მისალოცი მივიღე, წარმატებას მილოცავდა. გამარჯვებულში ავერიე.

მე გული ამიჩუყდა, გადავურეკე ცუდი მწერლური კონცეფციის მწერალს და ავუხსენი, რომ აუცილებლად მჭირდება ჩვენი საერთო შეხვედრების განახლება და რომ მე მაკლია ხალიჩებზე და მეგობრების რბილობებზე თავმიდებული ძილი და რომ მე მჭირდება ზაფხულის მოლზე წამოგორებულს ახლობელთა ლექსების მეათასედ მოსმენა და რომ მე ერთმანეთისთვის დაწუნებული ნაწერებით დაფარული ფურცლების თვითმფრინავებად გადაქცევა მომენატრა და რომ სიყვარული დიდი ძალაა და იქნებ ვცადოთ, და იქნებ შევიკრიბოთ და რამე რომ იყოს, ხომ არ მოგვეწყო ერთი პატარა საშინაო „პენ-მარათონი“ ისე, რომ ერთმანეთს არაფერი ავწაპნოთ.

შევიკრიბეთ.

დავალება ასეთი იყო: ერთ სიუჟეტს ყველა სხვადასხვაგვარად ვწერდით. უნდა გამგვსლოდა რომანი. ვთქვათ „იესო, ძე კაცისა“.

გავათენეთ ორი ღამე პატიოსნად, ღმერთი-რჯული, ერთმანეთისთვის არაფერი მოგვიპარავს, არც გადაგვიწერია და არც... და რა გამოგვივიდა?

„მკვდარი სულები“.

– სიზმრებმა მოგვიპარეს ყველანი, – ვთქვი მე.

აი, ეს რომ ვთქვი, მივხვდი, რომ მაგრად ვარ არეული და რომ დავიღალე. მივხვდი, რომ დავმარცხდი და ამ უაზრო ორთაბრძოლის დროს სიზმრების ქურდმა იმ წლის თხუთმეტივე საუკეთესო მოთხრობა დაწერა.

რაღას ვიზამდი?

სიზმრების ქურდობაზე გადავედი.

ქურდის ქურდი ხომ ცხონდა.

ჰოდა, ვცხონდი.

წარმატებას წარმატება მოჰყვა.

სხვათა შორის, არა მარტო ლიტერატურულ სარბიელზე. ერთ დღეს ისეთ ალმასივით პოეტს მოვეწონე, ცინცხალ-ცინცხალ ნაკვერცხლებს ყრიდა, და რომ არა ჩემი მტრის იაფასიანი ნოველა, სათნო და მკდემი ასულის შესახებ, რომელსაც პოეტების დანახვისთანავე ვამპირული ეშვები ეზრდებოდა, იქნებ მეც დავთანხმებულიყავი კალმოსნის ცოლის ხვედრს და კრუასანების თითხნას.

რაღა მოსაყოლია რომ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ, ჩემ დანახვაზე პოეტები სისხლისგან იცლებოდნენ, (სიზმრებში) და ყელზე იფარებდნენ ხელებს (ცხადში).

რაღა დამრჩენოდა. ძარცვა განვაგრძე.

ოსტატურად ვქურდობდი. მაშინ შექმნილი ჩემი „არა იპარო“ ყველა ჟურნალმა დაბეჭდა და ყველა კრებულში მოხვდა. „მართალი აბდულასთვის“ მრავალგზის დამაჯილდოვეს. მე, თითქმის ძალიან ცნობილი მწერალი ქალი გავხდი.

ზოგი მწერალი კაცი მწერლადაც კი მთვლის.

ზოგი მწერალიც მთვლის მწერლად...

და სწორედ იმ პერიოდში როცა მესამედ გამოვეცი მოთხრობა „სერიული მკვლელი ქალის მოგონებანი“ გაიღო კარი და შემოვიდა, არაჩემი კაცი, უკვე ჩემდაგვარი მწერლური კონცეფციით.

ჩემი ბავშვი, თუ ჩვენი ბავშვი, კომპიუტერში იხვებს ხოცავდა.

– ერთად ვიყოთ, ჩემნაირო! – მითხრა მან.

კიდევ ბევრი რამ მითხრა: დამთავრდაო, თამაში ჭვავის ყანაშიო! ზამთრის ომი ტიბეტშიო! ნახვამდის, სევდაო! ეჰ, აბესალომ, აბესალომო..

მე ჩვენ შვილს იხვების სახოცი პისტოლეტი ჩამოვართვი.

„პიფ-პაფ“

იგი დავარდა და მოკვდა.

საქაღალდიდან ბოლო შედევრი „ერთხელ, დავკალი მამალი“ გადმოუვარდა.

– წმენა დიდი ძალაა, – ვთქვი მე.

– იხვს გავს! – თქვა ჩვენმა შვილმა.

– პირწავარდნილი მამამისია, -ვიფიქრე გულში. – ამასაც ერევა იქეთ-აქეთი.

– იქამც კარგი კაცი იყო, იქმც ნათელი დაადგესა, – სული ჩავბერე იარაღის ლულას, სათამაშო თითზე დავატრიალე და ქამარში გავიჩარე.

მერე რეალურ პატრულს გამოვუძახე.

ის ხომ რეალურად მოკვდა.

ახლა რეალურად ვზივარ ციხეში და ვფიქრობ რა დავარქვა ჩემს ახალ მოთხრობას, ვგონებ „ხაკერი და კილერი“ თანამედროვედ ჟღერს.

კედელი აჭრელებულია,

ერთგან საჭადრაკო დაფაც კი მიუხატავთ. ფი! რისთვის მოაცდინეს ადგილი, ჭადრაკი ხომ წარმოსახვაშიც ითამაშება.

არა, ვერ ისვენებს! აქაც არ მასვენებს! რა წარმოსახვა, რის წარმოსახვა.

არ შეიძლება, აქ რამე გვირაბი არ იყოს. რამდენ წიგნშია გვირაბი გათხრილი.

შეუძლებელია მარტო კედელი. ოთახი. ინტიმი.

რამეს წავიკითხავ.

აი, უკვდავსაყოფი: აქ ისხდნენ მაკა, აკა, ანა, მარიანა, დათოები, ირაკლები, მიხაილები, უილიამები, მარგარეტები, მიგელი, ალექსანდრები, დიუმები, მარკესი, ბორხესი, ტურიკა, დეფიკა... ააჰ, სად შემიძლია ბევრნი, ბევრნი, მსხდარან და სხედან და ზიან

და ზიანს აყენებენ...

არა!

არ მინდა თეთრი ბაირაღის აფრიალება. არ მინდა იდიოტი მეგონოს თავი. არ შემიძლია უიმედობის არქიპელაგი... უდაბნოს გლახობა...

ალბათ პოეტებს სხვა კამერაში სვამენ, ალბათ ზღვაზე ხედით.

რაო? ნუთუ ციხის კედლებზეც იწერება მსგავსი?

შოთა+მაია.

ბესო+მადი.

ზვიადი+თეონა.

რომ გაიღოს კარი და ვინმე თვალისმომჭრელი პოეტი შემომისახლონ ჟანასთან გადაფრენის მცდელობისთვისვის დაპატიმრებული?

აღარ მეცინება...

რას მომისჯიან?

ალბათ „სარჩობელაზედ“ გამამწესებენ.

კარგი, მისი რწმენა დიდი ძალა იყო, მაგრამ მე ხომ არ მწამს, რომ წარმოსახვა რეალობაა. სად წავიდა ჩემი რწმენა? რატომ არ შეაჩერა ეს გარდაუვალობა? რატომ მოვკალი კაცი? როგორ მოვკალი კაცი? რატომ გაჭრა მისმა რწმენამ და ვერ გაჭრა ჩემმა.

ااااا! მე ხომ რწმენა შევიცვალე.

და რა გამახსენდა სროლის წინ? უფრო ზუსტად რა წარმომესახა? როგორ ააგორებდა პიარს მისი სიკვდილი. მე ხომ გასროლისთანავე ბესთსელერების ავტორი გავხდი.

თუ ვინმეს რამე დაუწერია წაშალონ.

ჩემი წიგნები იპყრობენ მსოფლიო ბაზარს.

სივრცე მჭირდება.

წაშალონ, წაშალონ, არ დამაბრალონ, ვინმესგან ისესხეო.

მე არ ვსესხულობ. მე ვქურდობ.

ჩემს ყოფილ საყვარელს გენიალური მწერლური კონცეფცია ჰქონდა. მე მას დავუბრუნდი.

მთავარია წარმოსახული რეალურად გაასაღო. (ამ სიტყვის ყველა შესაძლო მნიშვნელობით)

კედელი...

რამდენი აბდაუბდა უჯღაპნიათ.

ვა, ლექსი?! აქ როგორ მოხვდა?

„ვინ ვარ? არავინ. შენ ვიღა ხარ?

ნუთუ არავინ?

ორნი ვყოფილვართ ქვეყანაზე,

მადლობა უფალს“.

აი, ბრძნული აზრი: თუკი ცხოვრებას არა აქვს მიმართულება, მაშინ მასში არც არაფერი არ ხდება.

აი, კიდევ: რა სახიფათოა ფანჯარასთან დგომა! და საერთოდ რა ძნელია, ბედნიერი იყო ამქვეყნად.

ეს ანეგდოტს ჰგავს: „შევდივარ დედაჩემის საწოლ ოთახში, ვხედავ მის საწოლში ჩემს ბოსს, შოკირებული, თავზარდაცემული გამოვრბივარ საწოლი ოთახიდან და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მახსენდება, რომ მე მამაჩემის ფირმაში ვმუშაობ“.

აქ რაღაც ლოცვაა: რაღაცა მომიტევეო, არ ჩანს წაშლილია... რაღაცა... უდებები ჩვენი? სირცხვილია, მწერალი მეთქმის. ამ სიტყვის მნიშვნელობა ნამდვილად არ ვიცი... ისევ არ ჩანს, მომიტევეო... რაო? „ანუ თუ ვფუცე, ანუ თუ ვაფუცე სხეული შენი წმინდა...“

რეებს წერს ეს ხალხი, გააფრენ.

ანა
ჭოჩაია-
სამაღაშვილი

„ბერიკაობა"

ბერიკაობა

თავის გამართლება კი შემიძლია: მხოლოდ იმიტომ გავბრიყვდი, რომ დროში მოხდა აცდენა. თორემ ისე მე, ქართული მისტერიების დედას და ივერიის გაბრწყინების საწინდარს, ასეთები არ მეშლება ხოლმე. რას იზამ – [illegible]...

ბერიკაობა ხომ გაზაფხულზეა. რა ვიცი, მე ასე მასწავლეს. წესით ხომ ასეა: მაშინ, როცა ზამთარი მთავრდება, მგონი, გაზაფხულის ბუნიობის ჟამს, ვინმე, რა ვიცი, ენუკი, ბენუკი ან ბუბუტა, ბერიკა ხდება და ამ დროს სხვები მისი „პადელნიკები“ არიან. ბერიკა ყველა ოცნებას გისრულებს: წვავს, რაც კი ზამთრის განმავლობაში სახლში ან თავში უვარგისი დაგიგროვდა, მტერს ამარცხებს, სიყვარულს გიხსნის, მღერის და ცეკვავს, და ასეთი ვინმე რომ შემოგიჩნდება, ბოლოს და ბოლოს, თუ მთლად მკვდარი არა ხარ, ალბათ დაიჯერებ, რომ ცუდი დამთავრდა, აწი ახალი ცხოვრება იწყება, და შენც ყველაფერს შეძლებ, იმიტომ, რომ ძლიერი, ახალგაზრდა, ლამაზი და, საერთოდ, ძალიან მაგარი ხარ.

მთელი მუღამი ისაა, რომ ერთ მშვენიერ დილას ბერიკა კვლავ ენუკი, ბენუკი, ან ბუბუტა ხდება და თუ მთლად მკვდარი არა ხარ, არ უნდა გაბრაზდე, რომ ისეთი აღარაა, როგორიც გუშინ იყო: ეგეთი მხოლოდ მანამაა, სანამ შოუ გრძელდება, ამიტომ, როცა ბერიკაობა მორჩება, არ უნდა დაგემართოს ეგზისტენციალური კრიზისი, რასაც მერე სიმთვრალის ჟამს ვიბრალებდი, დიდება ღმერთს, მხოლოდ კედლების გასაგონად. მომავალ წელს კიდევ სხვა ბერიკა იქნება, ან შენ იქნები ბერიკა. ასე არ ჯობია?

ასე. ასეთმა ბერიკამ ჩემთანაც შემოირბინა, ოღონდ ცოტა უდროოდ – ზამთარში. ერთი უნიჭო თბილისური ზამთარი იყო, არც ციოდა და არც თბილოდა, და მეც ასე ვიყავი, ნელ-თბილად. კარგი არაფერი ხდებოდა, მაგრამ ისეთიც არაფერი დატრიალებულა, თავის მოკვლა ან ლ.-სთან გავარდნა რომ მომნდომებოდა სადმე დეპრესიულ მხარეში. ვიფიქრე, ამ ზამთარს გადავაგორებ და მერე ვნახოთ-მეთქი, და მოვდუნდი.

საახალწლოდ ჩემი მარკო პოლო ჩამოვიდა საიდანღაც, საიდან, ვერ დავადგინე, ბოლო ხანს ისე გაუბერა, რომ მოყოლის უნარიც

დაკარგა. მისი დანახვა სულ არ მეამა, იმიტომ რომ თარსია და მისი გამონათებისგან კარგს არაფერს უნდა ველოდე. ეგ გამოცდილი მაქვს და სულ მახსოვს. ისე, საწყალი, სულ არაა ამაში დამნაშავე, ეგეთია და მოკალი!

ცხადია, შორი გზიდან დაბრუნებულ მეგობარს დიდი სიხარულით შევხვდი. მათარიდან კონიაკი მომაყლუპინა და გარშემომყოფთა გულის გასახარად და სალაპარაკო მასალის მისაცემად კარგა ხანს შევძახოდით ერთმანეთს, ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო მზეოო. დაახლოებით ერთ საათში მზემ და სიხარულმა მითხრა, იმიტომ დავბრუნდი, რომ ჩემი ცოლი მომენატრა – სულ რაღაც რვა წლის წინათ მიტოვებული. იცი, ჩემს შემდეგ არავინ ჰყოლიაო. რას არა! კონიაკი სასულეში გადამცდა და გავლურჯდი. ესე იგი, ვუყვარვარო, და მეც ახლა მივხვდი, რომ მიყვარსო. ამის გაგონება, ცხადია, ძალიან მესიამოვნა, არადა, რას მოვიშალე ნერვები, ხომ ვიცოდი, რომ დებილია.

დასკვნის სახით სახლში აღმოვჩნდით, ძირს დაფენილ ლეიბზე ვიწექით შარვლებიან-ბათინკებიან-ქურთუკებიანად, ვიწექით და ბიჭი ოცნებობდა – ოცნებაც ასეთი უნდა:

„ვითომ მე და შენ ცოლ-ქმარი ვართ. ახლა რომ ვწევართ, ასე, თბილად, დილით, ექვს საათზე, უნდა ავდგეთ და ქარხანაში წავიდეთ – ქარხანაში ვმუშაობთ, რა (რაღა მიშავს). გარეთ, რა თქმა უნდა, ეციება, ზამთარია (ესეც კარგია). ჰოდა, წავალთ ქარხანაში და გახარებული ვიქნები, იმიტომ რომ შესვენებაზე სასადილოში შენთან ერთად შევჭამ (ჭირს და სამსალას), და მერე, საღამოს, სახლში ერთად მოვალთ და ყველაფერს ერთად გავაკეთებთ (ნეტა, რას?), და მერე დავწვებით და შეიძლება სექსიც გვქონდეს, ოღონდ უფრო არა, იმიტომ რომ მეორე დილას ისევ ასადგომები ვიქნებით (სულ მთლად ავშენებულვარ). მე ძალიან მეყვარები (რა ბედნიერი ვარ). მერე, ზაფხულში, ორი კვირით სადმე წავალთ დასასვენებლად, ალბათ საირმეში ან რაღაც ეგეთში, შეიძლება ზღვაზეც, და მერე დიდხანს გავიხსენებთ ხოლმე მაგ ამბებს (ალბათ იმას, რომ ვისექსავეთ). ოღონდ მერე შენ მოგბეზრდები (აუცილებლად) და სხვა სამსახურს იშოვნი (მართალია) და როცა წახვალ ხოლმე, მე მეცოდინება, რომ სხვა კაცთან ხარ (როგორ მიხვდი, შე მაგარო), ოღონდ ძალიან მეყვარები და არაფერს გეტყვი და

დავიტანჯები (ალალი!!!)...“

მისი ტანჯვისა რა გითხრათ, და მე საშინლად დავიტანჯე. ოდესღაც, როცა უფრო ახალგაზრდა და ოპტიმისტი ქალი ვიყავი, ეს კაცი მიყვარდა და არ ვიცოდი, რომ გიჟია, და ვინ იცის, იმასაც ვუყვარდი, ოღონდ სულ ცოტა ხანი, მერე აღარა, და კინაღამ მეც გავგიჟდი, და ახლა მის გვერდით ვწევარ და მხოლოდ ის მიხარია, რომ მისი სურვილები არ ხდება, თორემ ჩემმა მტერმა თქვა...

ასე გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა, სანამ მესამე თუ მეოთხე შეხვედრაზე მთლად დაუკრეფავებში არ გადავიდა და მაგრად არ გამამწარა. ცოლი! შევეცი შენს ცოლს! ჩემს გვერდით მაგიდასთან მოაცუნცულა, ნაბიჭვარმა, ხელებს უკოცნიდა, ჩემო დედა! კარგი გოგო იყო, ამან, ეტყობა, სულ მთლად გადამრია: ქერათმიანი, მოხდენილი, ლამაზი ჩაცმული. ტიროდა, მაგრამ ეგეც უხდებოდა. არც მთლად იდიოტი ყოფილა: არ შეურიგდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მე კი გადავირიე.

აი, აქ გამახსენდა, რომ რამდენიმე კვირის წინ, მარკოს ვენაცვალე, მის ჩამობრძანებამდე, კაცი ვნახე და ძალიანაც მომეწონა, და ვიფიქრე, ამ ზამთარში რამე რომ გამიხარდეს, რა კარგი იქნება-მეთქი. ჰოდა, როცა სიხარული და ანგელოზი ერთ საღამოსაც სახლიდან გაეტია, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი საქციელი ჩავიდინე – დავრეკე. ასე მოვიდა კაცი, რომელსაც აქ ბერიკას ვუწოდებ, იმიტომ რომ მის სახელს, გვარს, ასაკსა და სოციალურ მდგომარეობას, გარწმუნებთ, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია, – ბერიკა იყო, რა. და ასე დაიწყო უიმედო იანვარში ყეენობა, თუ ბერიკაობა, თუ რა ვიცი, მოკლედ, დიდი შოუ, რომელსაც ამ სულიერს დიდად ვუმადლი, და იმედი მაქვს, ყოველთვის ტკბილად მომაგონდება.

თავის დროზე ლ.-ს შევპირდი, შენს წერილებს შევინახავ და მერე, შენი ბიოგრაფი როცა გავხდები, დანართის სახით ამ ეპისტოლეებსაც გამოვაქვეყნებ-მეთქი. ისევე, როგორც ყველაფერი სხვა, გაგანია იანვარში თავს დამტყდარი გაზაფხულის ბუნიობის ამბავიც მივწერე, და ვინაიდან დოკუმენტური პროზის დიდი ტრფიალი ვარ და თანაც ბერიკაობის ფენომენის უკეთ გასარკვევად მკითხველმა ჩემი აღფრთოვანებული კრუსუნის გარდა რეალურად არსებული ფონის შესახებაც უნდა იცოდეს, ხელშეუხებელ ფონდს,

ლ.-ს წერილებს მივადექი.

შაბათი, 18:34

აბა, ხანუმ, გაუსროლია ჰავრორებს და ეგაა. ავღანური ქუდი, შენ რომ გინდოდა, ვერსად ვიპოვნე, პოლიტკორექტულობის ამბავია.

ლ.

ხუთშაბათი, 14:54

ჭაჭა სიდოური?

პროცესები ძალიან საინტერესოა. მამყოფე კურსში.

აგაშენებს ღმერთი, რომ შენს თავზე მაინც იწერები კარგს.

ლ.

ეს არარსებული, მაგრამ იმხანად ხელშესახები კაცი – ციდან ჩამოვარდნილი ბერიკა – ჩემს კვალობაზე ძალიან დიდი იყო და, რაც ყველაზე მეტად მომწონდა, დიდი ხელები ჰქონდა. როცა მოდიოდა, ბეჭდებს იხსნიდა ხოლმე, და სულ მიკვირდა ამხელა თითები – მე თითო ბეჭედში სამ-სამი თითი ჩამდიოდა. ვუთხარი, ამ ქვას ჩინეთში ბრძენები ატარებენ-მეთქი. გაეცინა. ძალიან მომწონდა.

თან მოხატული გახლდათ. ამისთანებს მგონი ტატუირებულებს თუ სვირინგიანებს უწოდებენ. საშინლად მომწონდა. სააბაზანოს ზღურბლზე ჩამოვჯდებოდი ხოლმე, ვუყურებდი და ვცდილობდი გამერკვია, რა ეხატა, ბოლოს-და- ბოლოს; მზე იყო, არწივი და კიდევ რაღაცეები. ოდესღაც მეც ძალიან მინდოდა ასეთი ნახატები მქონოდა, მაგრამ მეშინოდა, რომ ტკივილს ვერ გავუძლებდი და დაუმთავრებელი ნახატით გავიქცეოდი. სულ არააო მტკივნეული, მითხრა.

წერილებს მიგზავნიდა ხოლმე. მოკითხვებს კი არა, სხვა რამეებს: თუ რამეს კითხულობდა – ციტატას გამოუშვებდა, თუ არადა – იმას, რაც უბრალოდ თავში მოუვიდოდა. აბა, მე სად ვიცი მაგდენი ლათინური! რას ნიშნავს-მეთქი. ტოლი ტოლს იზიდავსო. აჰა.

ყოველ გამოჩენაზე რამე სიახლე მოჰქონდა: იდუმალი სალამურები დაბალ ხმაზე დუდუნებდა რაღაცას, უჩვეულო საკრავებზე უკრავდა ეს კაცი, არც კი ვიცი, ეგეთ მუსიკას რა ჰქვია, ხან

უცხო ზღაპრებს ყვებოდა, ვეღარ ვხვდებოდი, სევდიანს თუ მხიარულს, ხან მოგზაურების და თავის თავგადასავლებს, რომლებშიც ყოველთვის ლამაზი ქალები ერივნენ და რომლებსაც მომნუსხველი ეროტიკის სუნი ასდიოდათ. კარგი მთხრობელი იყო, ძალიან არტისტული, ალბათ ამ თანდაყოლილი არტისტიზმის გამო იყო ასეთი დამაჯერებელი ბერიკა. ერთხელ სანოვაგე მოიტანა და პარკიდან რომ ამოაწყო, ისიც რაღაც ზღაპრის ილუსტრაციას ჰგავდა: პატარა, კოხტა ქამა სოკოები, ფერად-ფერადი წნილი, შოთის პური – შორეულ თბილ წყლებში ასეთი თევზები დაცურავენ.

როცა მარტოები ვიყავით, ყოველთვის მიხაროდა მისი გამოჩენა, ხალხთან ერთად – ნაკლებად. არა მარტო იმიტომ, რომ არნახული საყვარელი იყო და მის დანახვაზე, რა დასამალია, გული მიჩერდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ სხვებმა არ იცოდნენ, რომ ბერიკა იყო, ამიტომ მასაც არ გამოსდიოდა თავისი როლი და ერთი საშუალოსტატისტიკური, ვითომდა წარმატებული ქართველი დგებოდა ხოლმე, ზუსტად ის, რაც ბერიკაობის დამთავრების შემდეგ გახდა – ეგეთები ფერადი კენჭებივით ეყარნენ ოდესღაც შავი ზღვის სანაპიროზე და თვალით ეძებდნენ ჯერ გაურუჯავ, ანუ თავისუფალ ქალს...

ლ. ძალიან ხარობდა. ეტყობა, თავისი ბერიკაობები გაახსენდა, და ხარობდა, მაგრამ რას ხარობდა! თუმცა კარგად იცოდა, რითაც მთავრდება ხოლმე ამგვარი მისტერიები, მასაც ჩემსავით იმედი ჰქონდა, რომ ამჟამად მაინც მიხვდებოდა ვინმე ბერიკაობის არსს, და თავისი მოუქნელობით გულს არ მოგვიკლავდა.

ხუთშაბათი, 17:51

მოიწერე, ხანუმ, ახალი რაა?

ჰანსი ვნახე და აპირებს შენთვის პაკეტის გამოგზავნას, მაგრამ ისე მითხრა, რომ უზარმაზარის გამოტანების იმედი აქვს. მე ამას ვერ შევძლებ. შიგ ჩაუწყვია ყავა, ასპირინი, იეროფეევის წიგნი (გერმანულად! – აქაც ყველას შიგა აქვს!) და რა ვიცი.

ყველაფერი, ნახე, როგორ აეწყო.

მერე შენ ევროპაში გაგათხოვებთ, ვინმე მდიდარზე და ყველა ავშენდებით. მანამდე შენ წაიმუშავე. თან შეამოწმე, ვინმე მძღნერს არ გადაეყარო, მართლა კომკავშირლებში არ მოვხვდეთ.

უკეთესი ცხოვრების იმედით ყურები არ ჩამოყარო.
მოკითხვით,
ლ.

მე, რომელიც სულ ვლაპარაკობ, ვერ ვეუბნებოდი ხოლმე ბერიკას, რომ ძალიან კარგი კაცია. არ გამომდიოდა. აუ, რას ველოდი ჰანსის ყავას! ფული აღარ მქონდა, არადა, მინდოდა, რომ ბერიკას კიდევ რამე გახარებოდა, მაგალითად, ჰანსის ყავა. მაგრამ ვერ ჩამოუსწრო, და ძალიან კარგი, იმიტომ რომ ის ყავაც თავზე რომ დაესხა, მე შანდალს ჩავარტყამდი და მერე ნამდვილად მომკლავდა.

მაგრამ სანამ აქამდე მივიდოდა საქმე, ქუჩაში მანქანიდან მომძახოდა ხოლმე, თან ისეთი გაბრწყინებული, თითქოს მე კი არ დავენახე დამწვარი ბუმბულის ქურთუკში, არამედ მატა ჰარის ეცეკვა ამომავალი მზის საგალობელი.

შაბათი, 19:29

აქ მშვიდობაა,
ვისში ხარ შეყვარებული, მოიწერე. იგივეში, ვინც ერთი თვის წინ, თუ ახალი?
ქალს თბილისში ნახავ თუ ერევანში?
ლ.

მერე, როგორც წესი და რიგია, ბერიკას დრო გავიდა, ბერიკაობა მორჩა, ისევე უდროოდ, როგორც დაიწყო.

ერთ დღეს ბიჭმა ჩაი დალია და აღმოაჩინა არა ზეიმის დამთავრება, არამედ ის, რომ ოქროსთმიანი მეფის ასული არა ვარ. უარესსაც მიხვდა – ვაი, ვაი! ზოგჯერ დალევაც მიყვარს, ნარდსაც კარგად ვთამაშობ, ზოგჯერ ფულზეც – ო, რა სირცხვილია ასეთი ქალისთვის სალმის მიცემა, განსაკუთრებით, როცა ელიტარულ სასტავში ხარ და შთაგონებული სახით აპირებ რაღაც კონცეპტუალური ნეხვის ყურებას! თან, ყველა სიკეთესთან ერთად, ფულიც არა მაქვს ხოლმე. ისე, ეკითხა და ვეტყოდი, დალოცვილს.

მოკლედ, ბიჭს თვალი აეხილა, და რეები ილაპარაკა! ესეც სიტყვასიტყვით მახსოვს, ისევე, როგორც იმ საოცარი კაცის ყოველი ნათქვამი და მოძრაობა, – იმ კაცზე მაქვს საუბარი, რომელ-

საც ამ მშვენიერ საღამომდე ვიცნობდი. ერთი წინადადება განსაკუთრებით ტკბილი მოსასმენი იყო – შენ რა გგონია, ჩემს ხარჯზე იცხოვრებ? მაშინ კი მორჩა ყეენობაც, ბერიკაობაც და ბაირამობაც. დავურეკე ჩემს საყვარელ მეზობელს – კიდევ ერთი ანგელოზი! მოვიდა, ჩაი დალია და გათენებამდე ვთამაშობდით ნარდს. აბა, ვის უნახავს ცარიელი კუბო...

მოგიკვდეს ჩემი თავი, ბერიკა. ალბათ გულდაწყვეტილი დარჩი, რომ ვერ მიხვდი, რასთან გქონდა საქმე – შენ ხომ არაფერი გაგეგება წარმართული დღესასწაულებისა და არც ის იცი, რომ რაღაცით მაინც შეგიძლია იამაყო: ცხოვრებაში ერთხელ შენც ბერიკა იყავი.

პარასკევი, 15:17

ასეთია ცხოვრება, ხანუმ. ყლეები ყველგან ეგეთები არიან. კაცებს უყვართ ჭკუის სწავლება. ასე რომ ნუ იდარდებ. სხვა?

წადი, ნახე ჩემი სახლი რემონტში.

კვლავ ენუკი, ბენუკი და ბუბუტა ხარობენ ჩვენს მაგივრად?

სომხეთის ქალი მომიკითხე და დამიბევე, იქნებ მაგან მაინც ივარგოს.

ლ.

ირმა
ცაგელიძე

"დროთა
შეთანხმების
წესი"

დროთა შეთანხმების წესი

„ისინი ხატვას და ხაპვას სწავლობდნენ“, – განაგრძო თაგუნიამ, მთქნარებითა და თვალების ფშვნეტით, რადგან ძალიან ეძინებოდა, – „რას აღარ ხატავდნენ და ხაპავდნენ ჭიდან – ყველაფერს, რაც ასო-ბგერა „მ“-ზე იწყება“.

„რატომ „მ“-ზე?“ – იკითხა ალისამ.

„რატომაც არა? – უპასუხა მარტის კურდღელმა.

ლუის კეროლი, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“

ორი თვეა, ბულვარულ რომანში ვცხოვრობ და მეშინია, წარსულის აჩრდილმა მყუდროების დღიური ულუფა ხელებიდან არ გამომგლიჯოს. ნამდვილი ცხოვრება ასეთი ყოფილა: სრულიად არალიტერატურული წინააღმდეგობებით სავსე. ჩემი შიშიც გაცნობიერებული და შავმიწა ნიადაგში ფესვჩაზრდილია. უნდა მიშველო!

მხოლოდ იმის შეხსენება, რომ სასიამოვნო გარეგნობის გულჩვილი სნობი ვარ, ბევრს ვერაფერს შეცვლის.

და ვინ იცის, რა აღარ ვარ შენს ლამაზ თვალში:

34 წლის ქალი, რომელსაც სექსი და ფილიპ სოლერსი ერთნაირად უყვარს.

სტანდარტული ერთოთახიანის სამზარეულოში მითოლოგიური ლექსიკონის ილუსტრაციებიდან მოხვედრილი პენელოპე, რომელიც ლოდინის ხელოვნებას სრულყოფილად დაუფლებია, მაგრამ ჩვეულებრივ ბუტერბროტზე უკეთესს ვერაფერს იგონებს (ფრანგული ვარიანტი: თეთრი პური + კარაქი + პროვანსული მაიონეზი).

დიდი ვერაფერი მთარგმნელი.

საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებულ აკრობატში დამალული მეორეკლასელი.

მომხმარებელთა საზოგადოების არასრულფასოვანი წევრი.

ის, ვისაც დიდი ბიზნესის არ სჯერა.

უფალო, შემიწყალე!

იმას ვამბობდი, რომ წარსულის ღრმა წყლებში მოდრეიფე ხომალდზე აჩრდილთა მოდგმა ბინადრობს და მხოლოდ მანამდეა უწყინარი, ვიდრე საინფორმაციო გადაცემების წამყვანები შენს იოლადსაცნობ გვარს დამაბნეველ კონტექსტში არ ახსენებენ. არ

ეგონათ, ჰოი, როგორ არ ეგონათ, რომ ერთ დღესაც „ივ სენ ლორანის“ კოსმეტიკას გვერდით გადავდებდი და კვაზიავტობიოგრაფიულ წიგნს დავწერდი. ჩემი წინდაუხედავი მონსტრები!

მანამდე კი – დაახლოებით ათი წლის წინ – გისოსებს მიღმა გამომწყვდეულ თვალებამოწითლებულ ბაჭიებს ინგლისურს ვასწავლიდი. Where is your big pencil, daddy? Where is your blue bonnet, mammy? ნაკლებად საამაყო მოვლენებით აღსავსე ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა მანამდე გაგრძელდა, სანამ სოსო ჭილაძემ, არაჰუმანიტარული მოძღვრებების ადგილობრივმა გამავრცელებელმა და უბრალოდ, ყველაზე აუტანელმა კაცმა, დერეფანში გაშხლართულს ყურში არ ჩამყვირა: „შენი ადგილი აქ არ არის, კროშკა!“

ჩემი ადგილი ბულვარულ რომანშია.

შენთან.

* * *

კლასში ყველა ერთნაირად ცუდად სწავლობდა – სიტყვებს ღეჭავდნენ და ყლაპავდნენ, ღეჭავდნენ და ყლაპავდნენ. გრამატიკის ელემენტარულ წესებს ეჭვის თვალით შესცქეროდნენ, უცნობ ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს კი მეც არ ვენდობოდი. საშინელი წიგნი იყო, ძნელი, მახრჩობელა კონსტრუქციებით სავსე.

ერთ დღეს ვთქვი, რომ ინგლისურს ჩემი გამოგონილი მეთოდით ვასწავლიდი:

ნელ-ნელა

ნაბიჯ-ნაბიჯ

სკუპ-სკუპით

ხრამუნ-ხრამუნით

ტუჩების ცმაცუნით და თვალების დაელმებით

პირის ჩატკბარუნებით და ყელის ჩაკოკლოზინებით

უცხო სახელთა ჩირგვებში შევარდნა-გამოვარდნით, ფრაზეოლოგიური ბაღნარის გადათხრა-გაფხვიერებით, ზმნების მრავალწლოვანი, ფართოფოთლოვანი ტყეების დალაშქვრით...

– მას, ეგ ყველაფერი დებილობაა. ბოდიში, მას. პატარები ხო არა ვართ.

ლაშა ათი წლის იყო, როცა ამ ფასდაუდებელ სიბრძნეს მაზიარა და თავი სამუდამოდ დამამახსოვრა. სახეზე იმდენად თანამ-

გრძნობი გამომეტყველება ჰქონდა, ისეთი კეთილგანწყობილი ჩანდა, რომ კინაღამ მთელი სერიოზულობით ვუპასუხე:

– ენა ყოფიერების სახლია.

არაფერი. მერე არაფერი.

მომდევნო დღეს გაკვეთილის დასრულებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, თავი რომ ასწია და თქვა (ამ დროს ცუდად შეთეთრებულ ჭერს უყურებდა):

– როცა ბიზნესმენი გავხდები და პირველ მილიონებს ვიშოვი, სამასი ათასს მოგცემთ იმ პირობით, თუ ამ საშინელი სკოლიდან წახვალთ, პროფესიას შეიცვლით და ლამაზ კაბებს იყიდით.

ეს მეტად კონკრეტული შემოთავაზება ჩემს უპირობო თანხმობას გულისხმობდა.

მალევე მივხვდი: ბავშვი, რომელიც თავს ბავშვად არ თვლიდა, სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მმართავდა. ვიდექი და არა მხოლოდ ცალკეული ქმედებებით, ჟესტებითა თუ რეპლიკებით ვცდილობდი მისი კეთილგანწყობის მოპოვებას, არამედ ყველაფრით: ვარცხნილობით, მაკიაჟით, ჩაცმის სტილით.

მოკავშირე მჭირდებოდა სკოლის სამსართულიანი შენობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე სრულფასოვნად სუნთქვისთვის, თავისუფლად მოძრაობისთვის. მის მოსაპოვებლად ყველაფერს ჩავიდენდი, წარმოუდგენელ რისკზე წავიდოდი. როგორც ჩანს, ბედნიერებას ისევ ნაცნობ ადგილას ვეძებდი – იქ, სადაც დიდი ხნის წინ ინგლისურის პირველი გაკვეთილი ჩამიტარეს.

მოვლენები მოსალოდნელი თანმიმდევრობით განვითარდა:

ლაშამ პირველმა აუღო ალღო ენის შესწავლის ჩემეულ მეთოდს. ამას ინტუიციით ვხვდებოდი. ჰო, ის მუდამ ჩრდილში დარჩენას, სრულ დაუმორჩილებლობას ირჩევდა და კითხვებზე პირდაპირ არასდროს მპასუხობდა, მით უფრო – სწორად.

ლაშამ პირველი კომპლიმენტი მითხრა: „ყავისფერი ტუშით გამსხვილებული წამწამები და ჭორფლიანი ცხვირი გიხდებათ, მას!“ (მაშინ ჯერ კიდევ არ მეკეთა ეს შავჩარჩოიანი სათვალე, რომელიც მომდევნო წელს ბულგარეთში ვიყიდე).

ლაშამ მშობელთა კრების მოწვევა გადამაფიქრებინა (მიზეზს ვერ ვიხსენებ).

ლაშამ პრესკონფერენციის გამართვა მირჩია. წინა მერხებთან

წამოსკუპებულები ჟურნალისტთა კორპუსს წარმოადგენდნენ, მე კი, არც მეტი, არც ნაკლები, ფანტასტიკური იდეებით შეპყრობილი მწერალი ვიყავი, რომლის პირველივე რომანიც ბესტსელერი გახდა. სინტაქსურად გაუმართავ კითხვებს კეთილსინდისიერად ვპასუხობდი: *რა თქმა უნდა, წარმატებამ თავბრუ დამახვია. მწერლობა და ქორეოგრაფია ბავშვობიდანვე თანაბრად მაღელვებდა და ვერ გადამეწყვიტა, რომელ გზას გავყოლოდი. დიახ, ლიტერატურა ილუზიაა, ხოლო ენა კონსტრუირებულია, როგორც არაცნობიერი. როგორ კაცს ვეძებ? მაღალს, კარგი აღნაგობისას და მგრძნობიარეს, არა, ჰიპერმგრძნობიარეს. ყველაზე ხშირად მესიზმრება, თითქოს დედაჩემი ცეკვას მიკრძალავს იმ მოტივაციით, რომ უცხო პარტნიორთან ჩემი ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანოს. მანგოს წვენი, რასაკვირველია! ერთ დღეს სამასი ათასი ევრო რომ გადმომირიცხონ, როგორ მოვიქცევი და სტანდარტულ ერთოთახიანს ვიყიდი ვაჟა-ფშაველას რომელიმე კვარტალში, სამსახურს თავს დავანებებ, ერთმანეთზე პროვოკაციულ რომანებს დავწერ, ან ფრანგულს ვისწავლი და მარკიზ დე სადს ვთარგმნი...*

ლაშამ ერთ დღეს შეამჩნია, რომ სრულიად აუტანელმა კაცმა – სოსო ჭილაძემ ყურადღებით მიმოათვალიერა ჩემი თვალსაჩინოებები მეორე-მესამე გაკვეთილების გადაკვეთაზე და ნულოვანი ათვლის წერტილი თავისთვის მოინიშნა.

„ჯოზეფ კონრადი დამწყები მასწავლებლების საკითხავი არ არის, მემ“.

ეს კაცი ღიად დამცინოდა.

დერეფანში, სადაც უამრავი თვალებამოწითლებული ბაჭია დახტოდა, ათი წლის ბიჭმა პირველად იგრძნო რაღაც, რაც ძალიან ჰგავდა ეჭვიანობას.

„რომელ წიგნს გადავშლი, თქვენი გადასაწყვეტი არ არის, სერ“.

იმდენად მშვიდად ვუთხარი, რამდენადაც შემეძლო.

ცეცხლის საცეცებს ვეთამაშებოდი.

ვიცოდი: არ უნდა მეთქვა და ვამბობდი.

ვხვდებოდი: არ უნდა მეფიქრა და ვფიქრობდი.

ვაცნობიერებდი: არ უნდა ჩამედინა და მაინც ვაკეთებდი იმას, რასაც ვერასდროს გავამართლებდი – გაკვეთილს ერთ მოსწავლეს

ვუტარებდი, მხოლოდ მის გასაგონად ვსაუბრობდი, ვუხსნიდი, რომ პირდაპირი ნათქვამის ირიბ ნათქვამად ქცევისას დროთა შეთანხმების წესი...

ნათელია, არა?

მერე, როცა უცნობმა ქალმა დამირეკა და თავაზიანად მთხოვა, საღამოობით მისი ბიჭუნა შინ დამებარებინა და ინგლისურის დამატებითი გაკვეთილები ჩამეტარებინა (სანაცვლოდ ისეთ თანხას მთავაზობდა, რომლის გულგრილად გამეორება ახლაც არ შემიძლია), მივხვდი, რომ ჩემი მოკავშირე ყველას თანაბარი წარმატებით გვმართავდა – როგორც ახლო, ასევე შორ დისტანციაზე. გენერალური დირექტორის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა, აბა რა!

უარი ვთქვი.

ვიგრძენი, რომ თუ უარს არ ვიტყოდი, უკანდასახევ გზას მოვიჭრიდი.

მოსწავლე-მასწავლებლის კლასიკური ოპოზიციის ინვარიანტული სახესხვაობები დამღლიდა და თავი ავარიდე.

სკოლიდან გაქცევა მინდოდა – იმ კედლების მიტოვება, სადაც გრამატიკის წესები არა პირველქმნილი, არამედ მეორეული, ქიმიური დამუშავების შედეგად მიღწეული სისუფთავით ქათქათებდნენ და პოტენციურ გრამატოლოგთა მარცხენა და მარჯვენა ყურებს შორის ელვისებური სისწრაფით დასრიალებდნენ.

ბავშვებს ენის ზედაპირზე აღმოჩენილი წყლის კვალი საერთოდ არ აინტერესებდათ – არც კრატერები, არც წითელი ქვიშა. თამაშმაც მექანიკური ხასიათი მიიღო.

ცუდი მასწავლებელი აღმოვჩნდი, რომლის ხელისგულებზე ნებისმიერი ტექსტი სიტყვების, ფრაზების, სინტაქსური კონსტრუქციების სახელდახელოდ შეთითხნილ ნაზავს ემსგავსება და სრულიად უშინაარსო ხდება, უამური სუნი აქვს, დღითი-დღე ლპება.

დავმარცხდი.

– კინოებში წითელი ჩექმები ქუჩის ქალებს აცვიათ, მას.

(პირველი ფეხსაცმელი იყო, რომელიც ახლადგახსნილ „ბატაში“ ვიყიდე).

გაკვეთილი მთავრდებოდა, როცა მიმართებითი ნაცვალსახელების ახსნა შევწყვიტე და საკლასო ოთახის კარი ფართოდ გავაღე. არ მინდოდა, ენახა, როგორ გამოვიტირებდი საკუთარ უმწეობას,

მაგრად მოკუმული ტუჩებით, მუჭში მომწყვდეული რისხვით.

მოულოდნელად ჩემს წინ სოსო ჭილაძე აღიმართა – ქარში მოფრიალე დროშასავით, რომელზეც თავის ქალა და შავი პარალელოგრამები გამოესახათ.

ცივად მივესალმე.

– არავის უთქვამს, რომ ემანუელ ბეარს ჰგავხარ?

შეკითხვის რიტორიკა პასუხისგან გაქცევას მოითხოვდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ერთიანად, მთელი სხეულით ვიგრძენი, რომ ჩემს ზურგსუკან რაღაც ხდებოდა. ეს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო – დროთა შეთანხმების წესივით – რადგან ყველა ერთად ყვიროდა, ღმუოდა, ღრიალებდა... საშინელების ქარ-ცეცხლი წამში დატრიალდა და თან კვამლის სუნი მოიტანა.

ხმები ერთმანეთში ირეოდა. დაუნაწევრებელი ბგერები სიტყვებად შედედებას ვერ ასწრებდა.

უცებ გაუსაძლისი სიმძიმის ქვეშ აღმოვჩნდი. ხელი მოულოდნელად მკრეს – წინასწარგანზრახვით და დაუნდობლად. პირქვედამხობილმა მოგვიანებით აღვიქვი, რომ ამ სიმძიმეს ყველაზე აუტანელი კაცის სახე ჰქონდა, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი: სოსო ჭილაძე მთელი სხეულით მაწვებოდა და სადაც ხელები მიუწვდებოდა, ყველგან ენერგიულად მიფათურებდა.

დერეფანი მოსწავლეთა ფეხებითა და ფეხსაცმელებით იყო სავსე.

– ვიღაცამ კაბის ბოლოზე ცეცხლი მოგიკიდა. კინაღამ საახალწლო ინდაურივით შეიბრაწე. შენი ადგილი აქ არ არის-მეთქი, კროშკა!

კიდეებმომწვარი სიმართლე უამურად ხრჩოლავდა. თხელი ქსოვილის მნიშვნელოვანი ნაწილი სადღაც გამქრალიყო. დერეფანში სანახევროდ შიშველი ვიწექი, სახით – გადაქექილი პარკეტისკენ და ვიხსენებდი, რა ფერის ბიკინი ჩავიცვი იმ დილით.

Where is my pink dress and black raincoat, honey?

ფირი უკუღმა დატრიალდა:

13.05 ლაშა ბიოლოგიის კაბინეტთან იდგა: „ემანუელ ბეარი ვინ არის, მას?“

13.00 სანამ ოთახიდან გამოვიდოდი, ჩანთა ამოვაბრუნე და

თუთიყუშისგამოსახულებიანი სანთებელა ვერსად ვიპოვე.

12.25 გაკვეთილის ახსნა დავიწყე თუ არა, გამახსენდა, რომ სიგარეტის სანახევროდ დაცლილი კოლოფი მასწავლებლების ტუალეტში დამრჩა.

12.10 კლასში შესვლისთანავე შევამჩნიე ცარიელი სკამი.

11.35 როცა სკოლას ვუახლოვდებოდი, გავიფიქრე, შურისძიების ფორმის გამოცნობას თუ მოვახერხებ, ორივე გადავრჩებითმეთქი.

10.05 იმ დილით საბოლოო უარი ვუთხარი ქალს, რომელმაც, ღმერთმა უწყის, მერამდენედ დამირეკა და მისი ბიჭუნას რეპეტიტორობა თავაზიანად მთხოვა.

* * *

ათი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა სკოლის დერეფანში ჩემი წყეული კაბა აბრიალდა. მერე ვიყავი: თარჯიმანი და ევანგელისტი პროფესორების ლექციებს ვთარგმნიდი პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ჟურნალისტი – სტატიებს ინგლისურად ვწერდი უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ჟურნალებისთვის, კოპირაიტერი (ამ სიტყვის ქართული შესატყვისი არ არსებობს) – სარეკლამო ტექსტებსა და კლიპების სცენარებს ვთხზავდი ამერიკულ-ქართული კომპანიისთვის. ნობელიანტების ლექციებიც ვთარგმნე ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორის თხოვნით და ფემინისტური ბიბლიოთეკის პირველი წიგნის შედგენა-რედაქტირებაზეც ვიმუშავე. ამ ყველაფერთან ერთად კვაზიავტობიოგრაფიული რომანი დავწერე. ჰო, ალბათ აკრობატული ნომრებით თავშექცევასაც მოვინდომებდი, ეს საბედისწერო შემთხვევა რომ არ მომხდარიყო...

შობის წინა დღეს განათლების სამინისტროს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე დარბაზის დაუსახლებელ კუთხეში დავბინავდი და დაწყებული მოთხრობის წერა გავაგრძელე. შენთვის ვწერდი. ორიგინალურ საშობაო საჩუქარს გიმზადებდი („ისი პარის“ ქსელში ნაყიდი დეოდორანტი ცუდი ტონია. გაპარსვის შემდეგ კანის დამამშვიდებელი ბალზამიც. შხაპის სურნელოვანი გელიც). რადგან ბრედბერის „კალეიდოსკოპი“ უკვე დაწერილი იყო და მსგავსსაც ვერაფერს მოვიფიქრებდი, თავის მოწონების ყოველგვარ ცდაზე ხელი ავიღე. ასე ჯობდა. ყველაზე უარეს შემთხვევაში,

ფანჯარას გამოაღებდი და მთელი ხმით იღირალებდი:

– არ მინდა პოსტსტრუქტურალისტი ცოლიიიიიიიი!!!!!!

(მინახავს ეს სცენა. არ მეშინია).

20-22 წლის სტაჟიორები ვეება ნაძვისხეს რთავდნენ. მომხსენებელი უხერხულობას არ იმჩნევდა და სტატისტიკური მონაცემებით გაძეძგილი ტექსტის კითხვას განაგრძობდა. წერა შევწყვიტე. ფილმებიდან ამოჭრილ კადრებს შევცქეროდი: ერთი უშველებელ ვერცხლისფერ ბურთებს ნაძვის ქვედა ტოტებზე ჰკიდებდა, მეორეს მაკრატელი ეჭირა და წითელ ლენტს თანაბარი სიგრძის ნაჭრებად ჭრიდა, მესამე საღებავებით სახემოხატულ, ფრთაფარფატა ანგელოზს ხის კენწეროზე ამაგრებდა. ამაღელვებელი სანახაობა იყო.

კედელზე ინგლისური სიტყვები ქანაობდნენ – ნათურებით შეკოწიწებული მილოცვა ნაწილ-ნაწილ დაშლილიყო და ჯადოსნური ჯოხის ენერგიულ მოქნევას ელოდა.

მოწევა დავაპირე, მაგრამ გამახსენდა, რომ ამ ორგანიზაციაში ცეცხლთან თამაში აეკრძალათ.

ისევ ტექსტს მივუბრუნდი.

სხვა მომხსენებელი ინკლუზიური სწავლების მნიშვნელობაზე საუბრობდა.

მეორე მხრიდან წამოსული ხმები ერთმანეთს ენაცვლებოდა:

– ესეც დაკიდე.

– ფრთხილად, არ გატეხო.

– ანგელოზი გადახრილია, არა?

– ნათურებს ვინ აანთებს?

– იმ ქალს შეხედე! სძინავს.

– ხუთი წუთიც და მოვრჩებით.

– მოვწევთ რა. მანამდე არ აანთო.

– ქვედა ტოტები გაუსწორე.

როცა თავი ავწიე, ოთახში დარჩენილი ერთადერთი სტაჟიორისა და ჩემი თვალები ერთმანეთს შეხვდა (ვიცი, ბანალური გამოთქმაა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: ორი თვეა, ბულვარულ რომანში ვცხოვრობ).

მიმზიდველი გოგო იყო – მაღალი, სულ ოდნავ სრული, ხვეულთმიანი.

– მას, თქვენი წიგნი ვნახე „პარნასში“.

გამახსენდა. ყველა გაკვეთილზე სხვადასხვა მერხთან იჯდა

ხოლმე. ნეტა რა ერქვა: ნინო? მაგდა? თამუნა?

აღმოვაჩინე, რომ არცერთი მოსწავლის სახელი არ მახსოვდა.

დავიბენი და ერთდროულად ათასი სისულელე ვკითხე:

იყიდე წიგნი? ბოლომდე წაიკითხე? რას ფიქრობ, ლიტერატურაა? იქნებ ამის მიღმა ნამდვილი სამოთხეა? იქნებ არც არაფერია ამის მიღმა? იცი, ჩემი ქმარი ამბობს, რომ თუ ჟილ დელეზს კითხულობ, საბრალო სნობი ხარ ან საერთოდ ვერ ხარ და შენ ხომ არ გათხოვილხარ? ინგებორგ ბახმანის რომანის ეკრანიზაცია, მთავარ როლში იზაბელ იუპერით, ნახე? და სოსო ჭილაძის პანაშვიდზე მთელი კლასი იყავით? მართლა ქუჩაში გაიყინა ეგ საწყალი? ბოლომდე უცოლო იყო და სვამდა, არა?

ბოლო მომხსენებელმა გამოსვლა დაასრულა.

კონფერენციის მონაწილეები ზანტად წამოიშალნენ.

მარცხენა ხელი ჩანთისკენ წავიღე, მაგრამ აფეთქების ხმამ და თვალისმომჭრელმა სინათლემ მოძრაობის უნარი მთლიანად წამართვა. გაშეშებული ვიდექი, უნაკლოდ მოწყობილ საშობაო შოუს შევცქეროდი.

სტაჟიორები გადარეულებივით დარბოდნენ დიდ დარბაზში.

ცეცხლის ალი კედელზე გაბმულ ფერად მავთულებს მოსდებოდა. მოციმციმე მეტასტაზები ყველა მიმართულებით იშლებოდნენ. დღესასწაული შეუქცევად სახეს იღებდა. დამლღვალი ინგლისური სიტყვები სასაცილოდ იბრიცებოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ქვემოთ ცვიოდნენ.

ოთახი სქელ კვამლში გაეხვა.

უცებ ვიღაცამ ხელი მტაცა და დერეფანში გამომათრია.

აქ ყველაფერი სუფთა და სტერილური იყო: ჰაერი, მკრთალი შუქი, სადად მოქარგული ფარდები...

– კალვინ კლაინის „ეიფორია“ გასხიათ, მას?

გოგო, რომლის სახელიც არ მახსოვდა, უკვე კიბეზე მიმარბენინებდა, კისრისტეხით, თავპირისმტვრევით.

***

ქუჩაში (გოგებაშვილზე) ლაშა იდგა და ეწეოდა. მივუახლოვდი თუ არა, სანახევროდ დაცლილი კოლოფი გამომიწოდა.

მომეჩვენა, რომ აწყლიანებული თვალები ჰქონდა. ხაზგასმული დაუდევრობით ჩაცმული, მოვლილი და გულმისავალი, ერთი

სიტყვით, კარგი ბიჭი იყო. ასეთებს ყველაფერი უხდებათ, ცოტა უხეში სახის ნაკვთებიც კი.

– დაგინახეთ თუ არა, მაშინვე გიცანით. და რა ვიცი, ალბათ რაღაც არასწორად შევაერთე.

სახანძრო მანქანებმა გულისწამღები კივილით ჩაგვიქროლეს.

გამხნევებას ვცდილობდი, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე:

– A rose is a rose is a rose.

გამიღიმა:

– IELTS-ისთვის მამეცადინებთ, მას?

***

ორი თვეა, თითქმის ყოველ დღე ვხვდებით მე და ჩემი მოკავშირე. ორი თვეა, ბულვარულ რომანში ვცხოვრობ, რათა ნამდვილი ცხოვრების გემო დავიბრუნო. სიმართლეს ბალიშისპირებში ვმალავ, ახალ კაბებს – საწოლის ქვეშ. სახლის კედლებს ვუფრთხილდები. მეშინია, რომ წარსულის აჩრდილი მყუდროების დღიურ ულუფას ხელებიდან გამომგლეჯს და შენს ჯიუტ თავს წამართმევს. არა, აღარ დამეხმარო. არც შველას გთხოვ. მიხარია, როცა წარმატებას ვაღწევ: ცეცხლთან თამაშს სრულყოფილად ვასწავლი.

თამთა
მელაუვილი

''ერთი და ორი''

ერთი და ორი

ქუდი გვერდზე დაგიხურავს

მახსოვს ბოგდასაროვმა დამირეკა, ვიცი შენი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი სიტუაციაც ხო იცი, მე და ილარიონის ურთიერთობაც ხო იცი, ჩვენი ძმობის ამბავი, და ძაან გაჭედილები ვართ, და ბოდიშს გიხდი, სხვა გზა რო არაა, ჩვენი კაცია, კონტაქტზე თვითონ მოვა, რამე შარი არ გეგონოს, სანდოა, ძმაა და რაც დარჩენილი გაქვს სულ მიეცი, მაყუთს მერე მოგაწოდებსო. მეთქი არტურ და არ დამაცადა, ნანაო მე ხო მენდობიო, ილარიონის ამბავი რა იყო ჩვენთვის ხო იციო და ისიც ხო იცი სუფთები რომ ვართ, ნანაო და მეთქი ჯანდაბას, მეც მოვიშორებ, ბოლო ბაშები იყო.

იმავე საღამოს დამირეკა, თბილი ხმა ჰქონდა, დაბალი. თქვენთან არა, არა, ვიცი საშიში არაფერია, მაგრამ მაინც თავი დავიზღვიოთო და ადგილი მითხრა. იქო, ფანჯარასთანო. დავაგვიანე. ხმიდან გამომდინარე უფრო სხვანაირს ველოდი. არ მომეწონა. გავეცანით. ილარიონი არ უხსენებია, მაგრამ მივხვდი იცნობდა. ასე ათი წუთი ვილაპარაკეთ.

სანამ მაგიდიდან წამოვდგებოდით, რატომღაც უცებ საყურეები მოვიხსენი. თვალი გამომაყოლა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მის თვალწინ ვიხდიდი.

საყურეებით დავიწყე. კი.

ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა გევხარო

ვერა მოვარდა დიდის ამბებით, ვერა ხო თამარას ფეხია, სოფლის ჭორიკანები ეგენი, ნარგიზას ყოფილი საყვარელი იყო ბოგდასაროვებთან თურმე სტუმრათ. მაგ კაცზე ლეგენდები რო დადიოდა ამ ნარგიზასგანაო ხო გახსოვს, მარა ნარგიზას ნაქები კაცი რაც იქნება ახლა ხო ხვდებიო, მარა სტუმრათ არა მგონია იყოს, მე მგონია განენიე აქო, მარა შენ რა გგონია, იმჩნევენ ესენი რამესო? აგე მაღაზიასთან ზიან, ეწევიან პაპიროსს და პივას სვამენო. ჩემთვის ვიფიქრე, ერთი გავივლი, გამოვივლი, არტურასთან საქმე მქონდა ერთი, პატარა, მაგას მერე ვიტყვი, იმისი სტუმარი არა მცხელოდა და ერთი კაბა მაქ ვარდისფერი, ზბორიანი, ახლა

ჩემ ტრაკზე კიდე ზბორი შეილება? მარა ყულიჯანოვის მუგუზალმა რო მითხრა ლილიანა მაგ კაბაში რო გხედავ ის აშუშენიები მააქ, აი ბებიაჩემს ჩემი დაბანისას ვედროები რო აერია და დამმდუღრა ბავშობაზეო. მიხდებოდა, მოვიხდინე, ჩავიცვი. იმ დამპალი არ-ტურას ყურადღების მისაქცევათ. ავიღე ჩემი ვედრა, წითელი, თან ბარემ ქლიავს დავკრეფ, ჩემი ძმისშვილებისთვის მინდოდა, ჩემი ბაღჩა ბოლოსკენაა, იქეთ, ბაღჩა კია, მარა ნაპირებზე ასე ქლიავის ხეები მაქ მწკრივათ ჩარგული, ეგ გზა უნდა გამევლო, მაღაზიისა-კენ და გავედი. რომ ჩაუარე, უფრო არტურასთვის მართალია, ადგეს იქნება გამომყვეს, ჩემი სათქმელი უთხრა, მარა არაა, არ განძრეულაა, ერთი გადავხედე ასე ორივეს ზემოდან და ამისი თვა-ლები შემეფეთა, მეორესი, ისე არტურაც მიყურებდა გვერდიდან, რო იცის ისე, მარა ამას შევხედე, ნარგიზასას, და თან გამარჯობა არტურთქო, ესა კიდე მეთქი რასა გავს, ჟეშტიანშიკსა გავდა, გა-გიმარჯოს ლილიანავო, არტურამ და ამას მერე თვალებში შევხედე და თვალები კი ქონდა ისეთი, თან ჩემზე მობჯენილი, სულ იქ გამ-კრა, მე მასე ვიცი, და ჩავაირე, გავცდი ახლა ამათ, მარა ჩემი გული, ამოვარდნაზე მაქ. დავიწყე ქლიავის კრეფა და თან იქეთა ვარ მაღაზიისკენ, ავდე და ის წითელი ვედრა, ჩემი, ხეზე შემოვკიდე, ასე ზემოთ, ჩემი ბაღჩა რო გაივლი გზას და მერე აღმართზე და ისე არი, მაღაზიასთან რო სკამია, იმის კუთხეში თუ ზიხარ, აქეთ, ჩემ მხარეს, დაინახავ ამ ხეებს ქლიავებისას და მერე ეს ვედრა კაი ხანი ნაკოლი კი იყო ისე. შემოვტრიალდი და აგერ არა დგაას, ასე თვალები აქ დიდი, მუქი და ლამაზი. ლილიანაო.

თვალების გარდა კიდე ჰქონდა რაღაცეებიც. იფ.

ბარისლალო

ორმოციც არ მაცალეს და თავზე დამადგა კაკაურიძე თავის 2 კაცთან. მეო, ალბათ გეცოდიონებითო ქალბატონო ნანაო. მეო, ალბათ ხვდებითო რად მოვედი თქვენსა ქალბატონო ნანაო, მეო, საერთოდ ასე იყო ილარიონთან და როგორც იყო, ისე უნდა გაგ-რძელდესო თქვენთანაც ქალბატონო, ნანაო.

მეთქი ბატონო კაკო ის, რამაც ჩემი ქმარი მოკლა და რის გამოც აქ მობრძანებულხართ, მე იქ ხელი დამიბანია მეთქი. მიდით, დაი-არეთ სახლი თუ რამეს იპოვნით, აგერ ვარ, არსად გავრბივარ,

იპოვნეთ და სამუდამოც მომეცით თქო. მაგას რატომ მკადრებ ქალბატონო ნანაო. მე ერთი უბედური მარტოდარჩენილი ქალი ვარ და არ მინდა ცხოვრება გავირთულო მეთქი. დასანანია ასეთი ლამაზი ქალბატონისგან ამ სიტყვების მოსმენაო და ჩემს გაქვავებულ სახეს რომ შეხედა, ხმა აღარ ამოუღია.

ტაში, ტაში

ეხლა კაკაურიძისა ვთქვა. ადრინდელი ამბავია. ნაზიბოვა იყო ერთი ჩემი ძმის მეზობელი. კარგათ არ ვიცნობდი. ერთი ეგ იყო მაგისი შვილები ჩემ ძმისშვილებთან თამაშობდენ ხანდახან. მომადგა ერთხელ დილაადრიან სახლში და ჩამივარდა ფეხებში, ვისთვისაც უნდა მიმეცა გადამგდო და შენი ჭირიმე დაიტოვე ასე 2-3 დღე თუ ვინმე გამოჩნდება 400 დოლარად მიეცი თუ არადა მერე ბაზრის დღე მიწევს და წავიღებ ისედაც მერეო. დავიტოვე მე დებილმა. იმავე დღეს სამმართველოს ბიჭები დამდგენ თავზე და მეთქი გამყიდა ამ ნაბოზვარმა ნაზიბოვამ, მეთქი აი სამაგიეროს სად მიხდის, მე და მაგის ქმარზე იყო რაიონში ჭორი და სანამ ესენი მეტყოდენ რამეს დავასწარი, ატკაზი აღარ მითქვამს, უფროსი იმათში რომელიც იყო, შევატყე და მეთქი ასე და ასე, ამისი და ამისია და აგე დევს აგე ამ ქვაბში მეთქი.

გადამეკიდა იმის მერე კაკაურიძე, მირეკავდა ტელეფონზე. ნასედკად მკერავდა, მარა არ გამოუვიდა. ბოგდასაროვი ჩავრიე და დამანება თავი. ერთხელ მთვრალი გამოდმომიხტა მანქანიდან, მჩქმიტა ლოყებზე და შენ ისეთ ხალხზე გამიყვანე მაშინ, რაც გინდა მთხოვე კროშკავო. ჰე ჰეე.მაინც კაკაურიძე იყო, რა ვიცი სად დამჭირდებოდა ეგ დამპალი.

აქედან გორი შორია

ხანდახან გავიფიქრებდი: ნეტა ჩემი ცხოვრება ეს იყო, ეს 2 მეტრიანი კაცი 18 წელი გვერდით მწოლოდა, მერე უცებ აღარ ყოფილიყო, ქვრივი მრქმეოდა, ილარიონისი, და კიდევ ახლა სულ სხვისი დაჩკები მქონოდა თავში, ჩემი ცხოვრების აზრი მარტო ეგ ყოფილიყო, ასე გულმოდგინებით, მეცხო, მეყიდა, მომემზადებინა, ჩემედო, შემეფუთა, ავტობუსში ამეტანა, გზად მევლო, ჩავსულიყავი, რიგში ვმდგარიყავი და ერთი სული მქონოდა როდის

გავცდებოდი ამხელა რკინის კარებს და განა მარტო ერთს, ბევრს, თან ახალი კაბები ჩამეცვა, კი შავი, მაგრამ მაინც ახალი, სვიდანიედან კიდე ისე გამოვსულიყავი, თავდახრილი, თვალი არავისთვის გამესწორებინა, თვალში არავისთვის შემეხედა, სახე დამემალა, ჩემი სიამოვნება რომ არ ეგრძნოთ, რომ არ წაეკითხათ და სახლში მოსულს კარადაზე გამოდებულ ილარიონის სურათთან, გადიდებულთან, მივსულიყავი, ჩარჩოს მინაში ჩამეხედა სარკესავით, თმები გამესწორებინა და მეთქვა:

– რა ცოტა ხარ, ილარიონ, რა ცოტა.

აქედან გორი შორია, თვალმარგალიტი ბროლია

ნადზორის ბიჭი გამომაყოლებდა დაშტერებული თვალებს. პირზე ხელს კი მაფარებდა, მარა. რა იყო, ბიჭო, რას მიყურებ, ლამაზი ვარ მეთქი? და გავიცინებდი. უხხ სიცილიც როგორი გაქ ლილიანაო, ყულიჯანიშვილი ამასაც მეუბნებოდა, მახსოვს.

შენს სანახავად მოვსულვარ

იმ ქვეყნისნათრევ ქალს სთხოვე მეთქი ეგა, ქვეყნისნათრევს, თორე შენ ჩემთვის მეორე ხარ ჩემი ქმრის მერე და უკანასკნელი, მიდი იმას სთხოვე მეთქი, მე რატო მთხოვ, მე მაგას რატო მეუბნები, მიდი, ეგ მაგას გაგიკეთებს, ეგ მაგაზე უკან როგორ დაიხევს, მაგას კი არა ხმას ყრის ჩემი გულის გასახეთქად ვითომ შენგან ფეხმძიმედ იყოს, ჰო არ იცოდი არა, არ იცოდი, ვიცი, რომ არ იცოდი, მაგრამ ის თუ იცი, მე რომ ვიცი, ეგ მათხოვარი ჩემსავით, თურმე, აქაც რომ დაეთრევა, და ერთი დღე თურმე ჩემი რომაა და მეორე დღე თურმე მისი. რა იყო მეთქი ბიჭო რა ველარ... და მეტი ველარ ვქენი, ტირილი ამივარდა. ხმა არ ამოუღია. იჯდა ისევ იქ, თავის ადგილზე თვალებგაფართოებული და თეთრი. წამოვდექი, ავიფარე სახეზე ცხვირსახოცი და ჩემი იმედი არ გქონდეს მეთქი, გასვლისას გადავუგდე.

იმავე დღეს მოვძებნე. კარადის უკან, კარადასა და კედელს შორის ჰქონდა დამალული ილარიონს.

შენს სანახავად მოვსულვარ, სხვა საქმე არა მქონია

კისერზე ჩამოვეკიდე და ვკოცნი და ვკოცნი, მარა რაღაცა არ

მომწონს. ჩავუცურე ქვევით ხელი და არა, შენც არ მომიკვდე. ვაიმე, მეთქი აი სად შემხვდა ისმაილოვას ჯადო, ზაფრა იყო, მარა კარგად რომ შევხედე და დავაკვირდი, ჯადო არ იყო, ლომკა იყო, მე მაგას ვინმე მასწავლის? ცუდათ ვარ ძალიან ლილიანავო. აირია სიტუაცია მაგარი, ვინც გვაწვდიდა შეუდეს მაგარი და ძაან ცუდათ ვარო, მე ეხლა კაცს და ტელეფონის ნომერს გეტყვი, გადელიაა ერთი, ბარიგა, ფულს ბოგდასაროვს გამოართმევ და შემომიგზავნი დაჩკითო.

გული გავიქვავე და არრა მეთქი. თან ვფიქრობ ის ჩემზე ადრეა აქ ნამყოფი, ან ჩემს მერე მოვა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მე უარს ვეტყვი, ადგება იმას ეტყვის, სხვა რაღა გზაა, შეეხვეწება, ის კიდე გაუკეთებს, ყველაფერზე წამსველელი ქალია, და აი კაკაურიძე სად გამახსენდა. აი მეთქი ორ კურდღელს სად ვიჭერ. მომეჩვენა თუ რა იყო, თვალები აუცრემლიანდა სიმწრისგან. ლილიანა აი ამას არ ველოდი შენგანაო, მე რა, შენგან ველოდი ისმაილოვას ნაბოზ-ვრისთვის იმ მძივის ჩუქებას მეთქი? მივაკივლე.

ავდექი და გამოვედი. ნადზორის ბიჭს გაკვირვებული არა, გა-ოგნებული სახე ნეტა თუ დამავიწყდება.

იმავე დღეს დავურეკე გადელიას. ესა და ეს ვარ მეთქი, ამისი და ამისი თქო.

აბა მე გული მომითმენდა? მე გული მომითმენდა? მე რა, გგო-ნია აღარ მიყვარდა? ჰა, აღარ მიყვარდა? მიყვარდა, მიყვარდა, მაინც მიყვარდა.

რა დღეში იყო ჩემი ბიჭი.

ალალბედი ნისლიაო

ეს სამი დღეა ხან სად წამსკდება ცრემლი ხან სად. სახლში კიდე არა უშავს კედლის გარდა სახლში მე ვინღა მყავს, მაგრამ აი ბაზარში რომ ამივარდა ქვითინი ან კიდე ავტობუსში რომ ვიცრემ-ლები ჩემთვის თავდახრილი, ეს ვიღას ავუხსნა ან როგორ ავუხსნა.ენა რომელმა მომითრია აღარ მახსოვს, რა მნიშვნელობა აქვს. იმ დღის აღარაფერი ვიცი დამტვრეული ჭურჭლის გარდა, ისტერიკა მქონდა. ჩავიცვი და გავიქეცი ლარისასთან, სახლში მივადექი პირდაპირ. თან მინდოდა არავის დავენახე, სხვას იფიქ-რებდნენ, გინეკოლოგი იყო მაინც.გავიმეხე ეს სახე და გეცოდინება მეთქი ალბათ და რატომ მოვედი მეთქი ხვდები ალბათ და მითხარი

მეთქი თუ მართლა ასეა, ნუ დამიმალავ. არა ნანაო, ლილიანას დაყრილი ხმებიაო. ვეღარ გავიგე მეტირა თუ მეცინა. ვენდე. ვენდობოდი ლარისას. ჩამოვჯდები მეთქი ცოტა ხანი, ცუდად ვარ. ხელი მომკიდა ხელზე და უუდაბნოდ იქცეს მეთქი შენი საშვილოსნო ლილიანა ტიმოვა! უდაბნოდ ექცეს შენი საშვილოსნო!

ლარისას რომ შევხედე, ტიროდა. ეგეც ჩემსავით უშვილო იყო, ეგ ჩემსავით უბედური.

ალალბედი ნისლიაო, მე შენთვის მიტირნიაო

მერე ზევით ავედი, დარეჯანასთან გოგოები იყვნენ ყავას სვამდენ პაპიროსზე, ენები - გადმოგდებული, თან იცინიან, იცინიან, მე კიდე ჩემს ბოღმაში ვიხარშები, გასივებული ვარ და დარეჯანამ შემამჩნია ისევ პირველმა, მაგას რას გამოაპარებ, ბოზობდა გათხოვებამდე და რა იყო ლილიანაო, რა გჭირსო და მეტი რა მინდოდა, მოვაღე უცებ პირი და მოვყევი, თან თვალებიდან სუ ღვარად მომდის ეს ცრემლი, არ მინდოდა მეტირა, მარა ჰე. თუ გახსოვთ ალიხანოვის სიდედრს რომ ჟემჩუგების მძივი ქონდა, მთელი რაიონი მაგ მძივზე რო ლაპარაკობდა წლობით-მეთქი, მერე რო მოკვდა ეგ ქალი და ალიხანოვმა ეგ მძივი კიდე რო გაყიდა, ფული წამალში რო გაუშვა, მაგაზეც ხო ლაპარაკობდა მეთქი მთელი რაიონი და მერე ეგ მძივი თურმე ჩემს ბიჭს ეყიდა, გოგოებო, ჩემს ბიჭს ეყიდა მეთქი, მაგ ამბავი თამარას ეთქვა, იმის მერე ყოველდღე ველოდებოდი ან ახლა ჩამომკიდებს კისერზე ან ახლა და ისმაილოვას მაზლის გასვენებაში თურმე ვის ეკეთა თუ იცით მეთქი ვისა? დაიძაბენ გოგოები და მიყურებენ თვალებდაქაჩული, ისმაილოვას ეკიდა მეთქი თვითონ, თურმე, ნანასაა, ილარიონის ქვრივსაა, ცხვირზე ბუზს რო არ იჯენს, მარა ბოზი როა მეთქი, მოვთქვამდი, სუ გულიდან ამომდიოდა. დარეჯანამ დაუსხით რამე დალევსო, გადავკარი და სსსარჩობელაა, სსარჩობელა მეთქი შენსს ყელსს, ნანა ისმაილოვა – ამოვიხრიალე.

შენ ჩემთვის რა გატირებდა

ვიპოვნე. კარადის უკან, კარადასა და კედელს შორის ჰქონდა დამალული ილარიონს. იმავე დღეს კაკაურიძეს გადავურეკე. ვინმე ტიმოვას დაჩკები გქონდეთ მეთქი მხედეველობაში ამ დღეებში.

მე შენთვის რა მირგიაო

დავურეკე იმ დამპალს, ვა ლილიანა რამ გაგახსენე ჩემი თავიო. ვითომ გულზე ვეხატებოდი მაგ წურბელას, მაგ სისხლისმსმელს, ვითომ ჩემზე მზე და მთავრე ამოდიოდა, მარა ხმაზე მაინც შევატ-ყე ვეღარ იყო უწინდელ დუხზე, უწინდელად ვეღარ იფხორებოდა, სანდო ხმისგან მომივიდა კაკაურიძეს თავისი სამმართველოს ბიჭებიანად წყალი აქ შეყენებული და თავს გაყიდის, შვილს გაყიდის ოღონდ პალაჟენიე დაიბრუნოს ახალი უფროსობის თვალშიო და მითუმეტეს, ასეთი მელკი რაღაცეებით მაგის გაკეთებას რა უნდა და აბა ჰე, მეთქი ლილიანა შეუძახე ჩემს თავს, აი მოვიდა მეთქი შენი დრო, და ბატონო კაკო მეთქი, დაჩკებზე გაამახვილეთ ყურადღება მეთქი, ვაფშეტა გვარსც გეტყვით, ვინმე ისმაილოვაა მეთქი რა. რაღაცნაირად ჩაეცინა და კი ვიფიქრე ესა მეთქი და რამე მაგათ ხო არ იცნობს, ეს ილარიონი ქვეყნის ბარიგა იყო, ეს კაკაურიძე კიდე ღორი, წყალწაღებული მკეთებელი თვითონ, და მეთქი ა? რამე პრობლემაა მეთქი ბატონო აკაკი? არა კროშკაო, მერე გამოიარე ჩემსკენ, გნახო ერთი, კაი გოგო ხარ შენ, კუდრაჭა გოგო ხარო და მე და შენ ვითანამშრომლოთ აწიო არ დაგეკარგება ჩემგანო და დავწყნარდი, მეთქი ჰე ჰეეე, სად დაგერხა ნანა ისმაილოვა!

ბარის ლალო ბანებო

ამანათი ლილიანა ტიმოვასთვის:

1 შეკვრა სიგარეტი ელემი, 1 ყუთი მინერალური წყალი „ბორჯომი“, 2 ყუთი აჩმა, 10 პური, 3 კგ. ძეხვი, 2 ქილა არაჟანი, ***1 ქილა ლეღვის მურაბა***

ამანათი ნანა ისმაილოვასთვის:

1 შეკვრა სიგარეტი ელემი, 1 ყუთი მინერალური წყალი „ბორჯომი“, 10 ცალი ხაჭაპური, 30 ცალი ხორცის ღვეზელი, 2 ქილა არაჟანი, ***10 ცალი ნამცხვარი „ეკლერი“.***

ბარის ლალო ბანებო და
გოგოებო, ქალებო.

ნინო
თაბუკნიშვილი

"ეკლია"

ევლია

– ამ მაღაზიაში ადამიანებზე 70-პროცენტიანი ფასდაკლება თვის ბოლომდე გაგრძელდება. ახალ კოლექციას ნოემბრისთვის ელოდებიან. როგორც ამბობენ, დიზაინზე საუკეთესო მოდელიორებმა იმუშავეს. რაც მთავარია, იმუშავეს მხოლოდ კაცებმა, მამაკაცებმა, მამრებმა, ძლიერი სქესის სუსტმა წარმომადგენლებმა, – ხაზეს, ხატეს, შალეს, ფხრიწეს, ბლანდეს, ქარგეს, ჭრეს, კერეს. ისე დააგლიჯეს თურმე ერთმანეთს ნერვები, რომ რამდენიმე მათგანს ტვინში სისხლმა აასხა, თმის ღერებიდან გამოჟონა და თითქმის დასრულებულ მოდელებს წითელ წვეთებად შეეწუწა და მოკლედ, წელს თურმე წითელკოპლებიანი ადამიანები არიან მოდაში... იმასაც ამბობენ, რომ საკმაოდ ძვირადღირებული და უნიკალური კოლექცია იქნება. თუ ფული გაქვს, აჯობებს, თვის ბოლომდე დაიცადო და ბარემ უნიკალური წითელკოპლებიანი ადამიანი შეიძინო, თუ არა და შეიხედე, ნახე ვინ დარჩა, იქნებ რომელიმე შენი ზომაც აღმოჩნდეს, – ჩასჩურჩულა ევლიას მარცხენა ბიბილოზე ჩამოკონწიალებულმა ციცქნა ეშმაკმა და ისე უდარდელად გააგრძელა მზეზე შავი თვალების ბრჭყვიალი, თითქოს ეშმაკი კი არა, ანგელოზი ყოფილიყოს... არადა, შარშან ეს ეშმაკი ზუსტად ფასდაკლებაზე შეაჩეჩა ლურჯთმიანმა გამყიდველმა და თან დააიმედა, კარგი რა, წელს საითაც არ უნდა გაიხედო, ყველას ანგელოზები ჰკიდია, ჰოდა, შენ ხომ ყველა არ ხარო...

– 70-პროცენტიანი ფასდაკლება? ანუ ჩემი ზომა აღარავინ იქნება. თავის დროზე გაიყიდებოდნენ, – მაინც, ყოველი შემთხვევისათვის შეაღო მაღაზიის შუშის კარი ევლიამ და გამოცარიელებულ დახლებს ჩამოუარა... X, XX, XXX

– სამწუხაროდ, არა მგონია აქ ვინმე მოირგოთ. თქვენ ისეთი სტანდარტული ზომის ხართ, რომ როგორც წესი, მსგავსი ზომები კოლექციის შემოსვლის პირველსავე დღეს იყიდებიან, ვითომ საშინლად დადარდიანებულმა, ზედმეტად სტანდარტული ზომის გამყიდველმა პირში მიახალა სიმართლე ევლიას და მაშინვე დაეტყო სახეზე, რომ მისი ზომა ადამიანები სულ უფასოდ, ნაცნობობით, დახლს ქვემოდან, საწყობიდან, დღეში ათ-ათი გაჰყავდა

და ახლობლებს ორმაგ ფასში აძლევდა... თავისთვისაც ჰყავს რამდენიმე გადანახული: ზამთარში, ძალიან რომ აცივდება, ერთდროულად სამ-სამს მიიწვენს ხოლმე გვერდში და მთელი ღამის განმავლობაში ერთს ხელებს ათბობინებს, მეორეს ცუდად გაპარსულ ფეხებს და მესამეს წელსა და მუცელზე იხვევს... და თუ ძალიან შესცივდება, რიგ-რიგობით შიგნითაც უშვებს – შეისრიალებს ფეხებს შუა ჭროღა გველივით, მუცლის ღრუში გამოიმწყვდევს, დაიტრიალებს, ჯერ საშვილოსნოს გაიღუღუნებს, მერე კუჭისკენ გაატარებს, მერე გულისკენ, – რვა-ცხრაჯერ შეაბერინებს თბილ სულს გულის მესამე პარკუჭზე (რატომღაც ყველაზე მეტად მესამე პარკუჭი ეყინება ხოლმე), მერე უკან გამოაბრუნებს, გზად ნაღვლის ბუშტიდან ნაღველს ამოაწუწნინებს და ბოლოს ისევ საშვილოსნოდან გამოიტყორცნის... და ამ დროს, ზუსტად ამ დროს, ისეთი საზიზღარი კვნესა-კნავილი გაუდის ამ ზედმეტად სტანდარტული ზომის ქალბატონს, თითქოს კატის კნუტს ატყავებენო... აქ შევეშვები მის ამბავს.

ევლიამ ჩუმად გამოიხურა შუშის კარი. სახლში მისულს სულაც აღარ ახსოვდა სამოცდაათპროცენტიანი ფასდაკლება. ახლა უფრო მეტად ის ადარდებდა, რომ უკვე მეჩვიდმეტე დღე იყო, რაც საკუთარ ანარეკლს ვეღარ ხედავდა სარკეში. არადა, ჩვიდმეტი დღის წინაც, როგორც მთელი 28 წლის მანძილზე, დილით სრულიად ჩვეულებრივად გაეღვიძა: კარგა ხნის წინ გაციებული წყლიდან ამოვიდა, ჯერ მარცხენა თვალი ჩაისვა ბუდეში, მერე მარჯვენა, სამი ხალი ყელთან მიიკრა, თორმეტი ზურგზე, ერთი მკერდზე და შვიდი მუცელზე. ცისფერი და იასამნისფერი ძარღვები საოცარი სიზუსტით მიიმაგრა მაჯებზე, ოცდამეცამეტე კბილი ჩაისვა და სარკეში ჩაიხედა. სარკეში ყველაფერი გადასარევად დაინახა, – მწვანედ შეღებილი კედელი, ზედ ჩამოკონწიალებული რომელიღაცა ცნობილი მხატვრის ცნობილი ნახატის ყველაზე უცნობი რეპროდუქცია, ფანჯრებზე დაკიდებული მოყვითალო, გამჭვირვალე ფარდა, უკუღმა გადმობრუნებული და სკამზე მიგდებული ზოლიანი კაბა... თუმცა, ადრე, ეს ყველაფერი რომ დაენახა ოდნავ მარჯვნივ უნდა გადაეხარა თავი, ახლა კი თავის გადახრა არ დასჭირვებია... არსად ჩანდა ევლია, აი ასე, უბრალოდ, იდგა სარკის წინ, მაგრამ არ ჩანდა. ცივ სარკეს მიადო კიდევ უფრო ცივი შუბლი, თვალები ისე დააჭ-

ყიტა, კინაღამ უკან გადმოუცვივდა, მაგრამ ანარეკლი კი ვერაფრით დაინახა. ერთადერთი მიზეზი მისი გაქრობისა მხოლოდ წუხანდელი სიზმარი შეიძლებოდა ყოფილიყო:

ვითომ ტრიალ მინდორში სულ მთლად შიშველი ცივ ქვაზე იჯდა, გარშემო ნეკის ტოლა ბავშვები დარბოდნენ, ზედ ჭიანჭველებივით აცოცდებოდნენ, ტანზე ღრმულებს უკეთებდნენ, სხეულში უძვრებოდნენ, თითო-თითო წვეთ სისხლს პირში იგუბებდნენ და ისევ უკან გამოდიოდნენ. ბოლოს ისე გამოახმეს, რომ ევლია ხედ იქცა. მერე იმ ტრიალ მინდორზე ცულიანი კაცები გამოჩდნენ, ცივ ქვაზე ამოსული ხე რომ დაინახეს გაოცდნენ, მოჭრეს, მერე შეშად დაჩეხეს, სახლებში წაიღეს და ბუხარს შეუკეთეს. საკვამურიდან ამოსული ევლია ჰაერს ისე შეერია, რომ რაღაც გაურკვეველი, იმ ტრიალი მინდვრის გარშემო მცხოვრები ადამიანებისათვის უცნაურად სასიამოვნო სურნელი დატოვა და სანამ საბოლოოდ გაქრებოდა, შეამჩნია როგორ გაიშალა მხრებში ცელით მდგარი მოკუნტული მოხუცი კაცი, როგორ დაბერა ნესტოები, როგორ გააჟრიალა, სულ ერთი წამით როგორ გაახალგაზრდავდა, იქვე მაღალ სარეველაში ჩამუხლულ მოხუც დედაბერს როგორ გადახედა და მერე ისევ როგორ დაბერდა და თან როგორ დაბერდა, ერთი ასი წლით კიდევ დაბერდა...

აი ასეთი სიზმარი ნახა ევლიამ და სარკიდან საკუთარი ანარეკლის გაუჩინარებაც ამ სიზმარს დაუკავშირა. ჰოდა, რა დროს სამოცდაათპროცენტიან ფასდაკლებაზე ფიქრი და დარდია, ამ საღამოს მლოცველთან მიდის. ისე, სხვისი შელოცვა რად უნდა, თვითონ უკეთესები იცის, მაგრამ საკუთარ თავზე არა სჭრის ეს აბნი-ბაბნი, დონდი-დანდი, სანდი-ქანდი, ცას გაჰქანდი...

მლოცველთან მისულ ევლიას რაღაც შმორის სუნი კი ეცა, მაგრამ აბა რას წარმოიდგენდა, რომ ეს შმორის კი არა, ამ ხანშიშესული მლოცველის ცისფერი თვალებიდან წამოსული სუნი იყო. არც პირიდან, არც იღლიებიდან, არც საზარდულიდან, უბრალოდ თვალებიდან წამოსული შმორის სუნი. აი რა მომხდარა: ახალგაზრდობისას მის თვალებში თურმე წითელწინწკლებიანი თევზები ცხოვრობდნენ, იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, მრავლდებოდნენ, ერთი თვალიდან მეორეში სტუმრად დაცურავდნენ და არასდროს იხოცებოდნენ. ერთ დღესაც, სრულიად შემთხვევით, წამწამი ჩავარდნია

თვალში მლოცველს, ერთ-ერთ თევზს გულში შერჭობია და იქვე მომკვდარა, ამ თევზის შეყვარებული დარდს გადაჰყოლია. თევზებს ერთი მიცვალებული მარცხენა თვალში დაუსაფლავებიათ, მეორე მარჯვენაში და თავად კი სულ გასცლიან მის თვალებს. მას მერე დიდი დრო გასულა, შეყვარებული თევზების გვამებს კარგა ხანს ინახავდა მლოცველის მლაშე ცრემლები, მაგრამ ერთ დღეს-აც, როდესაც ისევ სრულიად შემთხვევით, მლოცველმა აღმოაჩინა, რომ მისი ცრემლები უბრალო წყლად ქცეულა, სწორედ მაშინ დაიწყო მიცვალებული თევზების გვამებმა გახრწნა და აშმორება. მას შემდეგ, მლოცველი საათში ერთხელ ცისფერ თვალებზე მუქ ჩაიში ჩამბალ საფენებს იწყობს, მაგრამ ამ უცნაურ სუნს მაინც ვერაფერი მოუხერხა...

– აქეთ ჩამოჯექი, – სკამი მიუჩოჩა მლოცველმა ევლიას და თვალებიდან სულ ახლახანს ჩამოხსნილი საფენები იქვე პატარა მრგვალ მაგიდაზე მიყარა. მერე შუბლზე ჩამოჩეჩილი გახუნებულსაღებავიანი თმა დაგრეხილი თითებით უკან გადაიწია და კეფაზე ვერცხლის თმისსამაგრით დაიმაგრა. ევლიას გასაოცრად ეს მოხუცი მლოცველი უცებ დაახლოებით ოცდაათი წლით გაახალგაზრდავდა, მუხლებზე ჩაიჩოქა, ხელისგულებში ევლიას გრილი ხელები მოიქცია და გაინაბა... რაღაც ენიშნა ევლიას, სიზმარი მოაგონდა თითქოს...

– ნეტავ, რას ჩურჩულებ მოხუცო მლოცველო? ნეტავ, რა სიზმრებს ხედავ მაგ თევზმკვდარი თვალებით, იქნებ მკვდარი თევზების ფხები გერჭობა მაგ გულში, იქნებ მიცვალებულ თევზებს მცოცავ მიწაში კრძალავ და მეორე დღეს კი ისინი ისევ ზეზეურად გხვდებიან, – ფიქრობს ევლია, ფიქრობს და აზრადაც არ მოსდის, რომ მხოლოდ მის „აბნი-ბაბნი, დონდი-დანდი, სანდი-ქანდი, ცას გაჰქანდი" – ს შეუძლია ამ მოხუცი მლოცველის გადარჩენა, ერთ დროს შეყვარებული და ახლა გახრწნილი თევზების გვამებისაგან გათავისუფლება...

დუდუნი რომ დაამთავრა მოხუცმა, ფეხზე წამოდგა, კალთა ჩამოიბერტყა, ევლიას თავზე დაადო ხელი და უთხრა:

– მე ვერ გიშველი, საჩემო არ ხარ, შენი შველა მხოლოდ წითელკოპლებიანს შეუძლია.

– წითელკოპლებიანს? იმას, წელს მოდაში რომ შემოდის?

იმას, უნიკალური რომ არის? იმას, ასე ძვირადღირებულნი რომ იქნებს?

– ჰო, იმას, თავი დაუქნია მლოცველმა, უიმედო თვალებით მიაშტერდა ევლიას და სულ ერთი წამით შეეცოდა კიდეც...

მხრებში მოხრილი ევლია მლოცველის სახლიდან გამოვიდა და თან წამოიყოლა შმორის სუნი. ზუსტად 28 ღერი თმა ერთბაშად გაუთეთრდა. არ დაუნახავს, უბრალოდ იგრძნო. სახლში მისულმა, შავტარიანი მაკრატელი აიღო და თმა გაიკორტნა...

* * *

ნოემბერი...

გამთენიისას ამ ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში ახალი კოლექციის ერთადერთ წითელკოპლებიან ეგზემპლარს ელიან. ყველაფერი მზად არის მის დასახვედრად. სპეციალურად გამოთავისუფლებული კუთხე, ზედმეტად სტანდარტული ზომის გამყიდველმა მუხლზე ხოხვით მოხეხა, ვიტრინა კი სულ საკუთარი ნერწყვით გააპრიალა...

* * *

ევლიას არ ეძინება...

არ ეძინება ზედმეტად სტანდარტული ზომის გამყიდველსაც...

ეძინება, მაგრამ ვერაფრით იძინებს მოხუცი მლოცველი: დახუჭავს თვალებს და წითელწინწკლებიანი მიცვალებული თევზების გოდება არ აძინებს – რატომ ორივე მარჯვენა თვალში არ დაგვმარხეთო... სანთლებს უნთებს თევზების სულებს მოხუცი მლოცველი... ვერ ისვენებენ თევზები, ვერ ისვენებენ... ფართხალებენ მლოცველის თვალებში, ფხებს აჩხრიალებენ...

* * *

ფული არა აქვს ევლიას...

არც არასდროს ექნება ევლიას ფული...

* * *

გამთენიისას ზარი შემოჰკრეს ქალაქის თავზე. ერთადერთმა ეგზემპლარმა, უნიკალურმა, წითელკოპლებიანმა ეგზემპლარმა დანიშნულ ადგილამდე ვერ მიაღწია, გზაში აორთქლდა თუ გაუჩინარდა. ზედმეტად სტანდარტული ზომის გამყიდველს თავს ზარი დაეცა. თავზარი კი არა – თავს ზარი, ნამდვილი ზარი, სპილენძის დიდი ზარი. უნიკალური ეგზემპლარის დასახვედრად მიდიოდა,

მნათემ ზარს რომ შემოჰკრა და თან ისე შემოჰკრა, რომ შუაზე გაიპო და ზედმეტად სტანდარტული ზომის გამყიდველს ზედ თავზე დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ თავი შუაზე გადაეჩეხა, პოლიციამ მაინც ის დააპატიმრა. მას დაჰბრალდა წითელკოპლებიანის გაქრობა... თმები დააგლიჯეს ერთმანეთს მსოფლიოს წამყვანმა დიზაინერებმა.

* * *

ევლია კი წევს გაყინულ წყალში, წევს და ისე სცხელა, რომ თუხთუხი გაუდის გაყინულ წყალს:

აბნი-ბაბნი, დონდი-დანდი, სანდი-ქანდი, ცას გაჰქანდი,

აბნი-ბაბნი, დონდი-დანდი, სანდი-ქანდი, ცას გაჰქანდი...

წევს ევლია ათუხთუხებულ გაყინულ წყალში და ულოცავს მლოცველს:

ცაში მიჰქრიან მლოცველის წითელწინწკლებიანი თევზები, ფარფლების მაგივრად ფრთებს მიიქნევენ და მიფრინავეეეეეეენ... გზადაგზა სცვივათ წითელი წინწკლები და ქვევით, მიწისკენ ქრებიან... მოხუცი მლოცველი იძინებს, მშვიდად იძინებს და სიზმარში თევზების ქორწილს ხედავს...

* * *

დილის 5-ის 28 წუთზე სტუმრები მოვიდნენ ევლიასთან – არც დაუკაკუნებიათ, არც შემოსვლის ნებართვა უთხოვიათ, კარი შემოაღეს, შემოვიდნენ და იქვე სკამებზე ჩამოსხდნენ:

– გვწყურია, რას დაგვალევინებ? – იკითხეს სტუმრებმა.

– წითელ ღვინოს, – უპასუხა ევლიამ.

– გზად მოგვშიებია, რას გვაჭმევ?

– პურს.

– შეგვცივნია კიდეც, გაგვათბობ?

– ზედ მომეკარით, – უთხრა ევლიამ.

წამოიშალნენ სტუმრები, წრე შემოარტყეს ევლიას, წყლიდან ამოიყვანეს, წითელი ბუშტები დაბერეს, წითელი სანთლები დაანთეს, ოთახის შუაგულში წითელი ხავერდი გაშალეს, ზედ დააწვინეს, წითელი მიტკლით გაამშრალეს, გვერდში მიუწვნენ, შემოეტმასნენ და სათითაოდ დაუკოცნეს ევლიას გავარვარებული სხეულის ყველა ნაწილი: ზოგმა თეძოზე დაუტოვა ნაკვალევი, ზოგმა მხრებზე, ზოგმა კისერზე, ზოგმა მკერდზე, ზოგმა მუცელზე...

უცხო სტუმრებმა წითელწინწკლებად ამოხეთქეს ევლიას კანზე...

...ზუსტად მოერგნენ ევლიას ბატონები, ისე უხდებოდნენ, ისე უხდებოდნენ...

იდგა სარკის წინ ევლია და ცნობილი მხატვრის ცნობილი ნახატის ყველაზე უცნობი რეპროდუქციის დანახვას საკუთარი ხელით გაკორტნილი თავი უშლიდა... თურმე როგორ არ უხდება ევლიას მოკლე თმა...

თევზებო, წითელწინწკლებიანო თევზებო, ქვირითებს ევლია მოგინათლავთ... წელს ევლიაა მოდაში...

თეა
თოფურია

„პოეზიის კალთა"

პიტნის კალო

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო. ჩემი საქმეც ასეა, ვირივით. მე ვვირობ და ამათ კიდევ პიტნა არ ელევათ, ლამისაა ძნები დადგან. აჰა, ამასწინათაც, ამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი და ჭა უნდა გავთხაროთო. რის ჭამე-მეთქი. აი, კორპუსის წინო. ჭა რად გვინდა-მეთქი, – თან ახალგაღვიძებული ვარ, ვდგავარ, თვალებს ვისრესს – წყალი ზედა სართულებზე არ ამოდის და აბა, რა ვქნათო. ვედრო და ბაწარი უკვე გვაქვსო. კინაღამ არ ვუთხარი, ბაწარი თუ გაქვს, ჭა და უფსკრული არა ხარ, მოიბი ბარებ კისერზე-მეთქი, მაგრამ ამისთანებს ხომ სიკვდილს ვერ უხსენებ, სწყინთ.

* * *

რას შვრება, ნეტავ, ის ბავშვი? ვერ მივაჩვიე ესენიც, რომ გაუარონ და მოიკითხონ მაინც. ერთ ქალაქში არ ცხოვრობენ?! ერთი დედ-მამის შვილები არ არიან. ამას წინათაც მითხრა მარინემ, გავუარე, ვუკაკუნე, ვუკაკუნე... ალბათ სახლში არ იყოო. რას გაუგებ მაგას?! ჯერ ბავშვობაში ვერ იტანდა ვერავის, წაიღებდა წიგნებს და საქათმეში სწავლობდა გაკვეთილებს. მაგის გადამკიდე ქათმები შუა ეზოში დებდნენ ხოლმე კვერცხებს. გამოდი-მეთქი, ვეტყოდი და გამოვიდოდა, განა არა, მაგრამ მეორე წუთას გავხედავდი და ახლა ხეზეა ამძვრალი, დაუკავებია პური და ყველი და ღოღნის. რად ვერ იტან, შვილო, ხალხს-მეთქი და აბა, □რა ვიციო. არ უყვარდა და ასეთი დარჩა უკარება, სად დადიოდა, რას შვრებოდა, ვერაფერს გაიგებდი. მეზობლებს აღარც კი ახსოვდათ, დაბადებული თუ იყო სოფელ-ქვეყანაზე. ესაო, წითურაო, შენი არ არისო, უცებ გაახსენდებოდათ ხოლმე, ისე სხვათაშორის... ეგენი კი არა, მეც ლამის სულ დამავიწყდა, ამასწინაზე ისევ მარინემ მკითხა, რომ დაიბადა, რა დღე იყოო. ვერ გავიხსენე, მგონი თოვდა, მგონი კი ივლისი იდგა. არ მახსოვს, არა, მუცელი რომ ამტკივდა ისიც არ მახსოვს.

* * *

კიდევ კარგი, ბევრი და-ძმა მყავდა და მაგათში ადვილად ვიკარგებოდი ხოლმე, თორემ ამ ცხოვრებას რა აიტანდა. აგერ მეზობლები რომ ჭას თხრიან, ასეთი ჭა მეც მქონდა სოფელში,

თხრიდნენ და სანამ წყლამდე ჩავიდოდნენ, შიგ ვიმალებოდი. ერთხელაც მომადგა ჩემი ძმა და ჩამომძახის, ეჰეეო, ჰეეეო... ბნელა და იმას ჰგონია, ჭას ჩასძახის. მეც ავდექი და გავეპასუხე, მომწყდი თავიდან-მეთქი. აღრიალებული გაიქცა, იძახის: დედა დედაა... ვიღაც ქალები მოუყვანეს მერე, გამოულოცეს.

* * *

რა სცხია ადამიანის?! შეგეშინდება ისე იცის უცხოობა. ბებიამისი რომ დავმარხეთ, განა ისეთი რა პატარა იყო, რომ ერთი არ უტირია. სხვები, რომ ღნაოდნენ, მაგას რა?! მიწისძვრა რომ იყო კიდევ?! ვითომც აკვანში დაგირწევია, სულ არ გამოსულა გარეთ. ვსხედვართ ყველანი ეზოში ძაღლიან-კატიანად და უცებ მომაგონდა, მივავლ-მოვავლე თვალი და არ ჩანს არსად. შევვარდი სახლში, ვიფიქრე, აღარ დარჩა ალბათ ცოცხალი-მეთქი, არადა, არც ამდგარა თურმე ქვეშაგებიდან. გამოვარბენინე გარეთ პერანგისამარა, დაჯდა, არაფერი უთქვამს... ჩუმი იყო, ნეტავ გულში მაინც თუ ლაპარაკობსო, გაიფიქრებდი.

ცოლის შერთვა რომ დავუპირეთ მაშინაც განა თქვა რამე. იყო თავისთვის, არც კი, არც – არა. თან კი ვჭოჭმანობდი, რა ოჯახი ამას მოეკითხება, ხიდან ვერ ჩამოგვიყვანია-მეთქი. მეზობელ ნინიკას გოგოს ვგულობდი ვითომ, ერთი უბარლო იყო ისიც, შეუმჩნევი, არც აქებდა ვინმე, არც – აძაგებდა. ბავშვს ხომ გააჩენენ და მერე თუნდაც ორივეს ხეზე უთენ-უღამებით-მეთქი, მაგრამ რა... გავიხედე და აღარ არის. ორი წლის მერე ისე მოვიდა, თითქოს აქვე მაღაზიაში გადასულიყოს. განა მკვდარი მეგონა ან რამე ფარსაგი, ვიცოდი, რაც მყავდა, მაგრამ მაინც... მაწონს თბილად ვფუთავ და კარი შემოაღო. ამივარდა ტირილი, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარ-მეთქი.

* * *

ორი წელი ხომ ვიხეტიალე, მერე ისევ მივედი სახლში. ჩემებს საქათმეში ვემალებოდი და ახლა კიდევ ნინიკასიო. განა არ მეტ-ყობოდა, ამ ქვეყნის არ ვიყავი. ავლაგდებოდი ხოლმე შუაღამისას, მაღლა, სულ მაღლა იყვნენ ვარსკვლავები, ლივლივებდნენ ისე, ცა იღუნებოდა. მეც თითქოს ამ ცადაბრეცილზე დავდიოდი, ეს მერჩინა ადამიანებთან ბორიალს. ადამიანი მაშინ მახსენდება, ძალიან რომ მომშივდება ან ძალიან რომ შემცივდება ხოლმე,

საჭმელს რომ მაძლევენ, ბუხართან რომ მსვამენ... ძაღლივით ვარ, წუნკალი ძაღლივით, პურის გულისთვის კუდს რომ აქიცინებს. დედაჩემმა კიდევ, რად მიკეთებ, შვილო, ამისთანებს, დედა ვარო. თან მაწონს ახვევდა, ჩემი ძმის ჯემპრში. გულში ვიფიქრე, ჩემს დედობას, მაწვნის დედა ყოფილიყავი არ გერჩივნა?! რძეს მაინც შეადედებდი-მეთქი.

* * *

ღამ-ღამე სიარული უყვარდა. მისი შიშით მოსაშარდად ვერავინ გამოსულიყო გარეთ. დაადებდა ხოლმე თავს და... მოგვადგებოდა დილით საიდანღაციდან. დაწვებოდა მერე და დაიძინებდა ან ეზოში იჯდა გარეთ. არც რას ვეკითხებოდით, ყველას თავი გვქონდა მინებებული. კიდევ ჩავეძიებოდი, ადამიანები რად არ გიყვარს-მეთქი და არ გისწავლებიათო. განა რა სწავლა უნდა სიყვარულს, შენმა და-ძმებმა როგორ ისწავლეს-მეთქი და გაჩუმდებოდა ისევ. საცოდავი იყო, რაღაცნაირი, თავს ძლივს ეზიდებოდა.

* * *

ყურძენს დამიკრიფდა დედაჩემი და დამიდებდა გარეცხილს. ისეთი თვალებით მიყურებდა ხოლმე... შვიდი და-ძმიდან მარტო მე მიყურებდა ასეთი თვალებით. ჩავღუნავდი ხოლმე თავს, აბა რა მექნა, ექვსი ბავშვის გამონაცვალ საშოში რომ გამომზარდე, ექვსი ბავშვის შარდით აქოთებულ სახვევებში რომ გამომკარი-მეთქი, გულში ვფიქრობდი. საცოდავ დედაჩემს ჩემს მერე ბავშვის გაჩენა არც მოგონებია. რომ დაბერდა და დაპატარავდა, იტყოდა ხოლმე, მერვე ვარო. ჩემი უფროსი ძმა ტკბილ ნამცხვრებს მოუტანდა და ჩუმად ჭამდა თავისთვის, შავებში ჩაცმული. შავსაც იმიტომ იცვამდა, რომ სხვებს ეცვათ მაგის ტოლებს. მზისგულზე შავით უკეთესად გამოვჩნდები, ჭრელი კუბოშიც მეყოფაო... სიბერეში დამემგვანა მე თავის ნაბოლარას.

* * *

ქალაქში ისე გაიკრიფნენ, თითქოს ყურძენი დაგიკრეფია. შვიდიდან ერთი არ დარჩა წყლის მომწოდებელი, არც დამლაპარაკებელი. საკუთარ თავს ვექაქანები ხოლმე, ბეხრეკოო, განა მარტო გაჩენაა, აკვანიც გულიანად უნდა გერწია, ქადაც გულიანი უნდა გეცხო, ახლა ერთი მაინც დაგირჩებოდა, გვერდით გეყოლებოდა, ან იქით დააყვედრებდი ან აქეთ დაგამადლებდა-მეთქი.

ვეშაირები ხოლმე ჩემს თავს და თან ველოდები, როდის ჩამოვლენ მორიგეობით, ხან უფროსი, ხან – შუას წინა. უმცროსის კი ამბავიც უნდა იზოგო. რაც წავიდა მას შემდეგ მზის დაბნელება ორჯერ ვნახე, ის კი ვერც ერთხელ. თავიდანვე ასეთი დაქანცული და მისავათებული გაჩნდა და რაც გაჩდა ის დარჩა. ჩემგან თუ გამოყვა და რა ვიზამ?! მეც რა ბრალში ვარ?! ღმერთმა მთელი სამყარო ისე შექმნა თითქოს არაფერი. ადამიანის შექმნამ კი უცებვე დაღალა. მე თუ მეშვიდე ადამიანზე დავიღალე, რაღა გასაკვირია?!

* * *

ამათ კიდევ, ჭა უნდა ვთხაროთო, ბაწარი გვაქვსო. ხოდა, ხომ უნდა მეთქვა, მოიბი კისერზე-მეთქი, მაგრამ ეს ვუთხარი, ჭას რად თხრით, დედას არ უყვარდით, დედა არ გიყვარდათ-მეთქი. დადგა და მომაშტერდა, გაწითლდა, გაპილპილდა. დაეშვა კიბეებზე და მერე მართლა არ მოაყენეს რაღაც ბულდოზერისმაგვარი. აარიხინეს და ვდგავარ, ვფიქრობ, განა მარტო გაჩენაა, და ძუძუს პირში ჩადება, უსულგულოდ ქვეყანაზე რომ ვეთრევი, ახლა ვინღა მასწავლის ადამიანობას წიგნით და რვეულით-მეთქი. ტაძარი როა აგერ, იქ დიდი ხატია, ღვთისმშობლის მიძინების, ქრისტეს მარიამი ხელში უჭირავს, არადა, საერთოდ ხომ პირიქითაა. იქაც დავდგები ხოლმე მართლა ვირივით და მიკვირს, გასაკვირი რაა, მაგრამ მაინც. თან ხომ როგორი ახალგაზრდაა ქრისტე ხატებზე...

ჩავედი. მარინემ, გიკაკუნე, გიკაკუნე, ვერ გაგაგონეო, დედა ვნახე და მნახოსო. ძროხა დაბორიალობდა ეზოში ბღავილით. დასკდომაზე ჰქონდა ცური. სამი დღის მოსაწველია, ვერ ვდგებიო, დედამ მითხრა. ლოგინში იწვა, დალეული, დალეული, დეკემბრის დღე რომ დაილევა ისე, ხელები ამოეყო საბნიდან. შენც სამი დღის მშიერი ხარ-მეთქი, ვკითხე და ვერ გაიხსენა. დავუწყე ძროხას წველა, აზმუვლდა, გამლუპა რძეში. დავალევინე დედას და მერე ცეცხლს მივეცოდვილე ასანთებად. ბუხართან დამსვიო, ვერ დგებოდა თვითონ. ავიყვანე, სანამ ოთახში სკამს მოვძებნიდი, კარგა ხანი მეჭირა ხელში.

მაკდა
კალანდაძე

''რითაც
დავიბადეთ
ვერმანყლი''

როგორ დავივიწყოთ გერმანული

უკვე გვიანია. ასეთ დროს ავტობუსები თითქმის აღარ დადიან, მაგრამ დღეს გამიმართლა. სახლამდე დიდი მანძილია. უკანა სავარძელში ვზივარ და, ვცდილობ გავიხსენო, კიდევ რაში გამიმართლა დღეს. ესე იგი, გამოდის, არაფერზე არ უნდა ვიფიქრო. ასე არაფერი გამოვა. უკეთესია, ბოლო 24 საათი ერთში მოვაქციო და კინოშეფარდებით – ერთი ოცდაოთხთან – თავიდან დავატრიალო. ცოტა უაზრო კინო გამომივა, მაგრამ ეგ არაფერი – ყველა რეჟისორს უყვარს თავისი ფილმი. გადაღებები დღეს დამთავრდა. ჩემი ბრალია.

ცშშშშ... ავტობუსი თანდათან ივსება. გვერდით ბავშვიანი ქალი მიზის. მახსოვს, ერთხელ პირობა დავდე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით აღარასდოს ვიმგზავრებ-მეთქი.

ჩემი ბრალია ყველაფერი – არ უნდა ავსულიყავი. პირობა მივეცი მასაც და ჩემს თავსაც, და ვერ შევასრულე. არადა, რომ არ დაერეკა, შეიძლებოდა გადამელახა კიდეც ერთკვირიანი ბარიერი. მართალია, მერე ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყებოდა, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოვიჩენდი ნებისყოფას. თანაც, ერთი დღე, ერთადერთი დღე მქონდა დარჩენილი. შენსკენ არც კი გამოვიხედავ-მეთქი, ერთი კვირა აქ ჩემი ფეხიც არ იქნება-მეთქი, – ზუსტად ასე ვუთხარი. ჩემი ჭკუით, მუქარად დროის პატარა მონაკვეთი ავიღე. ან ვის ვემუქრებოდი რო... მაგრამ მაშინ მართლა გავბრაზდი; იმ თაგვის ამბავმა წონასწორობა დამაკარგვინა. არადა, ესეც ჩემი ბრალი იყო, აქაც მე დავარღვიე პირობა... დიდი შავ ყუთში ზაზუნა ჰყავდა გამომწყვდეული, საჭმელს რაღაც საჰაერო ხვრელებიდან უყრიდა და წყალსაც განსაკუთრებული ოსტატობით უდგამდა. პირველივე დღეს, როცა მის სახლში ამ ცხოველის არსებობა გავიგე, პირობა ჩამომართვა, ყუთს თავი არასოდეს მოხადოო. მე, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დავეთანხმე, სულაც არ მადარდებდა იმ ვირთხის ბედი და ამ საქციელის მიზეზიც არ მიკითხავს. მაგრამ თვითონ ამიხსნა – ეტყობოდა, საკუთარი გადაწყვეტილებით თვითონვე იყო კმაყოფილი: მეო, შევძელიო, ერთ ცოცხალ არსებას მაინც გაეგო დედამიწაზე,

ნამდვილი ბედნიერება რა არიო, ანუო, ვერავინ ისე ბედნიერი ვერ იქნებაო, როგორც ისო, ვისაც ბედნიერება საერთოდ არ განუცდიაო... მერე ეს ფილოსოფია თავის პატარა ოთხფეხზე გადაიტანა და, როცა მიხვდა, რომ არ ვუსმენდი, რიტორობა შეწყვიტა, ნიკაპი ნიკაპზე მომადო, კიდევ ერთხელ ჩამომართვა პირობა, რომ იმ უკუდო ვირთხისთვის მისგან ბოძებული მარადიული ბედნიერება არ წამერთმია და, ზეწარშემოხვეული, საპირფარეშოში გავიდა. მაშინ თმა სცვიოდა და, მახსოვს, ბალიშზე დარჩენილმა თმის ღერებმა კინაღამ გული ამირიეს.

მერე კარგა ხანს არც გამხსენებია ის თაგვი, მაგრამ ბოლოს რომ ვიყავი, ცნობისმოყვარეობამ წამძლია და სანამ ის აბაზანაში რეცხავდა, ყუთი გადმოვაყირავე. ვერ იყო რა ის ზაზუნა, აქეთ-იქით დაიწყო სირბილი, ციბრუტივით ტრიალებდა და ბოლოს კარადის ქვეში შეძვრა. ეგეთი დაცენტრილი თაგვი ცხოვრებაში არ მინახავს.

სანამ მე კარადისქვეშეთს დაჩოქილი ვევედრებოდი ჩემი ევრიდიკეს გამოშვებას, ისიც შემოვიდა, წინსაფარაფარებული და ბეჭებში მოხრილი. პირველ სიტყვაზე ფილტვებმა უმტყუნეს და ხველება აუვარდა – აშკარად ყვირილს აპირებდა. მერე ჩუმი, ისტერიული ხმით დაიწყო: ჩემმა ცხოვრებამო აზრი დაკარგაო, ჩემი ერთადერთი გამარჯვება ფეხქვეშ გათელეო, იდეალები დამინგრიეო, მეზიზღები და არ მომეკაროო. ხელები სველი ჰქონდა, სახელოები – აწეული, რაღაცნაირად მოთენთილი ჩამოჯდა ლოგინის კიდეზე და შუბლი მაჯებს დააყრდნო. ეს რატომ გამიკეთეო, შენ ხომ შემპირდიო. მომეჩვენა, რომ უცებ ათი წლით დაბერდა, დაპატარავდა, შემეცოდა და შემებრალა; მის წინ ჩავიმუხლე, მინდოდა, მისი გამხდარი სახე ხელის გულებს შორის მომექცია, შავ, გაბურდულ თმებში ცხვირი ჩამერგო და მორიგი ბოდიში მომეხადა, მაგრამ მისკენ გაწვდილი ხელები ჰაერშივე გამიჩერა ისე, რომ თავიც არ აუწევია, და წადიო, კბილებში გამოცრა. მერე მეც ავიჭერი. ბევრი სისულელე ვუთხარით ერთმანეთს, ვიჩხუბეთ, და მაშინ, ზუსტად მაშინ ვთქვი ის სიტყვებიც, ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება-მეთქი... ერთი კვირა-მეთქი, – ესეც სასწრაფოდ დავაყოლე, თორემ ვიცოდი, რომ მერე დანაპირების შეუსრულებლობაში დამადანაშაულებდა და, ამიტომ, ჩემი

გამძლეობის კოეფიციენტი მაქსიმალურად გავწელე.

ცშშშ... ხალხი ამოდის, ჩასვლით კი არავინ ჩადის. ავტობუსი გადაივსო და უკვე სუნთქვა შეუძლებელი ხდება. სახლში რომ მივალ, ფილტვებს გავინიავებ – ბევრს, ძალიან ბევრს მოვწევ, თანაც ისე, რომ სინდისიც არ შემაწუხებს. დღეს მის წინაშე ყოველგვარი ვალდებულება მომეხსნა, დღეს შეპირებებისგან და მათი შესრულება-არშესრულებებისგან გამათავისუფლა... აღარ მომიწევს თავის მართლება, რომ სიგარეტს თავი დავანებე და რომ ჩემს ტუჩებზე ნიკოტინის გემო მხოლოდ ეჩვენება... არადა, მახსოვს, გაცნობის პირველივე დღეს პირობა მივეცი...

არც ახლა ავიდოდი, კიდევ ერთ დღესაც როგორმე გავძლებდი, მაგრამ თვითონ დამირეკა, ფილტვების ანთება გამიმწვავდაო, რაღაც წამლების გრძელი სია ჩამაწერინა და, თუ შეგიძლია, ამომიტანეო. ფულს მერე მოგცემ, ახლა არ მაქვსო. პრობლემა არაა, ისეც ვაპირებდი აფთიაქში შევლას-მეთქი. გაეცინა. კარს ღიას დავტოვებო, გელოდებიო. „ლენაააა, უთხარი დედაშენს რამეეე!“ – მისი ჩუმი და წყვეტილი ხმა ჩემს ყურთან ფრიად არაესთეტიკურმა ღრიალმა შეცვალა. ახლა ამ ღრიალის ატანა მომიწევს, ფული მჭირდება და ამ საოპერო ხმის პატრონს – მამაჩემს უნდა მივაკითხო. „რა იყო მა?“– დავიშაქრე. „სულ გაგიჟდა დედაშენი, ყვითლად უნდა თავის გადაკრასკვა!“ „კარგი რა გურამ, რა გჭირს, მეც ხომ პიროვნება ვარ?!“ – აცრემლებული „პიროვნება“ ჩანთას ავლებს ხელს და კარის მსუბუქი გაჯახუნებით სახლიდან მირბის. ალბათ, რომელიმე დაქალთან წავა და აქვითინებული უამბობს თავის ოჯახურ ტრაგედიას, მერე კი ორივენი დისკუსიას გამართავენ თემაზე „დაჩაგრული ქალი“. მე-ჰელიოფობიკი და, შესაბამისად, ყვითელი ფერის მოძულე, ვეთანხმები მამიკოს და ქერა ქალებისადმი მის ანტიპათიასაც ვიზიარებ, მერე კი ცოტა ფულს ვთხოვ „დაქალისთვის საჩუქრის საყიდლად“. კაცმა რომ თქვას, არც ვატყუებ – უბრალოდ, მამა თვითონ არ დაინტერესებულა იმ ფაქტით, რომ „დაქალი“ 40 წელს გადაშორებული, ქმრისგან მიტოვებული, ავადმყოფი გერმანისტია და „საჩუქარიც“ მისი ტუბერკულიოზით დახრული, წყლისგან შეშუპებული ფილტვებისთვის მიმაქვს.

წამლებზე დიდხანს ვირბინე, ფულიც თითქმის მეყო, უბრალოდ, ერთგან რაღაც ხურდები დამაკლდა. ფარმაცევტი მოხუცი

ქალი იყო და, შენხელა შვილთაშვილი მყავსო, რად გინდა ბებო ასეთი ძლიერი ანტიბიოტიკებიო?.. უიმე, გიკვდება ვინმეო? უი, ოცდახუთი თეთრი აკლია, მაგრამ ალალია, წაიღე, უფალი შეეწიოს, ვინც არიო...“ ხმა ვერ ამოვიღე, წამლები პარკში ჩავყარე და გამოვედი. რა სიამოვნებით მივახრჩობდი იმ ბებერ კუდიანს და გავაგებინებდი, ვინც კვდება და ვისაც უნდა შეეწიოს ის უფალი...

მის სახლამდე ფეხით მომიწია მისვლა, ტრანსპორტის ფული აღარ დამრჩა. გულში რომ ჩავიკარი ავადმყოფობისგან კიდევ უფრო გამხდარი, წელზე პლედმოხვეული, სიცხისგან აკანკალებული და დასუსტებული, მერე მივხვდი, როგორ მომნატრებია მისი დაღლილი, ცხიმიანი თმების სუნი... ვთხოვე, დაწოლილიყო და ცოტა გამიკვირდა კიდეც, ფეხზე რომ დამხვდა, კარები გამიღო... ტელეფონზე ხომ მითხრა, ღიას დავტოვებო... წამლების პარკი ჯერ კიდევ ხელში მეჭირა, მეთქი, შემომიშვი, დავდო... და გაძვალტყავებული ხელი მკერდზე მომაწება – არ შეხვიდე, ოთახში ჩემი ქმარიაო... მერე რა, უთხარი, რომ მოსწავლე ვარ, ამაში უცნაური რა არის-მეთქი? ჩვენ ხომ ორივემ ვიცით, რომ ეს ასე არ არიო... და შენი ამბავი რომ ვიცი, თავს ვერ შეიკავებ, ის კიდევ რაღაცას აუცილებლად მიხვდებაო... მეთქი, გპირდები, კრავივით მორჩილი და ჩუმი ვიქნები, ოღონდ ახლა წასვლა არ მთხოვო, ძალიან მომენატრე, გპირდები-მეთქი!.. მისი ჩურჩული მეც გადმომედო და, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მადარდებდა, დამინახავდა თუ არა ის კაცი, ხმადაბლა ავლაპარაკდი... ვიცი მე შენი დაპირებებიო... წამლები აკანკალებული ხელებით გამომართვა, ახლა ფული არ მაქვს, სამ-ოთხ დღეში ალბათ საელჩოდან თარგმანების ჰონორარი მომივა და დაგირეკავო. ახლა კიო, – და პარკი მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენათი შარვლის ჯიბიდან რაღაც ხურდები ამოაძვრინა და შემომაჩეჩა, – უკვე გვიანია, ავტობუსით წადი სახლშიო. მერე ისევ გულზე მომეყრდნო და, როცა ზღურბლს იქით დამიგულა, შუბლზე ცხელი ტუჩებით შემეხო – ჭკუით იყავიო.

უკვე გვიანია და სახლამდე სამი თუ ოთხი გაჩერება დარჩა. გადაჭედილ ავტობუსში რაღაც უგემურად შევისუნთქე ტანსაცმელზე შერჩენილი მისი ნესტიანი ოთახის სუნი. სახლში რომ მივალ, ამ სვიტერს, შარფს და შარვალს სასწრაფოდ გავრეცხავ. ვიცი,

რომ მისი ავადმყოფობა გადამდებია და ათჯერ თუ გამოვძვერი, მეთერთმეტეჯერ აღარ გავრისკავ – ტანსაცმელს სარეცხ მანქანაში შევყრი, თვითონ კი აბაზანაში შევალ. მერე ცე-ვიტამინით მდიდარ ლიმონიან ჩაის დავლევ და დასავიწყებელთა სიიდან პირველს გერმანულ ენას დავივიწყებ.

ცშშშშ... ორი გაჩერება დარჩა. ავტობუსი დაცარიელდა. წინა სავარძლებზე ვიღაც კაცები სხედან, სამნი; კიდევ უფრო წინ – ქალი და კაცი. ქალი ქერაა, და მისი თმის ფერი დილას გადატანილ ოჯახურ დრამას მახსენებს. ვღიზიანდები. ნეტავ რამდენი საათი დახარჯა სალონში? ან ქმარი მაინც არ ჰყავდა აზიატი? უცებ წარმოვიდგინე, ასეთ ქალებს შვილი რომ უკვდებათ და სალონში რომ გარბიან, მომსვლელებს მოუწესრიგებელი ხომ არ დავენახვებიო... სიამოვნებით მოვკლავდი ამ ქალის შვილს, და თუ ოდესმე შევხვდები, მოვკლავ კიდეც. აი, პირობა, რომელიც ჩანასახშივე შესრულებულია! ნეტავ ახლა ის მხედავდეს. მორჩა, გავიმარჯვე.

ცშშშშ... მოვედი. ხელში ხურდებს ვათამაშებ და მძღოლისკენ მივდივარ.

– ლენა, დე, უი, ვერ დაგინახე, როდის ამოხვედი...

– . . .

– ჩადი, ჩადი, აგერ მაქვს ხურდა... ფრთხილად, გოგო, ნუ გადამიარე კაბაზე...

მაკა ლდოკონები

''თეშდიდები
და
სყქყნები''

თეშდიდები და სუქუნები

და როცა ჩემს ამბავს ისმენთ, ცალ ფეხსაცმელზე ქუსლმოტეხილსა და იმავ ცალი ფეხით აგურის კედელზე მიყრდნობილს, თავზე ... თეშდიდები და სუქუნები მაწვიმს.

შევეცდები, მოკლედ მოგითხროთ, როგორ აღმოვჩნდი ამ დღეში.

ჯერ, ოცი წლის წინ, ის ღამე დადგა, პალეონტოლოგი ბებია მარ(გუს)ი რომ დაბრუნდა (სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთიდან თუ ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთიდან), ჩემი დედიკო კი ჩვილით დაუხვდა (თბილისში). მძინარე პატარას (ანუ მე), ფუმფუსა ხელი ლოყის ქვეშ ამო(მ)ედო.

– *კინკაჟუ!* – აღმოხდა ბებიას და გულში საგანგაშოდ უზარმაზარი სიყვარული ჩაეღვარა. ჩემოდანს მივარდა, ამოაპირქვავა, კოხტად ჩალაგებული, შეფუთული საჩუქრები მიყარ-მოყარა, იქექ-იქოთქოთა და მიაგნო იმას, რაც შეკრულ მუშტში ჩაეტა.

– *აი, კინკაჟუ!* – ხელი გაშალა და ქალიშვილს ერთი ციცქნა, ლოყის ქვეშ ფუმფულაკუდამოდებული არსება დაანახვა, – *ხომ ჰგავს, ძვირფასო?*

არ ვიცი, რამდენად ესიამოვნა დედას მისი შვილი ენოტების ოჯახის წარმომადგენელს რომ შეადარეს, ღიმილით კი გადმომხედა ჯერ მე, მერე ბებიას და სუვენირი-კინკაჟუ თავის ხელისგულზე გადაიტანა.

ასე ვიქეცი *გოგონად ლემურის თვალებით* – ბებია მარ(გუს)ის რჩეულ შვილიშვილად, რომლის თავზე ჯერ მსუბუქად წამოჟინჟლა თეშდიდ-სუქუნებმა, მერე კი ნამდვილი სეტყვა დაიწყო, რის გამოც: არასდროს დამიბანია ან შემიკვეცავს თმები ორშაბათსა და ოთხშაბათს; არ დამიჭრია ან გამიქლიბავს ფრჩხილები და დამითვლია ფული ღამით; არ დამიწყია ახალი საქმე, არ დამიხარჯავს ან გამისესხებია ფული ორშაბათს; მუდამ ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს და ველოდი შედეგებს მარჯვენა თუ მარცხენა ხელის ან ფეხის გულის, ცხვირის წვერის ქავილისას; არ ვაძლევდი ან ვართმევდი ხელიდან ხელში არავის: ცოცხს, საპონსა და ნემსს; არ ვდებდი მაგიდაზე გასაღებს, ხოლო პურს უკუღმა; არ ვშლიდი

ქოლგას და არ ვუსტვენდი ოთახში; არ ვაბიჯებდი ზღურბლს მარცხენა ფეხით...

ახლა კი გურუს ოთახის შესახებ უნდა გიამბოთ:

და ცამეტი წლის წინ, ზემოხსენებულ ოთახში, რომელსაც მარ(გუს)ი ეშმაკისეულს ეძახდა, ვინაიდან იქ ყველაფერი მარჯვნიდან მარცხნივ ანუ *უკუღმა* ხდებოდა (ოთახი არაბული წიგნებით გახლდათ სავსე), გურ(უ)ამ ბაბუს მუხლზე დასკუპული, ალტერნატიულად გადაშლილი წიგნის ფურცლებზე ნახატებივით გაბნეულ აღმოსავლურ ასოებს ვაკვირდებოდი:

– რამდენი შეკრული და გახსნილი ბურთულაა არა აქ, გურუ?

– სად, კინკაჟუ?

– აი აქ, აი... და აი, კიდევ... და აქაც, ეს ბუთქუშა შეკრულია, ეს ბურთულა თითქოს გაჭრეს და გაშალესო.

– ამ შეკრულ „ბუთქუშას“ სუქუნი ჰქვია, „თითქოს გახსნილს„ კი თეშდიდი. არაბები, თუ სიტყვაში ორი თანხმოვანია, პირველს სუქუნს აწერენ თავზე, ხოლო როდესაც ორი ერთნაირი თანხმოვანი გამოითქმის, ერთს თეშდიდს ახატავენ და მეორე თანხმოვანს აღარ წერენ საერთოდ.

– დამღლელია წერის დროს ამდენი ფიქრი... ეს ნიშნები მარგუსის დარიგებებს გავს.

– მართლაც!.. როგორ აქამდე ვერ მოვიფიქრე? – აღფრთოვანდა ბაბუ გურ(უ)ამი, – თავს დატეხილი მარგუსისეული თეშდიდ-სუქუნები!

და ბარემ, ფეხსაცმლის ქუსლის მოტეხვის მიზეზიც შეიტყვეთ:

ორი კვირის წინ, ჩემმა უახლოესმა დაქალმა (სტ)ელამ დამირეკა, თავისი ქორწილის თარიღი შემატყობინა. მე კი გემოზე მოვკალათდი სავარძელში, მეჯვარის სტატუსის მისაღებად:

– კინკაჟუ, უშენოდ ვერაფერს გავხდები, უნდა მასწავლო, რა როგორ მოვიმოქმედო, რა ვარგა და რა არა, მოკლედ, გელი – ქორწილის მრჩევლად დაგნიშნე!.. ხო მაგარია?!

– თუ უახლოესი დაქალი საპატარძლოზე ლამაზია, ვერასდროს გახდება მისი მეჯვარე! – მანუგეშა მარ(გუს)იმ, მარჯვნიდან მარცხნისკენ მზირალმა გურ(უ)ამმა მშვიდად დაუკრა კვერი.

ფანჯარას მივანდე ცრემლიანი თვალები: ყვითელი ფოთლები

ნაშვილები ბავშვებივით მოსდებოდნენ აგვისტოს ქუჩას – ასე მენიშნა „ქორწილმეისტერის“ კაბა და გავწიე: ქსოვილების გამყიდველს, მეტრ-ნახევრიანი ხის სახაზავი მხარს ზემოთ რომ ვერ სცდებოდა, თავბრუ დავახვიე, რა ფაქტურის ყვითელი და მწვანე ქსოვილი არ გადმოვაღებინე – დარდიანად გასცქეროდა დახლზე გაშლილ გაზეთზე მიტოვებულ ყველს, პურს და გაკბეჩილ პომიდორს.

ქორწილის დილა წვიმიანი გამოდგა. *ალბათ (სტ)ელას ქვაბების ლოკვა უყვარდაო,* – გამაღვიძა მარგუსის დასკვნამ – ალიონის სუქუნმა და დიადი დღეც გამითენდა: დაქალს კაბის სარჩულზე ქინძისთავი დავუბნიე ავი თვალისგან დასაცავად; საქმროსთან დავარეკვინე, რომ მარჯვენა ფეხსაცმელში ხურდა ფული ჩაედო, რომელსაც მერე რელიკვიასავით შეინახავდნენ ოჯახში; ნათესაობაში ბედნიერი ქალი მოვიძიეთ და მისი ნახმარი ცხვირსახოცი პატარძალს ჩანთაში ჩავუდე. წყლით სავსე ვედრო და იატაკის ტილო მოვამზადეთ, (სტ)ელას სახლიდან წასვლის შემდეგ იატაკი რომ მოერეცხათ.

– როცა ბოლო აქსესუარსაც მოირგებ, სარკეში აღარ ჩაიხედო; ჯვრისწერის ბეჭედი არასდროს არავის გაასინჯო; სახლიდან გასვლის წინ ერთი-ორი ცრემლი გადმოაგდე; შენსა და ბა(ღა)თურს შორის არავინ გაატარო; ჯვრისწერის შემდეგ ეცადეთ, ერთდროულად ჩააქროთ სანთლები და აი, ამ სარკეშიც ერთად ჩაიხედოთ; თაიგული არავის დააჭერინო ქმრის გარდა, მერე სუფრა ზე ლარნაკში ჩადებ, ბოლოს კი სახლში წაიღებ და...

– რა სისულელეა! კმარა! – აყვირდა ჩრდილში მოქცეული მეჯვარე.

გოგონებში მღელვარება შევნიშნე, ყურის ბიბილოც ამეწვა (ზურგსუკან მჭორავდნენ), მალე კბილებიდან გამოცრილი რეპლიკებიც მომწვდა:

– რა სოფლელაა! როგორი ქალუკა ყოფილა! ვინ ასწავლა ეს სისულელეები? თან რას ეძახიან, კინკაჟუს? ვაფშე არ არის ნაშური კლიჩკა! (სტ)ელას რა, ეგეთების ჯერა?!

აშკარა იყო, გოგონებს პატარძლის ზურგსუკან გადაგდებული თაიგულისათვის ბრძოლა სურდათ. აკი მეც მქონდა დაგულებული ბეჭდის ყუთი – ბა(ღა)თურიც გავაფრთხილე, ჯვრისწერის შემდეგ ცარიელ ყუთს ხელი აღარ ახლო, პირველად მე უნდა შევეხო-

მეთქი. არ მინდოდა, ვინმესთვის გული დამეწყვიტა და ალტერნატიული თაიგულის შექმნის იდეა წამოვაყენე.

– *ორი თაიგული? მაგარი გოიმობაა! (სტ)ელუშ,პროსტა, მოწვი: ბა(ღა)თურ, ეს დამიჭირე, ის მომაწოდეთ, უნდა ვისროლო, რა სანახავი იქნები?! და ვაბშ-ჩე... მოდუნდი რა!*

ყურის ბიბილო (სტ)ელასაც აეწვა, მალე მთელ სახეზე მოედებოდა სიწითლე (დაცდილი გვქონდა) და თითქოს ქორწილმეისტრობა ჩემი იდეა ყოფილიყოს, ზურგი მაქცია: ქინძისთავი და ბედნიერი ნათესავი ქალის ნახმარი ცხვირსახოცი მოისროლა, გასვლის წინ დემონსტრაციულად ჩაიხედა სარკეში, მეჯვარეს ხელი ჩაჰკიდა და კიბეებიც სიცილ-კისკისით ჩაირბინა.

ჯვრისწერაზე უკანა რიგში ვიდექი, ყვითელი ორგანზას ნაკეცებში ვმალავდი ცრემლიან თვალებს. ორი კურცხალი მაინც ჯიუტად მაჩნდა მწვანე ხავერდის კაბაზე, როდესაც სიძემ დამიძახა: *კინკაჟუ, რატომ არ იღებ ბეჭდების კოლოფს, ხომ მთხოვეო?!* და შავკაბიანი სტუმრის მუჯლუგუნიც მომხვდა, წავიბორძიკე, ფეხსაცმლის ქუსლი მოვიტეხე (ქსოვილების გამყიდველის გულზე დამდგარმა ლუკმამ მიწია), იმ შავკაბიანმა კი ბეჭდების ცარიელი კოლოფი ამაყად ჩაიდო ჯიბეში.

ბევრი ვიხეტიალე წვიმაში კოჭლობით, სანამ აგურის კედელს ქუსლმოტეხილი ფეხსაცმლით მივეყრდნობოდი – ქუჩის ბოლოში, აივნის ქვეშ თავშეფარებული წვრილმანების გამყიდველს მოვკარი თვალი. ახლა, ვდგავარ და ველოდები, როდის გადაიღებს, ისიც დაიძრება თავისი გორგოლაჭებიანი ტაჩკით, უნივერსალურ წებოს მომყიდის და ფეხსაცმელს გავიმთელებ.

ასეთ კონკიად ვიქეცი და სირცხვილით ვიღას მოვუყვე ამ ამბის დასასრულს:

და შავი „ფოლქსვაგენ-ფაეტონი“ (შესაძლოა, გოგრად ყოფილიც) მიახლოვდება, ფანჯარა ეშვება და რა გქვიაო, მეკითხება ჟღალთმიანი ყმაწვილი. ვპასუხობ, რომ კინკაჟუ ვარ. გულიანად იცინის, ჰგავხარო და გადმოდის. ლემურის თვალები გქონიაო, მაკვირდება და ფუმფულა კუდის გარეშე როგოგორ იძინებო, მეკითხება. სად სმენია კინკაჟუებზე ნეტავ? ვფიქრობ მე, ის კი მიხსნის, ტაქსიდერმისტი ვარო. ვვარაუდობ, რომ მანქანებთან დაკავშირებული პროფესია უნდა იყოს, ჟღალთმიანი კი, ტაქსიდერ-

მისტები ფიტულებს ამზადებენო, მეუბნება და მე, კინკაჟუს, კანკალი მიტანს! გცივაო, მეკითხება და სახლში წაგიყვანო, მთავაზობს.

წვიმს, წვრილმანების გამყიდველი მყარად დგას აივნის ქვეშ, ქუჩის ბოლოში, ამიტომ კოჭლობით ვიძრები „ფაეტონისკენ," თეშდიდ-სუქუნების წარმოსახვით დავთარში ვიქექები და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემგან ფიტულს არ დაამზადებს ჟღალთმიანი ტაქსიდერმისტი.